http://www.tsu.ge/newspaper

# თბილისის უნივერსიტეტი

27 დეკემბერი
ოთხშაბათი
N7 (2052)
2006 წელი

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი   გამოდის 1927 წლიდან   ფასი 30 თეთრი

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ნათქვამია — „ჩვენი გადარჩენა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რანიც ვართ, ან ვიყავით, არამედ იმაზე, რანი გვინდოდა ვყოფილიყავით“.

შობა-ახალი წელი ცხოვრების საზრისის მისადგომებთან თავს ყველას ერთად მოგვიყრის ხოლმე და განვლილის გაანალიზებისა თუ მომავლის ამოცნობის პროცესით ერთმანეთისგან განგვასხვავებს.

რა იყო მნიშვნელოვანი განვლილ 2006 წელს?

ყველა, ვინც უნივერსიტეტს უკავშირებს თავისი ცხოვრების ნაწილს, თავისებურად შეაფასებს, ალბათ, საუნივერსიტეტო რეფორმის მნიშვნელობასა და შედეგს.

,,რანი გვინდოდა ვყოფილიყავით" — ეს ყველაზე უკეთ იცის უნივერსიტეტისთვის კეთილმოსურნე იმ ინტელექტუალურმა ელიტამ, რომელმაც თავი არ აარიდა რეფორმის პროცესში მონაწილეობას და დღესაც ცდილობს იმ აზრის, იდეისა და მრწამსის გადარჩენას, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

ვის როგორი წარმოუდგენია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? ვინ რას უსურვებს უნივერსიტეტის წიაღში თითქმის დაბადებულ და გაზრდილ ძველ თაობასა და განათლების რეფორმის შედეგად მოსულ უნივერსიტეტის ახალ თანამშრომლებსა თუ სტუდენტებს?

— ვინ რა პასუხი გაგვცა წლის ამ ბოლო შეკითხვაზე?

**ალექსანდრე ლომაია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:**

— უნივერსიტეტი უბრუნდება იმ ღირებულებებს, რასაც ჰქვია აკადემიური თავისუფლება, პროფესიული და სამოქალაქო კეთილსინდისიერება, კვლევისა და განათლების ერთიანობა, გახსნილობა, ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე... ბოლო პერიოდში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და მე ვუსურვებ უნივერსიტეტს, რომ ამ მიმართულებით იაროს.

ჩვენი, როგორც მთავრობის ვალდებულებაა, ყოველწლიურად დავეხმაროთ უნივერსიტეტს, რათა მისთვის ყოველი ახალი წელი იყოს უკეთესი, ვიდრე წინა წელი. მე ვგულისხმობ ფინანსურ დახმარებასაც, რათა ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც მემკვიდრეობით გვხვდა წილად და რომელიც მართლა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, შეესაბამებოდეს იმ დიდ მიზნებსა და ამოცანებს, რაც უნივერსიტეტს აკისრია საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის.

**ბესო ჯუღელი, პარლამენტის წევრი:**

— მინდა დამთავრდეს უნივერსიტეტში დაპირისპირება. ქართული საზოგადოება ძალიან აღელვებულია და ყველაფერს მტკივნეულად განიცდის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან თითოეული ჩვენთაგანის საზრუნავი და ვალია უნივერსიტეტის კეთილდღეობა.

**თამაზ გამყრელიძე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:**

— თავის დროზე მე აღვნიშნე, რომ რეფორმა აუცილებელია, მაგრამ იგი ისე უნდა წარიმართოს, რომ ნაბან წყალს ბავშვი არ გადავაყოლოთ. უნივერსიტეტს ვუსურვებდი, რომ მისი სახით შეიქმნას ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ბუნებრივად ჩაერთვება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, იქნება ერთერთი ფასეული დაწესებულება მსოფლიო მასშტაბით.



**ანზორ ერქომაიშვილი**, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

ჩემთვის უნივერსიტეტი არის ტაძარი, სადაც მუხლმოდრეკილმა უნდა ილოცო. მინდა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის იყოს იმ ფუნქციის მატარებელი, რა ფუნქციაც მას დიდმა ივანე ჯავახიშვილმა დააკისრა.

მინდა, უნივერსიტეტს ვხედავდე ერის წინამძღოლის როლში და ვისურვებდი, რომ მას ივანე ჯავახიშვილის დონის მეცნიერები აღეზარდოს.

**ოთარ მეღვინეთუხუცესი, მსახიობი:**

ქართველი კაცი ვარ და უნივერსიტეტის აღორძინებაზე ვოცნებობ. ჩვენს ქვეყანას რომ დაამშვენებს, ყველას რომ გვეამაყებოდეს, ისეთი უნივერსიტეტი მინდა. მინდა, ვთხოვო რეფორმატორებს, ლექტორებსა და ახალგაზრდებს — სახეს ნუ დაუკარგავთ ჩვენს სათაყვანებელ სასწავლებელს!

ვიცი, რომ განათლების სისტემაში რეფორმები მიმდინარეობს. კი, ბატონო, ალბათ რაღაც მოძველდა, რაღაცას ჩამოვრჩით, მაგრამ ჩემი კეთილი რჩევა იქნება, რომ რეფორმა თვითმიზნად არ გადავაქციოთ. ჩვენი პროფესორების ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**მიტროპოლიტი თეოდორე, საქართველოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი:**

უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება ქვეყნის ბურჯი და საფუძველი. ჩემი საახალწლო სურვილია, დარჩეს იგი ქართველი ხალხისათვის დედაბოძად.

## ვემზადოთ მშვიდობისათვის რეზერვისტებთან ერთად

### საქართველოს პრეზიდენტი სტუდენტებს შეხვდა

ნინო კაკულია

25 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს სიტყვით მიმართა. მიხეილ სააკაშვილმა ხელი-



სუფლების ახალი მოწოდებები გააჟღერა და განაცხადა, რომ ქვეყანაში მთავარი რევოლუციური ცვლილებების მედროშეები სტუდენტები არიან. პრეზიდენტის თქმით, ქვეყანაში რეზერვისტთა ძლიერი ჯარის ჩამოსაყალიბებლად ხელისუფლება ახალგაზრდებზე დიდ იმედებს ამყარებს.

მიხეილ სააკაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი:

ჩვენ უნდა მოვიზიდოთ უცხოეთიდან პროფესორ-მასწავლებლები

— მივმართავ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას, რომელმაც ქუჩებსა და საახალწლოდ მორთულ მოედნებზე ყოფნას ახალი წლის წინ ჩვენთან ერთად ყოფნა ამჯობინა, რათა კიდევ ერთხელ გვესაუბრა ქვეყნის ბედზე. მინდა მოგესალმოთ და გითხრათ: მე ვიცი, რომ უნივერსიტეტში ძალიან საინტერესო ახალგაზრდობა მოვიდა. განსაკუთრებით გამოვყოფ პირველკურსელებსა და მეორეკურსელებს, რომლებიც ეროვნული გამოცდების შედეგად მოვიდნენ და ამდენად არიან ისინი ჩემთვის მნიშვნელოვანნი. თუმცა ბევრი ნიჭიერია ზედა კურსებზეც. ყველას განურჩევლად მინდა გირჩიოთ, რომ თქვენი გონებითა და თქვენი ცნობიერებით აღიქვათ გარშემო ყველაფერი და თუკი თქვენში ვინმე უიმედობასა და ნიჰილიზმს ნერგავს, არ დაუჯეროთ. კრიტიკული აზროვნება ერთია და ყველაფრის ეჭვის თვალითა და ნიჰილიზმით ყურება — მეორე.

მე-3 გვერდზე

## როგორია წინასაახალწლო მოლოდინი რექტორის არჩევნების მიმართ?

### სტუდენტებმა უნივერსიტეტში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს



მე-4 გვერდზე

## ვინ არიან წლის საუკეთესო ლექტორები?

### სტუდენტებმა საყვარელი ლექტორი დაასახელეს

შურთხია ბეროშვილი

არავინ იცის, არისტოტელე რომ არ ყოფილიყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი, ეყოფოდა თუ არა ნიჭიერ მხედართმთავარს გამჭრიახობა ნახევარი მსოფლიოს დასაპყრობად. იმ კატის ამბავიც გავიხსენოთ, ლომის ბოკვერს ხეზე ცოცვა რომ არ ასწავლა. ისე, ჩვენში დარჩეს და, ცხოველთა მეფე ამ „პროფესიას“ ვერც დაეუფლებოდა და არც მოუხდებოდა. მასწავლებლის და მოწაფის ურთიერთობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ლეგენდებში, ზღაპრებში თუ რეალურ ცხოვრებაში ერთი რამ უცვლელად არის შენარჩუნებული: მასწავლებელი გასცემს ცოდნას, მოწაფე იღებს!

მე-5 გვერდზე

## ადამიანი, ქვეცნობიერად, აპროგრამებს თავის მომავალს

### ინტერვიუ ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუასთან

ნინო კაკულია

ახალი წლის მოსვლა ყველას, განურჩევლად ასაკისა, გვეჩქარება. ის, რაც წინ გველოდება, უფრო კარგი და მშვენიერი გვგონია, ვიდრე აწმყო. ამიტომ ვემზადებით ჩვენს წარმოდგენაში — უკეთესისთვის. ამიტომაც ვანიჭებთ მნიშვნელობას ყველას რჩევას და შენიშვნას — თუ როგორ შევხვდეთ ახალ წელს?

ზოგჯერ ჩვენი უსუსურობა გვაშინებს მომავლის შეუცნობლობის გამო, ზოგჯერ საკუთარი ბედის განმსაზღვრელად წარმოვაჩენთ ხოლმე თავს და ცხოვრებაზე გამარჯვების სურვილით ავინთებით — ეს ყოველივე ბრძოლას ნიშნავს უკეთესისთვის და, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ასეც უნდა იწყებოდეს ახალი წელი.

მე-9 გვერდზე

## ,,ბაღის უნივერსიტეტში“ გაზრდილი ,,წეროს“ გამარჯვებული

### ინტერვიუ მწერალ ვანო ჩხიკვაძესთან

შურთხია ბეროშვილი

ლიტერატურული კონკურსი ,,წერო“ ერთი თვის მანძილზე გაგრძელდა. კონკურსში მონაწილეობისათვის მოთხრობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებმა ქართველებმა გამოაგზავნეს. 200-ზე მეტი ნაწარმოებიდან ჟიურიმ 15 შეარჩია. 3 გამარჯვებული კი ინტერნეტის მკითხველმა გამოავლინა. კონკურსის მთავარი პრიზი — „ვერცხლის წერო“ ვანო ჩხიკვაძეს გადაეცა მოთხრობისათვის „ახადელების რძალი“.

**— გთხოვთ, გვიამბოთ ფარმაცევტულ კომპანია GPC და პორტალ literatura-ge-ს მიერ ჩატარებული ლიტერატურული კონკურსის ,,წეროს“ შესახებ...**

მე-11 გვერდზე

# მინდა, ჩვენი უნივერსიტეტი იყოს აბიტურიენტის ნომერ პირველი არჩევანი

## რა გეგმები აქვს ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში სერიოზული ცვლილებები იგეგმება. როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რეფორმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პირველად შეეხო. ინვენტარიზაციისა და რეორგანიზაციის პროცესი ღია, გამჭვირვალე და საჯარო იქნება, რასაც მხარს უჭერს ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი გულნაზი გალდავა. იგი საუნივერსიტეტო სივრცის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის მომხრეა, რისი დადასტურებაც არის უნივერსიტეტის ფინანსური საკითხების საჯარო განხილვების ტრადიციის დამკვიდრების მიზნით სადისკუსიო კლუბის შექმნა.

რა ამოცანები აქვს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს? როგორ აპირებს იგი უნივერსიტეტის ფინანსურ გაჯანსაღებას? რას მოუტანს რეორგანიზაცია უნივერსიტეტს? ამ კითხვებს პასუხობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი გულნაზი გალდავა:

### უნივერსიტეტში სადისკუსიო კლუბი შეიქმნა

**— ქალბატონო გულნაზი, რა მიზნით შეიქმნა და რა კონკრეტული მიმართულებით იმუშავებს უნივერსიტეტის სადისკუსიო კლუბი?**

— სადისკუსიო კლუბის შექმნით ჩვენ უზრუნველვყოფთ ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობას ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ". მე ვფიქრობ, ბიუჯეტის ფორმირების წესების განხილვისათვის სადისკუსიო კლუბზე უკეთეს საშუალებას ჩვენ ვერ ვნახავთ. კლუბის წევრები ჩართულნი იქნებიან უნივერსიტეტის ბიუჯეტის და, ბუნებრივია, საფინანსო სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრაში. კლუბის წევრობის კანდიდატები წარმოადგინეს დეკანატებმა.

კლუბი იმუშავებს, ასევე, რეორგანიზაციის, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის, უნივერსიტეტის ფაკულტეტების განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე.

მე ამ პროცესების საჯაროობის მომხრე ვარ. საზოგადოებამ, მასმედიამ, და პირველ რიგში, ჩვენმა ფაკულტეტებმა, იმ ადამიანებმა, ვინც უნივერსიტეტში მოღვაწეობენ, უნდა იცოდნენ სიმართლე იმის შესახებ, რაც საუნივერსიტეტო რეალობაში ხდება. ჩვენ უნდა მივაწოდოთ მათ ინფორმაცია ამის თაობაზე და უნდა ვუთხრათ, რომ გვაქვს პრობლემები, მაგრამ გვაქვს გადაწყვეტის გზები, განწყობა და სურვილი მათ მოსაგვარებლად.

კლუბის მუშაობის ფორმა დემოკრატიული უნდა იყოს. ამ მიზნით, ჩვენ შევთავაზეთ ასეთი რეგლამენტი — თითოეული სხდომის სპიკერი იქნება ის ფაკულტეტი, რომელიც საკითხს ან პროექტს წარმოადგენს. ამასთან, ყველა ფაკულტეტის დეკანს ვთხოვეთ, რომ მიიღონ მონაწილეობა სადისკუსიო კლუბის მუშაობაში. თუ საკითხების განხილვისას სხვა პროფილური დეპარტამენტების ჩართვა საჭირო იქნება, მათაც მოვიწვევთ.

### რა ქონებას ფლობს უნივერსიტეტი? — ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო

**— უნივერსიტეტში ინვენტარიზაცია დაიწყო. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროცესი და რა შედეგებს ელით?**

— უნივერსიტეტში უნდა გაკეთდეს სრულფასოვანი ინვენტარიზაცია. სხვა გზა, სხვა არჩევანი იმ თვალსაზრისით, რომ დამყარდეს წესრიგი და შევქმნათ ბაზა ჯანსაღი და ჯანმრთელი ფინანსური სტრუქტურის ფორმირებისთვის, არ არსებობს.

ამ მიზნით ადმინისტრაციის სამუშაო ჯგუფს ჰქონდა ფაკულტეტებზე შეხვედრები, რომლებზეც განვიხილეთ ინვენტარიზაციის სქემაც.

ამ პროცესის დაწყება და დაჩქარება განაპირობა იმან, რომ ვიცოდეთ, რეალურად რას ვფლობთ. დამეთანხმებით, წლობით ჩამოუწერელი ინვენტარით ისეა გადატვირთული სასწავლო კორპუსები, რომ ზოგიერთი მათგანი სასაწყობო მეურნეობა გეგონებათ, რაც ძალიან ცუდია.



ინვენტარიზაციის ჩასატარებლად შეიქმნა სპეციალური კომისია. იმუშავებს ასევე რამდენიმე ქვეკომისია, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა სეგმენტს — დაწყებული უძრავი ქონებიდან, დამთავრებული სამუზეუმო ექსპონატებისა და რეაქტივების აღწერით. ეს ქვეკომისიები, ბუნებრივია, დაკომპლექტდა ისეთი ადამიანებით, ვისაც პროფილური გამოცდილება აქვს.

ინვენტარიზაციის პროცესში ჩართულნი იქნებიან ექსპერტები, როგორც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული



ბიუროდან, ასევე, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციიდან.

რაც ყველაზე მთავარია, უნივერსიტეტის ფინანსური გაჯანსაღების პროცესის მონაწილენი უნდა გახდნენ სტუდენტები.

სასურველია, რომ ინვენტარიზაცია ერთ თვეში დასრულდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არარეალურია. წინა ინვენტარიზაცია, რომლის დოკუმენტაციაზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდა, როგორც ჩანს, ძალზე ფრაგმენტული იყო. ეს მნიშვნელოვანი პროცესია. სრული სურათის მისაღებად, ჩვენ ვუკავშირდებით ყველა იმ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, ვინც იმ პერიოდში უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და საქმე ჰქონდა ქონებასთან, რომელიც შემდგომ სხვას გადააბარა. გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ, დავაზუსტოთ და სისტემაში მოვიყვანოთ სასტარტო ბაზა, რომ შემდგომ შევძლოთ შედარების გაკეთება. ვიწყებთ იმ ქონების მოძიებასაც, რომელიც წესით, დღეს უნივერსიტეტის მფლობელობაში უნდა იყოს. აუცილებელია იმ ინვენტარის ჩამოწერა, რომელიც ნამდვილად გამოსულია მწყობრიდან.

ამდენად, ჩვენ უნდა შევძლოთ ინვენტარიზაციის პროცესის სრულფასოვნად წარმართვა. სხვანაირად შეუძლებელი იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო სტრატეგიის გათვლა და კონკრეტული პრიორიტეტების გამოკვეთა.

### ადმინისტრაციული მართვის მექანიზმები შესაცვლელია

**— უნივერსიტეტის რეორგანიზაცია გულისხმობს თუ არა ადმინისტრაციული მართვის მექანიზმების შეცვლას?**

— მართვის თვალსაზრისით ბევრი რამ წესრიგშია მოსაყვანი. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს — ეს არის სისტემური წრედის შეკვრა. თუ ეს წრედი არ შეიკრა, თანამედროვე მენეჯმენტის განხორციელების საშუალება არ გვექნება. ასეთი მიდგომა — ვინ კარგი შემსრულებელია, ვინ — საშუალო და ვინ — ცუდი, ჩვენ არ გვიქმნის მართვის თვალსაზრისით რეალურ სურათს. აქ მთავარია საფეხურეობრივი გათვლა — ვიცოდეთ, რა სტრატეგიული მიზნები გვაქვს, რაზე ვიღებთ ორიენტაციას, როგორია ფუნქციური და შესაბამისად განხორციელების მიზნები. ძალიან სამწუხაროა, რომ უნივერსიტეტში შემორჩენილია გარკვეული სფეროები, რომლებმაც თავისი მნიშვნელობა ამოწურეს. სამაგიეროდ, არ არის გამოკვეთილი ის, რაც დღევანდელობამ და რეფორმებმა განსაზღვრა.

### რას მივანიჭებთ უპირატესობას კადრების შერჩევისას?

**— რეორგანიზაცია კადრების ცვლილებებსაც ითვალისწინებს. იმ ვნებათაღელვის ფონზე, რაც თბილისის უნივერსიტეტმა გადაიტანა, ძნელი იქნება საკადრო ცვლილებების უმტკივნეულოდ გატარება. რა სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა რეორგანიზაციის პროცესი?**

— ცხადია, ყველა იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, საჭიროა ადამიანური რესურსი, კადრები, რომელთაც ხელეწიფებათ ამ პროცესის მართვა, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ, რომ მზად არიან, იყვნენ ამ პროცესების მონაწილენი. ეს უნდა გამოიხატოს მათი შინაგანი პოტენციალით, განწყობილებით, საქმისადმი დამოკიდებულებით.

რეალური სურათის შექმნის მიზნით რეორგანიზაციის ჯგუფმა სტრუქტურულ ერთეულებს დავალება მისცა, რომ წარმოედგინათ სამუშაოთა აღწერილობა და დეტალურად გაეწერათ, ვინ რა ფუნქციას ასრულებს.

ამასთან ერთად, ჩვენ ვთხოვეთ სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს, შემოეთავაზებინათ თავიანთი მოსაზრებები სასურველი სტრუქტურის სავარაუდო მოდელების შესახებ. მიმდინარეობს უნივერსიტეტის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა ცენტრისა და ინსტიტუტის მიზანშეწონილობის ანალიზი. მოქმედი 22 ცენტრიდან თითქმის ყველას აქვს დაფინანსების პრობლემა. ამიტომ დღის წესრიგში დგება მთავარი საკითხი — თუ ცენტრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ფაკულტეტებისთვის და საუნივერსიტეტო პერსპექტივისთვის, რაღა თქმა უნდა, უნდა გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ და ვიზრუნოთ მისი განვითარებისთვის.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პოტენციალს — ჩვენ შევინარჩუნებთ იმ სპეციალისტებს, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ რეფორმისა და თანამედროვე უნივერსიტეტის ფორმირების პროცესში. თუმცა მათ უნდა დაასაბუთონ რა პოტენციალი აქვთ საამისოდ. ამდენად, ისინი გაივლიან ატესტაციას. ჩატარდება ტესტირებები პროფილური მიმართულების მიხედვით.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ კადრები მხოლოდ ტესტირების შედეგებით შევარჩიოთ. გათვალისწინებული იქნება სხვა კრიტერიუმებიც — ვინც ვერ შეძლებს რეფორმებში მონაწილეობისთვის მზადყოფნის დასაბუთებას, ეს უკვე ჩვენგან შექმნილი პრობლემა არ იქნება. ჩვენ ვაძლევთ ადამიანებს იმის შესაძლებლობას, რომ თვითონ დაადასტურონ მზაობა ამ პროცესების მართვაში მონაწილეობის მისაღებად. ბუნებრივია, ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადდება კონკურსი, რომელიც იქნება ღია, გამჭვირვალე და საჯარო, რათა ადამიანებს ობიექტურობაში ეჭვი არ შეეპაროთ.

### როგორ გავხდეთ კონკურენტუნარიანნი?

**— უკანასკნელ ხანს აქა-იქ გაჩნდა მოსაზრება, რომ ზოგიერთ სეგმენტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონკურენციას ვერ უძლებს. თქვენი აზრით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქვეყნის პირველი საგანმანათლებლო კერა კონკურენტუნარიანი იყოს?**

— ძალიან ბევრია გასაკეთებელი იმ თვალსაზრისით, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს თანამედროვე სასწავლო პოლიგონზე კონკურენციის გაწევა. დღეს მას ხელს უწყობს ის ისტორია და ფასეულობები, რისი დასტურიც ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო საღამო იყო. ეს ტრადიციები მოყვება მფარველად, მაგრამ ხვალ მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციების ერთგულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვერ გადაარჩენს. სტუდენტს აქ უნდა დახვდეს თანამედროვე გარემო.

უახლოეს დღეებში ჩვენთან გაიხსნება სასწავლო ცენტრი USAID-ის მხარდაჭერით. ეს საშუალებას მოგვცემს ეფექტური და მიზნობრივი სვლები ვაკეთოთ. სტუდენტებს ექნებათ საშუალება იმუშაონ ინფორმაციის მოძიებასა და გარკვეულ პროექტებზე.

ვიწყებთ მუშაობას აუდიტორიების კეთილმოწყობასა და გათბობის სისტემის დამონტაჟებაზე. სხვათა შორის, ამ პრობლემების ლოკალურ გადაწყვეტას დღესაც ვახერხებთ, მაგრამ თანადგომის გარეშე ვერაფერს გავაწყობთ. მას შემდეგ, რაც ბიოლოგების კორპუსში ვნებათაღელვა იყო, ჩვენ შევძელით რამდენიმე აუდიტორიის გათბობა. ერთ კვირაში კი ვიღაცას სურვილი გაუჩნდა, რომ ეს სისტემა მაკრატლით გადაეჭრა. ამიტომ ვამბობ — არ არსებობს ძლიერი ადმინისტრაცია უნივერსიტეტში მოღვაწე თითოეული ადამიანისა და სტუდენტის მხარდაჭერის გარეშე.

### მინდა იყოს ბედნიერი და განათებული ახალი წელი

**— ქალბატონო გულნაზი, ახალი წელი მოდის, ასეთ დღეებში ადამიანები ერთმანეთს საახალწლო სურვილებს ჩუქნიან. თქვენი საახალწლო სურვილი რა იქნება?**

— თბილისის უნივერსიტეტი ჩემი ბავშვობის არჩევანი გახლავთ. მე თავდაპირველად ვსწავლობდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ — იურიდიულ ფაკულტეტზე, ახლაც გახლავართ ამ ფაკულტეტის დოქტორანტი. ამდენად, არასოდეს გამიწყვეტია კავშირი უნივერსიტეტთან, რომელიც ჩემთვის ასოცირდება არა მხოლოდ ცოდნის ტაძართან, არამედ სიწმინდესთან, ინტელექტთან, უდიდეს ისტორიასთან, კულტურასთან, საქართველოსთან და მე მინდა, რომ მას იგივე თვალებით უყურებდნენ ის თაობები, რომლებიც დღეს წარმოადგენენ უნივერსიტეტს.

არ ვიცი, რამდენად დაგაინტერესებთ, მაგრამ ჩემი ლექტორი გახლდათ ქალბატონი მზექალა შანიძე და მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მოვედი, სულ ვცდილობ, ვუთხრა, რომ მისი სტუდენტი ვიყავი, მაგრამ იმდენად მაქვს გამოყოლილი რიდი და კრძალვა, რომ დღესაც ვეცადე და... ვერ გავუბედე.

მინდა, რომ უნივერსიტეტისა და მისი პროფესორების მიმართ ასეთი კრძალვა გაგრძელდეს ჩვენი ძალისხმევით. სწორედ ჩვენ უნდა გავუჩინოთ პატივისცემა სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი.

მე მიყვარს მშობლიური უნივერსიტეტი და ჩემს საქმიანობას, ჩემს თითოეულ ნაბიჯს, დამოკიდებულებას საქმისადმი, მხოლოდ ეს სიყვარული მართავს.

მინდა იყოს ბედნიერი, განათებული ახალი წელი და ძალიან მინდა, რომ ყველა აბიტურიენტის ნომერ პირველი არჩევანი ყოველ ახალ სასწავლო წელს იყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*მოკლედ*

## სადისკუსიო კლუბის პირველი სხდომა გაიმართა

22 დეკემბერს სადისკუსიო კლუბის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომის სპიკერატი ამჯერად იყო იურიდიული ფაკულტეტი, რომელმაც წარმოადგინა ფაკულტეტის ვერსია ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე წარმოდგენილი იყო საფინანსო სამსახურის ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების საფინანსო და ეკონომიკური ასპექტების შესახებ, რაც იძლეოდა არსებული სიტუაციის რეალურ სურათს.

საფინანსო სამსახურის ინფორმაციისა და იურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტის გარშემო გამართულ დისკუსიაში გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საფინანსო საკითხები უნივერსიტეტში საჯაროდ პირველადაა წარმოდგენილი, რაც მისასალმებელია.

იურიდიულმა ფაკულტეტის პროექტმა, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტების თანაბარ დაფინანსებას, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ფაკულტეტების საფინანსო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებმა გამოთქვეს სურვილი, მომავალ სხდომებზე წარმოადგინონ თავიანთი პროექტები.



# ვემზადოთ მშვიდობისათვის რეზერვისტებთან ერთად

## საქართველოს პრეზიდენტი სტუდენტებს შეხვდა

პირველი გვერდიდან

ერთია, არ დაიჯერო ის, რასაც პრეზიდენტი, ტელევიზია და, ვთქვათ, პოლიტიკოსი გეუბნება, მაგრამ მეორეა, როცა საერთოდ არაფრის დაჯერება არ გინდა. მე თქვენი იმედი მაქვს. საზოგადოების ცნობიერებაში მართლაც დიდი რევოლუციური ცვლილებებია და თქვენ ხართ ამის მთავარი მატარებლები, ამ ცვლილების მედროშეები.

ამავე დროს, მინდა მივესალმო უნივერსიტეტში გატარებულ რეფორმას, ახალი რექტორის საქმიანობას. ჩვენ მზად ვართ, დამატებით ფული გამოვყოთ იმისათვის, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერი ახალგაზრდობა წავახალისოთ, განსაკუთრებულად კვალიფიციური პედაგოგები მოვიზიდოთ. ჩვენ გვჭირდება კვალიფიციური პედაგოგი. თავის დროზე ეს უნივერსიტეტი შექმნეს უცხოეთიდან მობრუნებულმა ქართველებმა. ჩვენ ქართველები უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ უნდა ჩამოვიყვანოთ. ჩვენ მოვახერხეთ ქართველების ჩამოყვანა ოპერისა და ბალეტის თეატრში, მათი ჩამოყვანა სამედიცინო სფეროში, სამხედრო სფეროში... მაგალითად, ჩვენ გვყავს ოფიცერი, რომელიც ამერიკის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო ცენტრში მსახურობს, აქვს ძალიან მაღალი ხელფასი და იხვეწება — ჩამომიყვანეთ უბრალო ოფიცრადო. მას უნდა, რომ იმსახუროს საქართველოში.

მე და ჩემმა მეგობრებმა გავაკეთეთ უცხოეთში სწავლის საპრეზიდენტო პროგრამა. საზღვარგარეთ სასწავლებლად, ამ ეტაპზე, გავაგზავნეთ იურისტები და ეკონომისტები. მომავალ წელს ვგეგმავთ ისტორიკოსებისა და არქიტექტორების გაშვებას. მიმაჩნია, რომ ამ ორივე სფეროში კვალიფიციური ხალხი საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება. ცალკე პროგრამა გვაქვს სამხედროებისთვისაც.

მიმაჩნია, რომ განათლების მისაღებად განსაკუთრებულად ნიჭიერი ახალგაზრდობა სასწავლებლად უნდა გავუშვათ ქართული სახელმწიფოს ფულით და არა უცხოური გრანტით.

### საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა — კავკასიური მეგობრობის ნიმუში

მინდა ჩაგაყენოთ საქმის კურსში და იცოდეთ, ვისთან ვმეგობრობთ. დღეს ყველანი ვხედავთ განათებულ თბილისს, განათებულ ქალაქებს... ერთი-ორგან ავარიები ხდება, მაგრამ საქართველო მაინც განათებულია. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკებები ბაქოში, ასევე, რამდენიმე დღის წინ გაიმართა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები — თურქეთში. წელს ჩვენ, პრაქტიკულად, მოგვიწყვეს არა მხოლოდ სავაჭრო ბლოკადა, სატრანსპორტო ბლოკადა — ოღონდ ცალმხრივად (გეოგრაფიულად, მოგეხსენებათ, საქართველოს იზოლირება შეუძლებელია) და, ასევე, მოგვიწყვეს ენერგეტიკული ეგზეკუცია. ის ფასი, რასაც ნაწილობრივ ახლა ვიხდით იმაში, რომ ჩვენი ქუჩები განათებული და ჩვენი სახლები გამთბარი იყოს, არ ჯდება არც ერთ ეკონომიკურ ლოგიკაში. შარშანდელი წლის შემდეგ, როდესაც 110 დოლარს საქართველო გაზში იხდიდა, ნავთობის ფასი არ გაძვირებულა. როცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ ნავთობის გაძვირების გამო საქართველომ უნდა გადაიხადოს 235 დოლარი და, რატომღაც, ზოგიერთმა მეზობელმა ქვეყანამ ისევ 110 დოლარი უნდა გადაიხადოს, ვფიქრობ, რომ ამ ლოგიკისა იმ ხალხს ისევე ჯერა, როგორც იმის, რომ საფერავი მსოფლიოში ყველაზე მომწამლავი ნივთიერებაა. გასაგებია, რაც ამის უკან იმალება. საქართველოს ჰყავს როგორც დიდი გავლენის მქონე არაკეთილმოსურნენი, ასევე, მეგობრებიც — ტრადიციულად. მინდა ყველანი დავფიქრდეთ იმაზე, რომ შარშან, როდესაც ჩვენ აგვიფეთქეს ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზები, აზერბაიჯანი თავისი მოსახლეობის დიდი ნაწილის ხარჯზე, რათა საქართველო მთლიანად არ ჩაბნელებულიყო, რამდენიმე დღე გვაწვდიდა გაზს. აზერბაიჯანმა დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გვერდში გვიდგას. დღეს აზერბაიჯანი არ ყიდულობს რუსულ გაზს. აზერბაიჯანს პირდაპირ უთხრეს, რომ თუ ერთი კუბომეტრი აზერბაიჯანული გაზი საქართველოში გავა, ის ჩაბნელდება და აზერბაიჯანელებს შესცივდებათ. მათ პირდაპირ უთხრეს, რომ თუ ქართველები გათბებიან, თქვენ შეგექმნებათ პრობლემები. ამ სიტუაციაში აზერბაიჯანი იდგა არჩევანის წინაშე — რა გადაწყვეტილება მიეღო? მსოფლიოში ძალიან ცოტა პრაგმატიკოსი ლიდერი მიიღებდა იმ გადაწყვეტილებას, რაც ჩვენმა მეგობარმა ილხამ ალიევმა მიიღო. რა თქმა უნდა, მას პირველ რიგში აწუხებს თავისი ქვეყნის ბედი. მან თქვა, რომ აზერბაიჯანი საერთოდ არ ყიდულობს რუსულ გაზს, აღარ გაუშვებს რუსეთში ნავთობს, გათიშავს თავის სასათბურე მეურნეობას, თავისი მომხმარებლისათვის შეზღუდავს მიწოდებას და აზერბაიჯანისგან საქართველო მიიღებს იმდენ ბუნებრივ აირს, რამდენიც საჭიროა, მაგალითად, თბილისში ყველა ბინის გასათბობად. ეს არის ნამდვილი მეგობრული და გმირული ნაბიჯი.

ასეთი რამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს. ყველაფერს გადახდა და დაბრუნება უნდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიაში მეგობრობისა და თანამშრომლობის ასეთი მაგალითები ყველა ერთან მიმართებაში რომ გაგრძელდეს, მსოფლიოში ჩვენი დამმარცხებელი ვერც ერთი ძალა ვეღარ იქნება.



### რუსეთს ჩვენ დავუტოვეთ არჩევანი

მე უნივერსიტეტში საქართველოს შეიარაღებული ძალების რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად მოვედი. აქ არიან თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური შტაბის ახალი ხელმძღვანელი — ზაზა გოგავა, ერთერთი ბრიგადის მეთაური ნიკა ჯანჯღავა და საჰაერო ძალების მეთაური ალან ლაკოევი. მინდა გავაგრძელო ის თემა, რითაც დავიწყე საუბარი. საქართველო ძლიერია ერთიანობით. ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს მომავლის შექმნაში. ჩვენი დამარცხება ადვილი იქნება გათითოკაცების შემთხვევაში. თუ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და გაძლიერების პროცესში მთელი საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას, საქართველოს დამმარცხებელი ძალა არ იარსებებს. როცა ერი შეკრულია, მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფო დიდია, სუსტი თუ ძლიერი. ჩვენ პრობლემები და ომი არავისთან გვსურს. 1940 წელს, როდესაც ბოლშევიკურ-რუსული სამხედრო მანქანა მიადგა ფინეთს — ჩვენზე პატარა ქვეყანას მოსახლეობის მიხედვით, მთელი ფინეთი ერთად დადგა. ფინეთმა მოახერხა 200 მილიონიანი ქვეყნის აგრესიის მოგერიება. მაშინ ის იყო 4 მილიონზე ბევრად ნაკლები ადამიანით დასახლებული ქვეყანა. მე ნამყოფი ვარ ჰელსინკში — ფინეთის დედაქალაქში, სადაც ტაძარში არის გმირების სახელები კედელზე გამოსახული და რომ ფინეთი დღესაც ყველაზე წარმატებული ქვეყანაა ევროპაში, ეს არის იმ გმირების დამსახურება.

ჩვენთვის დღევანდელი დღე არის ისტორიული დღე — რუსეთის შეიარაღებული ძალების ბოლო ოფიცერმა დატოვა საქართველოს დედაქალაქი და იმედია, სამუდამოდ. ჩვენ ყველანი გავაკეთებთ იმას, რომ ვერავინ ვეღარ დაგვაბრუნოს იმპერიაში. მინდა ვაღიარო და მადლობა ვუთხრა მათ, ვინც შედარებით ცივილიზებულად გავიდა ჩვენი ქვეყნიდან და ადრინდელისგან განსხვავებით ბაზები უკეთეს მდგომარეობაში დაგვიტოვა. მე ამას ვაფასებ. უფრო მეტიც, ამ ხალხს ჩვენ ვეუბნებით: მათ, ვისაც მოსწონს საქართველო, ვინც რამდენიმე წელია, აქ ცხოვრობს, ვისი ბავშვებიც ჩვენს სკოლაში სწავლობენ, ჩვენ მზად ვართ, ისინი საქართველოში დავტოვოთ, როგორც საქართველოს საზოგადოების ნაწილი. მათ ეს არჩევანიც აქვთ: ჩვენ არ გვინდა სამხედრო ბაზები, მაგრამ ჩვენ გვჭირდება მოქალაქეები, ჩვენ გვჭირდება პატრიოტები. თუ ისინი არ აპირებენ აქ დარჩენას, ჩვენ ყოველთვის მივიღებთ მათ — როგორც ტურისტებს. ჩვენ არავისთან არაფერი არ გვაქვს გასაყოფი. იმედი მაქვს, რომ ეს ნაბიჯი იქნება რუსეთის ფედერაციასთან ახალი თანამშრომლობისა და პრობლემების გადალახვის დასაწყისი. ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ საბჭოთა კავშირსა და ძველ იმპერიულ აზროვნებაზე, ვგულისხმობ, რომ რუსეთის ფედერაცია არ არის იმ საშინელებების სამართალმემკვიდრე. იმედია, რომ ჩვენ შევძლებთ ერთმანეთთან სხვა ურთიერთობის აწყობას. ამავე დროს, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს სჭირდება ყველა სფეროში გაძლიერება.

### გაზაფხულიდან რეზერვისტებად სტუდენტების გაწვევას ვაპირებთ

ჩვენ ბოლო 2-3 წელიწადში შევქმენით ძალიან თანამედროვე, თუმცა არც ისე მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები. გვყავს კავკასიაში ყველაზე პატარა არმია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის არის ყველაზე მოქნილი, მანევრირებადი და ინტეგრირებადი ნატოს სტანდარტებთან, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით.

შეიარაღებულ ძალებთან ერთად ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოში რეზერვისტთა დიდი ჯგუფის შექმნა. საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას, შეიძლება შეექმნას რაღაც პრობლემები და მას უნდა შეეძლოს ტოტალური თავდაცვის განხორციელება. მე მოვაწერე ხელი რეზერვისტთა კანონს. საქართველოს ყველა მოქალაქე ამ კანონის თანახმად ექვემდებარება რეზერვისტად გაწვევას. პირველად წასვლა — ეს არის აუცილებელი, ორჯერ შეუძლია წავიდეს ნებაყოფლობით და, ამ შემთხვევაში, მშვიდობიანობის დროს სამხედრო გაწვევისგან თავისუფლდება. არ გაგიკვირდეთ, რომ გაზაფხულიდან რეზერვისტებად სტუდენტების გაწვევასაც ვაპირებთ, რომელთაც კარგ პირობებს შევუქმნით. ეს იქნება 18-დღიანი კურსი.

ყველა ახალგაზრდა კაცს ვასწავლით (ეს არის ბიჭობიდან გადასვლა ახალგაზრდა კაცობაში) იარაღის ხელში დაჭერას, ვასწავლით ელემენტარულს — გამძლეობას. 18 დღე, გარწმუნებთ, არც თუ ისე დიდი ხანია. მე, თითქმის, ამდენი დრო დავყავი ნიკა რურუასთან ერთად ბანაკში. ვნახე, რომ კარვები მთლად კომფორტული არ არის. ვაპირებ, რომ თქვენ უკეთესი მოგიმზადოთ, უფრო რბილი საწოლები გაგიკეთოთ. გოგონებსაც, ვისაც რეზერვისტად წასვლის სურვილი აქვს, გარწმუნებთ, ხელს არ შევუშლით, პირიქით, მივესალმებით კიდეც.

ამავე დროს, ჩვენ გვჭირდება შეიარაღებულ ძალებში მოდერნიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება. ჩვენ გვყავს მართლაც მოტივირებული, მომზადებული ბევრი კარგი ოფიცერი და ვფიქრობ, კოდორის ოპერაციამ ეს კლასიკურად აჩვენა. ეს იყო პოლიციური ოპერაცია — როგორც თავდაცვის, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმების ურთიერთშეწყობილი მოქმედება, რასაც ძალიან სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა.

### ოფიცრები სახელმწიფოსგან საჩუქრად ბინებს მიიღებენ

ჩვენ ვაცხადებთ 1000-1500-მდე ახალგაზრდა ოფიცრის ვაკანსიას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ჩვენ გვინდა, რომ პროფესიულ ჯარში იმსახურონ უმაღლესდამთავრებულებმა. კერძოდ, მათ, ვინც ამთავრებს წელს და მომავალ წელს, ან ვინც სასწავლებელი უკვე დაამთავრა. მათ შორის პირველ წელს კონკურსი გაიმართება. ოფიცრად წასვლის მსურველებს ჩვენ გავუფორმებთ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც, იმ სტუდენტებს, რომლებიც ფასიანზე სწავლობენ, სწავლის საფასურს სახელმწიფო გადაუხდის. ყველა მათგანს მივცემთ შესაძლებლობას, რომ ქართული ბანკებიდან 15 000 ლარამდე უპროცენტო კრედიტი აიღოს. ყველას მივცემთ საშუალებას, რომ სახელმწიფოსთან გააფორმოს კონტრაქტი, რის საფუძველზეც 4 წელიწადში მიიღებენ ბინებს თბილისში, ბათუმში, ალბათ თელავში, ქუთაისში და საქართველოს კიდევ ერთ ქალაქში, იმედია. ჩვენი ამოცანაა, რომ ამ ხალხმა ხელში ბინის ორდერი წელსვე დაიჭიროს, ოღონდ იმ პირობით, რომ 4 წელი ერთგულად იმსახურებს. განსაკუთრებით გვჭირდება ინგლისური ენის მცოდნე ახალგაზრდები, თუმცა ეს არ არის აუცილებელი პირობა. გარდა იმისა, რომ ოფიცერს, რომელსაც მინიმუმ 600 ლარი ექნება ხელფასი, დავუმატებთ 100-150 ლარს და პირველივე წელს დასავლეთის წამყვან ცენტრებში სტაჟირებაზე გავგზავნით.

### ხერხი ჯობია ღონესა

ჩვენ გვჭირდება ახალი ხალხი, ახალი სისხლი, ახალი კვალიფიკაცია, ჩვენ გვჭირდება ახალი დონის ინტელექტი. ვისაც ჩვენთვის პრობლემების შექმნის სურვილი გაუჩნდება, უკან უნდა დავახევინოთ. მას შეიძლება ჩვენზე ბევრად მეტი იარაღი ჰქონდეს, (თუმცა იარაღი საკმარისად გვაქვს და კიდევ გვექნება), შეიძლება რიცხობრივად ბევრნი იყვნენ, მაგრამ ხომ იცით, ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა — ასეა ყველა სფეროში.

ეს ხერხი არის ჩვენი მოქნილობა, ჩვენი ინტერესი, ჩვენი გამბედაობა, ჩვენი მოტივაცია... ჩვენ არავის არაფერში არ ვეცილებით. კავკასიაში ჩვენნაირი მეომარი არავის ჰყავდა, რა თქმა უნდა, ქართველებთან ერთად ვგულისხმობ სხვადასხვა ეროვნების ხალხს. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ბოლოს, მე-18 საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ოსურმა რაზმებმა გააგრძელეს, როდესაც საქართველოს უკანასკნელი დედოფალი რუსეთის იმპერიამ დააპატიმრა და საქართველოდან გაჰყავდა. საქართველოს დედოფლის გამოსახსნელად ყველაზე თავზეხელაღებული შეტევა სრულიად უიმედო სიტუაციაში ხეობაში მცხოვრებმა ოსებმა განახორციელეს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან რამდენიმე ქართველ მეფეს ჰქონდა ოსური სისხლი. საქართველო შედგება ოსებისგან, აფხაზებისგან, სომხებისგან, აზერბაიჯანელებისგან... ბოლოს და ბოლოს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ებრაელია და ებრაელებიც იბრძოდნენ საქართველოსთვის... ეს არის ჩვენი სიძლიერე.

ყველამ კარგად იცოდეს — საქართველოს განზრახვა არის მხოლოდ მშვიდობიანი. ჩვენ დაწყებული გვაქვს დიდი აღმშენებლობის პროექტები — გზები, საავადმყოფოები, სკოლები, სასტუმროები, აეროპორტები... განვითარება და ეკონომიკური წარმატება — ეს ყველაფერი ომთან შეუთავსებელია. მაგრამ თუ ვინმეს ღია ისტერიული აგრესიით საქართველოში მოსვლის ამბიცია აქვს, მას დახვდებიან ეთნიკური ქართველები, ეთნიკური ოსები, ეთნიკური ებრაელები, ეთნიკური აზერბაიჯანელები და დავამარცხებთ ნებისმიერს... ასე რომ, მინდა, ყველამ კარგად გააცნობიეროს, რომ საქართველო არის მშვიდობიანი ქვეყანა. ჩვენ აღარ გვინდა დაბრუნება უიმედობაში, უშუქობაში, არეულობაში, სამოქალაქო ომის სიტუაციაში... ნურავინ ნუ გაგვეთამაშება, თორემ ისეთ პასუხს გავცემთ, რომ... ( დანარჩენი შეგიძლიათ თქვენ გააგრძელოთ... ყველაფერი ბოლომდე არ ითქმის და ყველაფერს ბოლომდე ჩემგან ვერ გაიგებთ. იმიტომ ხართ თქვენ ინტელექტუალები, რომ ბევრ რამეს თავად უნდა მიხვდეთ — ასეთია თანამედროვე ცხოვრების და თამაშის წესები)...

ჩვენი ინიციატივების სათქმელად მე ტრიბუნად ავირჩიე ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ატარებს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს. უნდა გვახსოვდეს, სწორედ აქ დაიწყო ერთი დიდი მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად და ის მოძრაობა შუა გზაში გაგვიჩერეს. ვფიქრობ, რომ ჩვენ ახლა მყარად ვდგებით ფეხზე და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ვერავინ ვერასოდეს ვეღარ შეაჩეროს ჩვენი წინსვლა.

# როგორია წინასაახალწლო მოლოდინი რექტორის არჩევნების მიმართ?

პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც რეფორმები დაიწყო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „მოდაშია" ამ სიტყვის სოციოლოგიური გაგებით — იგი ერთერთი ისეთი თემაა, რის შესახებაც დღეს ყველაზე ხშირად საუბრობენ. შეხედულებების სპექტრი ფართოა, შეფასებები — რადიკალურად განსხვავებული.

რა ხდება ალმა-მატერში? სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა გადავწყვიტეთ, რომ ამ კითხვას ზუსტად, კომპეტენტურად და, რაც მთავარია, მაღალპროფესიონალურ დონეზე სწორედ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ.

მიმდინარე ცვლილებებისადმი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოიკითხა 1000 რესპონდენტი. გთავაზობთ კვლევის ძირითად შედეგებს.

### რას ფიქრობენ პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებზე და სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებზე?

სტუდენტებმა პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციას ხუთი ქულიდან საშუალოდ 4 ქულა მიანიჭეს, პროფესორ-მასწავლებლებმა კი, როგორც ყოველთვის, შეფასებისას თავშეკავება გამოიჩინეს და სტუდენტებს „ჯანმრთელობა უსურვეს" — განათლების ზოგად დონეში, საშუალოდ, საშუალო, ანუ სამი ქულა „დაუწერეს".

### რა პრობლემა უნდა გადაიჭრას, პირველ რიგში, უნივერსიტეტში?

პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში ამ საკითხის მიმართ ერთსულოვნებაა: ყველაზე უფრო ხშირად პირველი რიგის პრობლემებს შორის სასწავლო პირობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სახელდება. უშუალოდ სასწავლო პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებული პრობლემების ხვედრითი წილი დაახლოებით ორჯერ ნაკლებია (იხ.სქემა№1,№2).

### რა ფაქტორები განსაზღვრავს, ძირითადად, უნივერსიტეტისადმი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების დამოკიდებულებას?

ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტისადმი პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულებას, ძირითადად, ოთხი ფაქტორი განსაზღვრავს: სასწავლო პროცესის მსვლელობა მთლიანობაში, ურთიერთობები (კოლეგებთან და სტუდენტებთან), ანაზღაურება და სასწავლო პირობები.

სტუდენტთა დამოკიდებულება კი ნაკლებად დიფერენცირებულია. იგი მხოლოდ ორი ფაქტორით: სასწავლო პროცესის მსვლელობითა და სასწავლო პირობებით არის წარმოდგენილი.

მაგრამ რამდენად განსაზღვრავს თითოეული ეს ფაქტორი უნივერსიტეტისადმი ზოგად დამოკიდებულებას, უნივერსიტეტის შეფასებას მთლიანობაში? ამ საკითხის ირგვლივაც სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პოზიცია ერთგვაროვანია: ორივე ჯგუფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესის მსვლელობის ფაქტორი აღმოჩნდა.

თუ უნივერსიტეტისადმი ზოგად დამოკიდებულებას 100%-ით გამოვსახავთ, ამ ასი პროცენტიდან სტუდენტებში 78% სასწავლო პროცესის ფაქტორზე მოდის, 22% — სასწავლო პირობებზე. პროფესორ-მასწავლებლებში კი სასწავლო პროცესის ფაქტორის ხვედრითი წილი 45%-ია, ანაზღაურების ფაქტორის — 19%, ურთიერთობების ფაქტორის — 18%, ხოლო სასწავლო პირობების ფაქტორის ხვედრითი წილი 18%-ს შეადგენს.

ასე რომ, ვითარება ნამდვილად საუნივერსიტეტოა: მთავარია სასწავლო პროცესი ნორმალურად წარიმართოს — სხვა ყველაფერი, მათ შორის სასწავლო პირობებიც მოგვარებადია. ამის შემდეგ, სიტყვა უკვე ადმინისტრაციას ეკუთვნის. (იხ.სქემა №3,№4)

### არის თუ არა უნივერსიტეტში ეიჯიზმი — თანამშრომელთა ასაკობრივი დისკრიმინაცია?

ეს საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსები დაიწყო. ჩვენი რესპოდენტებიდან ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი ოცდაორი წლისაა, ყველაზე ხანდაზმული — ოთხმოცის. პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 45-50 წელია. პროფესორ-მასწავლებელთა მიერ უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებების შეფასება არ აღმოჩნდა მათ ასაკზე დამოკიდებული. ასაკის მიხედვით დისკრიმინაცია არ დასახელებულა. ასე რომ, ეიჯიზმი როგორც მასშტაბური პრობლემა, უნივერსიტეტში ჯერჯერობით ვერ დავადასტურეთ.

### როგორი რექტორი გვინდა?

პროფესორ-მასწავლებელთა 55.3% და სტუდენტთა 39.4% თვლის, რომ რექტორი, პირველ რიგში, პატიოსანი, არაკორუმპირებული უნდა იყოს. სხვა მოთხოვნათა ხვედრითი წილი ამ პირობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება (იხ. ცხრილი).

და ბოლოს, როგორია წინასაახალწლო მოლოდინი რექტორის არჩევნების მიმართ? სტუდენტთა 59.8%-ს და პროფესორ-მასწავლებელთა 53.9%-ს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა. მიღებულ პასუხებთან თანაფარდობაში განხილული პროგნოზები კი შემდეგნაირია (იხ.სქემა№5,№6)

| რექტორი, პირველ რიგში, უნდა იყოს | პროფესორ-მასწავლებლები % | სტუდენტები % |
|---|---|---|
| პატიოსანი, არაკორუმპირებული | 55,3 | 39,4 |
| კარგი ორგანიზატორი | 19,0 | 17,1 |
| კარგი მეცნიერი | 10,1 | 6,0 |
| სტუდენტებთან ახლოს | 1,6 | 19,9 |
| სხვა | 14,0 | 17,6 |

საინიციატივო ჯგუფი — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტები:
ირაკლი მჭედლიშვილი, თეიმურ მაჭარაშვილი, თაკო შაოშვილი, ნანა ჟაზუკიანი, ანი კვინტრაძე




# სტუდენტის ალღო ყოველთვის სწორია

## ინტერვიუ პროფესორ ზურაბ კიკნაძესთან

ნინო კაკულია

**— განვლილი 2006 წელი უნივერსიტეტისთვის დაძაბული წელი იყო. საუნივერსიტეტო რეფორმა, კონკურსები, საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა. თქვენ როგორ შეაფასებდით რეფორმის მიმდინარეობის პროცესს. რა გამოიკვეთა?**

— რეფორმა, უდაოდ, გამართლებული იყო. ცხადია, კონკურსები უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ ვფიქრობ, რომ კონკურსის შედეგად უნივერსიტეტში უფრო მეტი აკადემიური პერსონალი უნდა დარჩენილიყო. ის, რომ შეიქმნა ჰუმანიტარული ფაკულტეტი, რასაც ზოგი ეწინააღმდეგება, ჩემი აზრით, ძალზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ფაკულტეტის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ჰუმანიტარული დარგების სრულყოფილად მფლობელი ადამიანი — ისტორიკოსი ჩახედული უნდა იყოს ენათმეცნიერებაში, ენათმეცნიერი — ისტორიაში, ლიტერატორი — ისტორიაში და ასე შემდეგ. ასევე, ფილოსოფიური ცოდნა უნდა მსჭვალავდეს ისტორიას, ენათმეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას... ადრე ეს ფუნდამენტური ჰუმანიტარული დისციპლინები ერთმანეთისგან მოწყვეტილი იყო. ასე რომ, ამ სიახლეს მივესალმები. მაგრამ ამ სიახლეს ჯეროვანი გამოყენება უნდა.

**— რამდენად მოგწონთ ახალი სისტემა: — სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს. დამოუკიდებლად რამდენად სწორად ირჩევენ სტუდენტები საგნებს და რამდენად სამართლიანნი იქნებიან ისინი ლექტორების შეფასებისას?**

— პირველკურსელი სტუდენტი ვერაფერს ვერ აირჩევს და ვერ შეაფასებს. სკოლა, ჯერჯერობით, ისეთ აბიტურიენტს ვერ ზრდის, რომელიც პირველივე კურსიდანვე შეძლებს საგნების სწორად არჩევას.

ჩვენს რეალობაში, სტუდენტები ეძებენ საგნებს, რათა კრედიტები დააგროვონ. სემესტრი თავდება და სტუდენტი ახლა ეძებს საგანს კრედიტების დასაგროვებლად. მერე ირკვევა, რომ ეს საგანი სრულებით არ აინტერესებს, შემცდარა არჩევანში. ჩემი აზრით, პირველ კურსზე არჩევითი საგნები არ უნდა იყოს. პირველკურსელები უნდა სწავლობდნენ სავალდებულო საგნებს — ზემოთჩამოთვლილი დარგების საფუძვლებს (ან შესავლებს) და ენებს.

რაც შეეხება ლექტორის შეფასებას, ცხადია, ეს როლი სტუდენტს ეკისრება, მაგრამ, აქაც, შეიძლება შეცდომა დავუშვათ. ვის როგორი ლექტორი მოსწონს: მკაცრი თუ თავზე ხელისგადამსმელი? საერთო ჯამში, სტუდენტის ალღო, მაინც, ყოველთვის სწორია. ლექტორი სტუდენტისთვის გაშიშვლებულია, ის ვერ დამალავს ვერაფერს, ვერც ქცევით, ვერც სიტყვით. ლექტორი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. ხშირად ვატყობ, რომ ზოგიერთი სტუდენტი ჩემზე მეტ ინფორმაციას ფლობს. თუმცა ინფორმაცია თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ ის შეგნებულ ცოდნად არ გარდაიქმნა.

სიახლეს თუ არ გადმოსცემს, ლექტორი მაშინვე გამოაშკარავდება. სტუდენტი მალევე შეატყობს, რომ ის ერთსადაიმავეს ღეჭავს. ლექტორს უნდა ჰქონდეს თავისუფალი დრო, რომ ყოველი ლექციისათვის მოემზადოს ან შესვენება (ერთწლიანი) კურსის გადასახალისებლად. ხანდახან მრცხვენია, როცა ერთსადაიმავეს ვიმეორებ. ასე მგონია, რომ ისევ ისინი მესწრებიან, ვისაც წინა წელს ჩემი ცოდნა უკვე გადავეცი. ამიტომ ლექტორის დატვირთვა კვირაში 4-6 საათზე მეტი არ უნდა იყოს.

**— ახალი წელი ახლოვდება. რას უსურვებთ უნივერსიტეტს, სადაც ასწავლით, სადაც ურთიერთობთ... რა უნდა დაიხვეწოს? რა უნდა შეიცვალოს?**

— უნდა დაიხვეწოს ურთიერთობა სტუდენტსა და ლექტორს შორის. სტუდენტი მართლა უნდა ირჩევდეს ლექტორსაც და საგანსაც. აბიტურიენტმა უნდა იცოდეს, რის შესასწავლად მოდის, ვის უნდა მოუსმინოს. ის სკოლამ უნდა მოამზადოს, ანუ სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის რეფორმა ერთდროულად უნდა ხორციელდებოდეს.

დღეს, მაინც, ქაოტურად მიმდინარეობს პროცესები. შედიხარ წყალში და არ იცი ცურვა. ძალიან ბევრი სირთულეა. პირველკურსელები მიდი-მოდიან, ეძებენ კრედიტებისთვის საგნებს, მაგრამ მათი არჩევანი ხშირად ფორმალურია. ეს პრინციპი — კრედიტი კრედიტისთვის უკეთესი არ არის ადრე არსებულ ტოტალურად სავალდებულო საგნების სისტემაზე.

**— ჩვენ შობამდე გვიწევს ახალი წლის აღნიშვნა. მთელი კათოლიკური სამყარო შობას ახალ წლამდე ზეიმობს. ჩვენთვის რა ფენომენია ეს ორი ახალი წელი?**

— ჩვენი ეკლესია, ჯერ-ჯერობით არ არის გადასული ახალ სტილზე. 20-იან წლებში ეკლესიაში ამაზე საუბარი იყო და დადგენილებაც მიიღეს, რომ გადავსულიყავით ახალ სტილზე, რაც ასტრონომიულად ნამდვილად შეესაბამება შობას.

25 დეკემბერი არის ის დღე, როდესაც მზე იწყებს წინსვლას და დღე მატულობს. ამიტომ დაინიშნა 25 დეკემბერს შობა, რომელსაც ადრეულ ქრისტიანობაში მაისში დღესასწაულობდნენ. შემდეგ გადაწყდა, რომ ეს ყოფილიყო დეკემბერში, როდესაც მზე მართლაც ძალას იკრებს და დღე მატულობს.

7 იანვარი — ეს უკვე თითქმის გაზაფხულია. ის დადგენილება, რომ შობა ჩვენც 25-ში აღგვენიშნა, შეჩერებულია. დღეს ამისთვის არ არის მომწიფებული აზრი არც საზოგადოებაში და არც ეკლესიაში. ჩემი აზრით, სინქრონიზაცია უნდა იყოს. მთელმა საქრისტიანომ დღესასწაული მაინც მთელ მსოფლიოში ერთად უნდა იზეიმოს, მიუხედავად კონფესიური განსხვავებებისა. ამ ერთში, ამ ერთ დღეს მაინც იყოს საქრისტიანო ერთიანი. ისლამი ერთიანდება, ქრისტიანობა დაქუცმაცებულია — ნორმალურია ეს?

**— როგორი ქართულით ვლაპარაკობთ? — დგას თუ არა ჩვენს წინაშე ეს პრობლემა?**

— არ ვლაპარაკობთ კარგი ქართულით. ქართული ენა არის უძველესი და უნიკალური, უნათესაო ენა, ამ ენაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია.

**— მოჭარბებული პოლიტიკის პრობლემა რამდენად გაწუხებთ? ხშირად აღნიშნავენ, რომ პოლიტიკა დღეს ყველა სფეროს წარმართავს და ჩვენი მოსახლეობა დაიღალა ამდენი პოლიტიკით.**

— სანამ პოლიტიკოსები ჯერ მოწოდებით, და მერე განათლებით არ იქნებიან პოლიტიკოსები, მანამდე არაფერი გვეშველება. პოლიტიკაში მოდიან ფიზიკიდან, ქიმიიდან... ცურვა არ იციან — ისე შედიან ზღვაში. ხელებს ამოძრავებენ და თავი პოლიტიკოსები ჰგონიათ. არავითარი პოლიტიკა, არავითარი დიპლომატია ჩვენთან არ არის. იგი უმთავრესად ყოველდღიურ ინტერესებზე, ემოციებზეა აგებული. არ არსებობს დიპლომატია რუსეთთან. ეს არის უდიდესი ჩავარდნა. შეიძლება რუსეთზე ისე ილაპარაკო, როგორც დღეს საუბრობენ? — ეს რა გვიქნა რუსეთმაო? რუსეთი გუშინ ხომ არ გავიცანით? არაფერი გაგვიგია მის შესახებ? რუსეთის ისტორიის ბორბლის შეჩერება უძნელესია, შეუძლებელი თუ არა. გორბაჩოვმა შეძლო 70 წლის ბორბლის შეჩერება და კინაღამ ქვეშ მოყვა... ივანე მრისხანედან მოყოლებული იმპერიალისტური ვნებები გამჯდარია რუსეთის პოლიტიკაში, ხალხში, რასაც ჩვენ ვერ ჩავუცხრობთ... ვინც არ უნდა დაჯდეს რუსეთის ტახტზე, თუნდ უდიდესი დემოკრატი იყოს, ოთხასი წლის წინათ დატრიალებულ ბორბალს ვერ შეაჩერებს...



**— სად არიან ჩვენი მწერლები? რატომ პასიურობენ? მათ ხომ შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრი შეცვალონ და ხელისუფლებაც სხვაგვარი მოქმედებისთვის განაწყონ?**

— ახლა დუღილის პერიოდია. ბევრი ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ისეთი რეზონანსი არ აქვთ. ცხოვრების წესი შეიცვალა. ადრე მათ ავტორიტეტზე ხელისუფლება ზრუნავდა, ზოგს, გასაგებია, უქმნიდა კიდეც ამ ავტორიტეტს დაუმსახურებლად და ერის წინამძღოლად თვლიდა. ახლა მწერალი მინებებულია თავის თავზე და მკითხველზე. რომ ამბობენ, ხელისუფლება მწერლობას ყურადღებას არ აქცევსო... რა ყურადღება უნდა მიაქციოს? შენ თავად უნდა გაიტანო თავი, გაიმარჯვო, მიხვიდე მკითხველამდე, მოიპოვო მკითხველი. მწერალს რა საქმე აქვს ხელისუფლებასთან?...

მწერლები ერის წინამძღოლები აღარ არიან. ეს ხდებოდა მე-19 საუკუნეში, როცა სახელმწიფო არ იყო და როცა ილია და ჩვენი მწერლები ყველაფერს ითავსებდნენ. ის მწერალიც იყო, პუბლიცისტიც, ერის ლიდერიც, მოსეც... დღეს ამის საჭიროება აღარ არის. სახელმწიფო არსებობს, ხელისუფლება არის, მწერალმა კი თავი დამოუკიდებლად უნდა დაიმკვიდროს, თავის ვარსკვლავს მისდიოს.

# ვინ არიან „წლის საუკეთესო ლექტორები“

## სტუდენტებმა საყვარელი ლექტორი დაასახელეს

პირველი გვერდიდან

იცვლება სწავლების მეთოდებიც. ორჯერ ორი რომ ოთხია, შეიძლება თითებით ვაჩვენოთ, შეიძლება ხელები არ დავღალოთ და ჩხირები, ან სულაც, ოთხი ვაშლი გამოვიყენოთ.

თბილისის უნივერსიტეტში მსოფლიოს დაპყრობის საიდუმლო და ხეზე ცოცვის ხერხი არა, მაგრამ სწავლების ახალი ფორმა ნამდვილად მკვიდრდება. ვისთვისაც ეს მისაღებია, თუ შეიძლება, „გავატაროთ“ და ვნახოთ, რეფორმა რა შედეგს მოიტანს. ჩვენი წინასაახალწლო გამოკითხვის შედეგებმა ერთი რამ დაადასტურა: სტუდენტებს მოსწონთ, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება. ეროვნული გამოცდებით მოსულ ახალგაზრდებს მოვლენებისადმი განსაკუთრებული ხედვა აქვთ. ისინი უფრო თავისუფალნი და მომთხოვნები არიან პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ ისინი არა მარტო ცოდნის ხარისხს აფასებენ ლექტორებში, არამედ იმასაც, როგორია მიდგომა მათ მიერ



არჩეული პროფესიის მიმართ. მათი აზრით, ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობა უფროსი და უმცროსი კოლეგების შეთანხმებულ მუშაობაზე უნდა იყოს დამყარებული.

კიდევ ერთი განმასხვავებელი დეტალი: წინა თაობის სტუდენტებისაგან განსხვავებით, ისინი უფრო თამამები და გულახდილები არიან. ჩვენს თხოვნაზე, დაესახელებინათ საყვარელი ლექტორი, სიამოვნებით დაგვთანხმდნენ, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც თავი შეიკავეს თავიანთი პოზიციის გამოხატვისგან. ზოგიერთ ჭირვეულს არც ერთი ლექტორი არ მოსწონს, ზოგიერთს — პირიქით, ყველა მოსწონს. თუმცა, რადიკალურად მოაზროვნე ბევრი არ არის, ძირითადად, ყველას ჰყავს გამორჩეული ლექტორი და ასაბუთებს კიდეც მიზეზს. მათი პასუხების მიხედვით მკითხველი თვითონ მიხვდება, ვინ დაიმსახურა „წლის საუკეთესო ლექტორის“ ტიტული.

**გიოგი ავალიანი,** სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე:

— ჩემი საყვარელი ლექტორი **ემზარ ჯგერენაიაა.** მერწმუნეთ, ეს ჩემი კურსელების აზრიც არის. იგი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაჟო საქმეს გვიკითხავს. გარდა იმისა, რომ თავისი საქმის პროფესიონალია, მის მიერ ახსნილი თეორიული მასალა ყოველთვის პრაქტიკული სამუშაოთია განმტკიცებული.

**თემურ ხვედელიძე,** სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების პოლიტოლოგიის მიმართულების მეორეკურსელი:

— პოლიტოლოგია ჩემი საყვარელი საგანია. ვთვლი, რომ პოლიტოლოგს თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი დეტალი არ უნდა გამოეპაროს. ჩვენი ფაკულტეტის კათედრის გამგე **მალხაზ მაცაბერიძე** კარგად ერკვევა დღევანდელ ვითარებაში. მან გაითავისა რეფორმის თავისებურებანი და ამიტომ მისი წაკითხული ლექციები სრულიად აკმაყოფილებს სტუდენტების მოთხოვნებს.

**ნატა უზუმაშვილი**, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის მესამეკურსელი:

— ჩემი საყვარელი ლექტორია **თამაზ ჯოლოგუა.** ეს არის პიროვნება, რომელიც ისე მოგაწვდის ყველაზე რთულ მასალასაც კი, რომ ყველაფერი ნათელი ხდება. იგი ჩვენს ფაკულტეტზე ფუნდამენტური ჟურნალისტიკის კურსს კითხულობს. მინდა, ჩვენი დეპარტამენტის სტუდენტების სახელით ახალი წელი მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. ჩემი მეგობრები დამეთანხმებიან, რომ იგი ძალზე საინტერესო პიროვნებაა. ბატონი თამაზი ისე გვექცევა, როგორც უმცროს კოლეგებს. ეს კი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

**ზაურ ხაჩიური**, იურიდიული ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის სპეციალობის მესამეკურსელი:

— თუ ტენდენციურობაში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ ჩემი საყვარელი ლექტორი **გიორგი ხუბუაა.** იგი ძალიან ღირსეული ადამიანია, და, რაც მთავარია, სტუდენტებთან ურთიერთობაში ობიექტურობით გამოირჩევა. იგი ყოველთვის გვიტოვებს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით განსჯის უფლებას. პირად ურთიერთობაში ბატონი გიორგი ძალიან უშუალოა. ხშირად გვავიწყდება, რომ რექტორია და თავისუფლად ვსაუბრობთ სხვადასხვა თემებზე. ვულოცავ მას ახალ წელს და ვუსურვებ დაწყებული საქმის წარმატებით განხორციელებას.

**ვასილ გერგედავა**, მედიცინის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი:

— **არჩილ ხომასურიძე** არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში აღიარებული პროფესორია, მეამაყება, რომ ასეთი ლექტორი მასწავლის. ჩვენს ფაკულტეტზე თანამედროვე მეთოდებით მიმდინარეობს სწავლება. ყველა პირობაა შექმნილი, რომ კარგი განათლება მივიღოთ. და კიდევ, რაც ჩვენს



დარგში მთავარი და აუცილებელია, უშუალო კონტაქტი გვაქვს პაციენტებთან.

**დათო ხვედელიძე**, მედიცინის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი:

— **არჩილ ხომასურიძე** სტუდენტების უსაყვარლესი ლექტორია, ყოველი ახალი მეთოდი და მიღწევა, რომელიც ენდოსკოპიებს, ე.წ. უსისხლო ოპერაციებს ეხება, ჩვენთვისაც ხელმისაწვდომია. ლექციები სლაიდების საშუალებით ტარდება. ბატონი არჩილის ხელშეწყობით მჯერა, რომ ნამდვილი პროფესიონალები გავხდებით.

**ნინო ლომოური**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტი:

— მხოლოდ მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი ყოფილი ლექტორის, ასოცირებული პროფესორის **ნანა მამაცაშვილის** მიმართ, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გვასწავლა. მინდა საახალწლოთ სიკეთე და ბედნიერება ვუსურვო.

**აკაკი სტურუა**, იურიდიული ფაკულტეტის მესამეკურსელი:

— ჩემი საყვარელი ლექტორია **ზურა ძლიერიშვილი.** შემიძლია მის პროფესიონალიზმზე ბევრი ვისაუბრო, მაგრამ ერთ მთავარ ღირსებას აღვნიშნავ — სტუდენტებთან ურთიერთობის უნარს. მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ჩვენი პრობლემები, ცდილობს გვერდით დაგვიდგეს და დაიცვას სტუდენტის უფლებები.

**ხატია ლუტიძე,** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის მესამეკურსელი:

— **თამაზ ჯოლოგუას** აქვს უნარი, ყველა ლექციაზე გაგვაოცოს ახალი ინფორმაციით და ჩვენთვის საინტერესო ამბებით. მისგან ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. იგი მუდამ მზად არის მოგისმინოს და მოგეხმაროს.

**მარიამ ჩხარტიშვილი**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მესამეკურსელი:

— **რისმაგ გორდეზიანის** სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ, ანტიკური ლიტერატურა ჩემი უსაყვარლესი საგანი გახდა. გაოცებული ვარ ბატონი რისმაგის ცოდნის დიაპაზონით. მინდა, მას დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო.

**მაკა ლანიაშვილი**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის მესამკურსელი:

— ძალიან მიყვარს **თამაზ ჯოლოგუა**, თუ ეს ადამიანი გასწავლიდა, აუცილებლად იმაზე უკეთესი გახდები, ვიდრე იყავი. მასში პროფესიონალიზმი და საუკეთესო ადამიანური თვისებები ჰარმონიულად არის შერწყმული.

**გიორგი გაბრიჩიძე**, მედიცინის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი:

— ქირურგიის პედაგოგი **ავთანდილ ღირდალაძე** გამორჩეული პიროვნებაა. დამეთანხმებით, ლექტორის სიყვარულს განაპირობებს, თუ როგორ გადმოგვცემს ცოდნას და როგორია პირად ურთიერთობაში. ეს პიროვნება ჩვენი, სტუდენტების მოთხოვნებს ბოლომდე აკმაყოფილებს.

**თამარ ხვედელიძე**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების მესამეკურსელი:

— ძალიან მომწონს უნივერსიტეტში სწავლა, ბევრ საინტერესო საგანს ვეცნობი, არც ლექტორებს ვემდური, მაგრამ ჩემი საყვარელი ლექტორი მაინც მყავს — **მარინა ჩიტაშვილი.** იგი ზოგადი ფსიქოლოგიის კურსს გვიკითხავს. მესამე კურსიდან, როცა მოხდა დიფერენცირება, ქალბატონი მარინას დახმარებით შევძელი ჩემთვის საინტერესო სპეციალობა ამერჩია.

**ირაკლი მეგრელიშვილი**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების მესამეკურსელი:

— უნივერსიტეტში ბევრი ისეთი ლექტორია, რომლებსაც სტუდენტები პატივს ვცემთ და ვენდობით. მათ შორის, **გიორგი სულაშვილს, სერგი კაპანაძეს** და **მალხაზ მაცაბერიძეს** გამოვარჩევდი. ვულოცავ მათ ახალ წელს და ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

**ნინო გოგუა,** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპატრამენტის მეორეკურსელი:

— ჩემი საყვარელი ლექტორია **მარინა ვაშაყმაძე.** ლექციის პროცესში ყველა სტუდენტი თანაბრად არის ჩართული. გვაქვს დისკუსიის საშუალება და შესაბამისად, მისი ყოველი ლექცია საინტერესოა.

**თეონა ჭალიძე,** ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიამრთულების მესამეკურსელი:

— ლიტერატურის თეორიის ლექტორი **ირმა რატიანი** ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სწავლების ახალი მეთოდები დაინერგოს უნივერსიტეტში. სხვებისგან განსხვავებით, სილაბუსები ყოველთვის წესრიგში აქვს, ამიტომ ვიცით, როგორ მოვემზადოთ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**გაგა ხაბულიანი**, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

— დავამთავრე თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, ახლა კი იურიდიულზე ვსწავლობ. რეფორმები ძალიან მომწონს. ასე თუ გაგრძელდა, იქნებ მესამე ფაკულტეტზეც ჩავაბარო. მინდა ჩემი მეგობრების აზრი გამოვხატო და აღვნიშნო, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა საამაყოა.

რაც შეეხება ლექტორებს, მართალია, ყველა თანაბრად კარგი და სტუდენტის მოსაწონი ვერ იქნება, მაგრამ ზოგმა ურთიერთობა არ იცის, ზოგიერთი კი კარგი საურთიერთობოა, მაგრამ საგანი არ იცის სათანადოდ. როგორ შეიძლება დავადგინოთ, ვინ არის საყვარელი ლექტორი? ადვილად მიხვდებით, თუ აუდიტორიებში შეიხედავთ — ვის ლექციებზე დადიან სტუდენტები და ვისზე — „თავ-პირს ამტვრევენ“ ერთმანეთს. ჩვენ საახალწლოდ ყველას წარმატებას და ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებთ.

### შეკითხვა რექტორატს

**ქეთი მაჭავარიანი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეოთხეკურსელი:**

**— უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, აკადემიური წარმატების მიხედვით „ლურჯი“ ან „წითელი“ ფერის დიპლომი ეძლეოდა, საინტერესოა, როგორ დიპლომებს მოგვცემენ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ექნებათ თუ არა მათ განსხვავებული ფორმა აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით?**

**თინათინ კაკუშაძე, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:**

— მიმდინარე წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, ფაკულტეტების დეკანატებთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის ერთი ტიპის დიპლომის გაცემის თაობაზე. რაც შეეხება კურსდამთავრებულის აკადემიურ მოსწრებას, იგი აისახება დიპლომის დანართში.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები მეცამეტე ხელფასს მიიღებენ. შეეხება თუ არა ეს ყველას?**

**მურმან ცარციძე, საფინანსო სამსახურის უფროსი:**

— უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები საახალწლოდ პრემიას მიიღებენ. საბიუჯეტო სახსრებისა (210 000 ლარი) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეფორმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი სახსრების ეკონომიის (361 400 ლარი) ხარჯზე საშუალება მოგვეცა, რომ ეს თანხები მიმართულიყო აკადემიური პერსონალის, ასევე, ადმინისტრაციის თანამშრომელთა პრემირებაზე. ეს არ გახლავთ მეცამეტე ხელფასი, როგორც ამას კულუარულად ამბობენ.

მოგეხსენებათ, რომ პრემირების სისტემა, პირველ რიგში, ითვალისწინებს ღირსეული, მოწინავე კადრების წახალისებას შერჩევითი პრინციპის საფუძველზე. ამიტომ ფაკულტეტების ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას ჩვენ მივეცით საშუალება თავად წარმოადგინონ სია იმ პროფესორ-მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა, რომლებიც წახალისებას იმსახურებენ. დეკემბრის თვის ხელფასი ყველა კატეგორიის პერსონალისათვის უკვე დარიცხულია.

ვინაიდან მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი, გვინდა, წახალისდეს ის პერსონალი, ვინც აქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო რეფორმაში და ვისაც უნივერსიტეტისთვის კეთილი საქმის გაკეთება უნდა.

პრემიას არ მიიღებს თანამშრომელთა ის კატეგორია, რომელიც სემესტრის განმავლობაში თავს ვერართმევდა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას. იგულისხმება — ლექციების გაცდენა, ლექციების უხარისხოდ წაკითხვა, თანამდებობრივი მდგომარეობის არაკეთილსინდისიერად გამოყენება.

### მიმართვა

## არ გვინდა ხანძარი!

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ გამოსცა ბრძანება (N01.01/285), უნივერსიტეტის კორპუსებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის გამკაცრებისა და გაძლიერების შესახებ. თითოეული უნივერსიტეტელი ვალდებულია დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ, დაუშვებელია თამბაქოს მოწევა კანონით აკრძალულ ადგილებში, კუსტარული წესით დამზადებული ელექტრო-გამათბობელი ხელსაწყოების ხმარება, ადვილად აალებადი სითხეებით იატაკის გაწმენდა...

აღნიშნულ ღონისძიებებზე კონტროლი დაევალათ თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს. ისინი კორპუსებში რეგულარულად აწარმოებენ რეიდებს. ამ რამდენიმე დღის წინ, მარტო პირველსა და მეორე კორპუსების კაბინეტ-ლაბორატორიებს ჩამოართვეს 50-ზე მეტი კუსტარული წესით დამზადებული და ხანძრისათვის სახიფათო ელექტროღუმელი.

**გივი მაისურაძე**, თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე სახანძრო უსაფრთხოების დარგში:

— მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ზოგიერთი სტუდენტი და თანამშრომელი მაინც არ იცავს ხანძარსაწინააღმდეგო ზომებს. ყველას გთხოვთ, დაემორჩილეთ კანონს, რათა თავიდან ავიცილოთ ის მძიმე შედეგები, რაც ხანძრის შემთხვევაშია მოსალოდნელი.

# სამომხმარებლო კალათის გავსება უკვე პროფესორის არჩევანზეა დამოკიდებული

## საახალწლო საჩუქარი – პრემია

ნინო კაკულია

ახალი წელი მალე მოვიდა, ვერ მოვასწარით იმის გაკეთება, რაც წესით 2006 წელში გვქონდა ჩაფიქრებული. რა ჩვენი ბრალია, დედამიწა თურმე უფრო ჩქარა ბრუნავს.

ჩვენს წინასაახალწლო განწყობილებაზე რუსეთი, კიდევ კარგი, რომ აღარ ზრუნავს, მაგრამ გაძვირებულ ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიას რომ გვამადლის, ცოტა არ იყოს, გვთრგუნავს. ეს რა ჩვენი ხელისუფლების ბრალია, მეზობელი გვყავს ასეთი...

,,მხიარულმა" ფასებმა ბაზარსა თუ ბაზრობებზე ისე გაგვწაფა, რომ ოჯახის ბიუჯეტის მიზნობრივად განკარგვაში ჩვენი მთავრობის მაღალკრედიტიანი მოსწავლეები გავხდით. რას ვერჩით მთავრობას, თუ ფასების მომატება პროდუქტებზე მოთხოვნილების გაზრდამ განაპირობა.

პრობლემები თურმე ჩვენსავე თავშია მოსაძებნი, მაგრამ ახლა ახალი წელი მოდის და თვითგვემისთვის არავის სცალია.

ვინ თქვა, საქართველო მდიდარი ქვეყანა არ არისო? – ამას უეჭველად გაიფიქრებს ყველა უცხოელი, საახალწლო სამზადისის ჩვენებურ ბუღს თუ შეავლებს თვალს. მოსახლეობის ნაწილს სახლში უკვე გოჭი, ინდაური და ნიგოზი ნაყიდიც და დამუშავებულიც აქვს. მათ კი, ვინც მხოლოდ გოზინაყს შეიგულიანებს, ახალი წლის მადლით, მაინც ლხინისთვის ინახავს ნერვებსა და თავს.

როგორ არის საქმე უნივერსიტეტში, სადაც კონკურსების შემდეგ პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები ორჯერ მაინც გაიზარდა. როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ხუბუა აღნიშნავს, სასურველია, რომ კიდევ უფრო მეტად დაფასდეს პროფესორის შრომა და ამაზე უნივერსიტეტი კვლავაც იზრუნებს.

სოციალური პრობლემების მიუხედავად, პროფესორ-მასწავლებლები არასდროს უქმნიდნენ დისკომფორტს ხელისუფლებას და ხმამაღლა არასდროს საუბრობდნენ თავიანთ გასაჭირზე. ახალი წელი მოდის. დღეს, ჩვენ მაინც შეგვიძლია მათ მატერიალურ შესაძლებლობებზე ვისაუბროთ და დავსვათ შეკითხვა, რამდენად აქვთ იმის საშუალება, რომ ისე მიიღონ სტუმარი, როგორც ეკადრებათ? ეს მათთვის, განსაკუთრებით კი ხანდაზმული პროფესორებისთვის მტკივნეული თემაა. მათში განსაკუთრებით ჭარბობს ჩვენი მენტალობა და ტრადიცია. იმედია, სოციალური პრობლემების გამო ხშირად სტუმრად წასვლაზე უარის თქმა და სტუმრის მიღებისას ნერვიულობა, მალე, წარსულს ჩაბარდება.

როგორ ივსება პროფესორის სამომხმარებლო კალათა ახალი წლის მოახლოებასთან ერთად? რამდენად აქვთ პროფესორებს იმის საშუალება, შეიძინონ ყველაფერი, რაც ახალი წლისთვის სჭირდებათ?

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ღირსეული აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები წინასაახალწლოდ პრემიას მიიღებენ. დეკემბრის ხელფასი კი, წინასწარ, 21 დეკემბრისთვის უკვე გაიცა. საახალწლო ,,საჩუქარი" უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს იმის საშუალებას ნამდვილად მისცემს, რომ წინა წლებთან შედარებით ღირსეულად შეხვდნენ ახალ წელს.

ასე რომ, სამომხმარებლო კალათის გავსება უკვე პროფესორის არჩევანზეა დამოკიდებული.

# გარეული ტახის წელს, შეიძლება, შინაური გოჭის გარეშე შევხვდეთ (?!)

## ინტერვიუ პროფესორ ნოდარ ხადურთან

**– საახალწლოდ უნივერსიტეტის თანამშრომლები ხელფასსა და პრემიას მიიღებენ. პროფესორის სამომხმარებლო კალათა, ადრინდელთან შედარებით, ალბათ, უფრო გაივსება. თუმცა პროდუქტებზე გაზრდილი ფასები არჩევანში მაინც გზღუდავთ. რით შეივსება თქვენი კალათა?**

– ახალ წელს როგორც შევხვდებით, ისე გავატარებთ – ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რა განწყობილებით ვხვდებით მას. იმედია, ახალ, 2007 წელს, კარგად გავატარებთ, თუმცა ფასების ზრდა მთლად სასიკეთოდ ვერ აისახება ჩვენს საახალწლო გუნება-განწყობაზე. გარდა იმისა, რომ წლის განმავლობაში ფასები დაახლოებით 10%-ით გაიზარდა, სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, საახალწლოდ, ამ მხრივ, ბუმი იქნება და გარეული ტახის წელს, შეიძლება, შინაური გოჭის გარეშეც შევხვდეთ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში პროფესორთა ხელფასი გაიზარდა, და, ასე ვთქვათ, ჯერადი მატებაა, სამწუხაროდ, ჯერ მაინც ვერ ვიტყვით, რომ უნივერსიტეტის პროფესორს ხელფასზე პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეს. უამრავი თეორია არსებობს ხელფასებთან დაკავშირებით, რომ ადამიანს ხელფასი მისი საქმიანობის აუცილებლობიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე უნდა დაენიშნოს. სამწუხაროდ, იმას ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი დღევანდელი ხელფასი უნივერსიტეტის პროფესორსა და მის კვალიფიკაციას შეესაბამება. თუმცა პროცესი დაძრულია და იმედია, რომ მომავალ წელს ხარვეზი გამოსწორდება. რამდენი ლაფიც არ უნდა გვესროლონ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა მაინც ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილია, ვგულისხმობ როგორც ძველი თაობის, ისე ახალი თაობის წარმომადგენლებს. სწორედ აქ არის თავმოყრილი ის ინტელექტუალური ძალა, რომელსაც ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია და მათ დაფასება ჭირდებათ.

**– რატომ იზრდება ქვეყანაში ფასები? როგორ აანალიზებთ ამ პრობლემას სტუდენტებთან ერთად?**

– მე მეოთხეკურსელებს მაკრო-ეკონომიკის სპეციალობას ვასწავლი და, მადლობა ღმერთს, რომ მათ იციან, რა ხდება ქვეყანაში. ასეთი კითხვები, შესაძლოა, უფრო პირველ და მეორეკურსელებს გაუჩნდეთ, რომელთათვისაც ეკონომიკა ახალია. თუმცა ის, რომ მეოთხეკურსელები არ სვამენ ამ შეკითხვებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ეს არ აწუხებთ.

უბრალოდ, იციან, რომ ქვეყანაში არის ინფლაცია. იციან ისიც, რამ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას.

ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ინფლაციას ბევრი რამ განაპირობებს. რამდენიმე წლის წინ ქვეყანაში კონტრაბანდული საქონელი შემოდიოდა. რა მნიშვნელობა აქვს, სნიკერსი კონტრაბანდულია თუ



არაკონტრაბანდული? ცხადია, რომ არაკონტრაბანდული უფრო ძვირია, ვიდრე კონტრაბანდის გზით შემოტანილი. ეს არის პირველი ფაქტორი, რამაც, ჩემი აზრით, გამოიწვია ინფლაცია.

რასაკვირველია, კარგია, რომ გაიზარდა ხელფასები, პენსიები, დახმარებები, მაგრამ ეს ფული მიდის ბაზარში. და ჩემმა მეოთხეკურსელმა სტუდენტმა ძალიან კარგად იცის, რომ თუკი ქვეყანაში გაიზრდება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა, ეს აუცილებლად განაპირობებს ფასების ზრდას. არსებობს სხვა ფაქტორებიც, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური – ვთქვათ, ფსიქოლოგიური ფაქტორი. ვილაცა, შეიძლება, გამოვიდეს და ჭორი გაავრცელოს, რომ ხვალ მაიონეზი გაძვირდება და მაიონეზი მართლაც გაძვირდება, რადგან ყველა გაიქცევა მაიონეზის საყიდლად. ჩემმა მეორეკურსელმა სტუდენტმაც კი იცის, რომ თუკი მოთხოვნა გაიზრდება – ეს გამოიწვევს ფასების ზრდას. რატომ ძვირდება საახალწლოდ გოჭი? იმიტომ, რომ გაზრდილია მასზე მოთხოვნა. ეკონომიკა ძალიან საინტერესო მეცნიერებაა. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეკონომიკა მოსაწყენია, რომ ის დოგმატური მეცნიერებაა. სულაც არა. ეკონომიკა საკმაოდ საინტერესო და სახალისოა.

**– ქართველებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ლხინის მიმართ. როგორც ეკონომისტი, რას გვირჩევთ, როგორ დავგეგმოთ ოჯახის ბიუჯეტი ისე, რომ საახალწლოდ მხოლოდ ,,ჩიტის რძე" გვაკლდეს?**

– თუ წმინდა ეკონომისტის აზრი გაინტერესებთ, ამ შემთხვევაში, არსებობს ასეთი – დანახარჯები – სარგებლის ანალიზი. ერთ მხარეს უნდა დავდოთ დანახარჯები – რა დანახარჯი გვიწევს და მეორე მხარეს – ამისაგან რა სარგებელს მივიღებთ. დანახარჯები გასაგებია – უამრავი იქნება – უნივერსიტეტის პროფესორს ერთი თვის ხელფასი ნამდვილად არ ეყოფა. სარგებელი რა იქნება? – მომატებული წონა, გულის ტკივილები, მძიმე ბახუსი და ა. შ. ეს მინუსებშია წასული. პლუსებში – მხიარულება, სიამოვნება, მეგობრების ნახვა, მათთან ერთად მოლხენა, სტუდენტობისდროინდელი ამბების გახსენება...

მაინც ვიტყვი, რომ ქართველი სტუმართმოყვარეა და ამ დღეს სტუმარს ელოდება. შეიძლება ვალი აიღოს, მაგრამ სტუმარს კარგად გაუმასპინძლდება. ეს ეკონომიკურად აბსოლუტურად გაუმართლებელია. როგორც ეკონომისტი, გეტყვით, რომ ეს რესურსების არაეფექტიანი გამოყენებაა, მეორეს მხრივ, სარგებლიანობაც ძალიან დაბალია – ახალი წლის დღეებში ამდენი საჭმელი ნამდვილად არავის ჭირდება, ანუ ეკონომიკურად, ეს, აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილებაა. ფსიქოლოგიურად კი, ადამიანური ურთიერთობების გაღრმავებისათვის, ეს მაინც კარგია. სამწუხაროდ, ეკონომიკურმა მდგომარეობამ ჩვენ იმის საშუალება მოგვისპო, რომ სტუმრად ხშირად ვიაროთ. ახალ წელს კი ვიცით, რომ ყველას ყველაფერი ექნება და ამაყად მივდივართ ერთი ბომბონიერითა და შამპანურით.

**– ანუ დანახარჯი უფრო მეტია, ვიდრე სარგებელი.**

– გეთანხმებით, დანახარჯი მეტია, ვიდრე სარგებელი, მაგრამ ადამიანი რობოტი და კომპიუტერი ხომ არ არის. ადამიანის ცხოვრება ბევრი ისეთი ფაქტორისაგან შედგება, როცა, მაგალითად, სარგებლიანობას ვერ გაზომავ ლარებში. რა სარგებლობა მოაქვს მამალს? – შეიძლება გაიგო, მაგრამ რა სარგებლობა მოაქვს ახალ წელს? – ამას ვერ დათვლი.

**– ეკონომიკაში რა მიგაჩნიათ წლის მოვლენად?**

– ბევრი მოვლენაა, რომელთაგან ზოგმა კარგი, ზოგმა კი ცუდი კვალი დატოვა საქართველოზე: ენერგობლოკადა – რაც შარშან იანვარში განიცადა საქართველომ, რუსეთის მხრიდან ღვინის, მინერალური წყლების, ხილისა და ციტრუსის, მწვანილის ემბარგო. წლის მოვლენად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედება. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ რესპუბლიკის ბანკის პარტნიორი გახდა ჯენერალ სოსიეტი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ბანკმა აქციების გაყიდვა დაიწყო ლონდონის საფონდო ბირჟაზე. მოკლედ, ძალიან ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ასე უცებ, შეიძლება, ვერ შევიგრძნოთ დიდი წინსვლა, მაგრამ თუ პატარა აგურებს დავაწყობთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საძირკვლის ჩასხმა დაწყებულია.

რუსებს მადლობა – კარგი ღვინო, ბორჯომი და ლიმონათი, ახლა, ბევრი გვაქვს... მთავარია მშვიდობა იყოს. შეიძლება ისე ვერ იზეიმო, მაგრამ კარგ ხასიათზე იყო – ეს მთავარია. მინდა მივულოცო უნივერსიტეტის პროფესურას, სტუდენტებს დამდეგი ახალი წელი და ვუსურვო მთელი წლის მანძილზე კარგ გუნებაზე ყოფნა.





# ზოგს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, ზოგს კი პირიქით...

## ინტერვიუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან აკაკი ცომაიასთან

**– როგორ განვკარგოთ ჩვენი ბიუჯეტი ისე, რომ ახალი წლის მოახლოებით მიღებული სიამოვნება შეგვერგოს?**

– პასუხის გაცემა ძალიან რთულია, იქიდან გამომდინარე, რომ გამზადებული რეცეპტი – თუ როგორ უნდა განვკარგოთ ბიუჯეტი, ფაქტობრივად, არ არსებობს – ამას ყველა ინდივიდუალურად უდგება. უნივერსიტეტში პროფესორის ხელფასი 720 ლარს შეადგენს. ასოცირებული პროფესორის – 560 ლარს. თუ პრობლემას ამ გადასახედიდან შევხედავთ, შესაძლებელია, ახალ წელს მთელი შენი ხელფასი დახარჯო და არაფერი მოიკლო, ან გააკეთო დანაზოგი და შედარებით მწირ საახალწლო სუფრას დასჯერდე. ეს ინდივიდუალურია და თითოეული ადამიანი ამას თავად წყვეტს. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც ურჩევნია ერთ დღეს დახარჯოს ფული და არის მეორე კატეგორია, რომელიც მას სამომავლოდ ზოგავს.

მე, პირადად, ახალი წელი გოჭის, საცივის და გოზინაყის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ამიტომ „მსხვერპლს გავიღებ." სხვებს კი ვურჩევ, შეიძინონ ,,არამალფუჭებადი" პროდუქტები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახება. საქართველოში ხომ მთელი იანვარი, ფაქტობრივად, დღესასწაულის თვედ ითვლება.

**– ეკონომიკაში რა მიგაჩნიათ წლის მოვლენად?**

– საინტერესო შეკითხვაა. მე აქცენტს გავამახვილებ იმ მიმართულებით, რომ მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები, რის შედეგადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი საქართველოში საკმაოდ მაღალია. წლის მთავარი მოვლენა არის ის, რომ მთლიანი აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკის თავისუფლებისა



და ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით. ძალიან ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველო შეაფასა, როგორც ერთერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და რეფორმატორული ქვეყანა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა წელს, ნოემბერში, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, უნივერსიტეტებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან მოწვეული ძალიან ბევრი ცნობილი პროფესორის და მეცნიერის, მათ შორის, ნობელის პრემიის ერთერთი ლაურეატის მიერ გამოთქმული ოპტიმისტური შეფასებები. დღევანდელ მთავრობას აღებული აქვს კურსი და მომავალშიც გეგმავს ეკონომიკური პროცესების სწრაფ და ეფექტურ მართვას.

წლის ეკონომიკური მოვლენა არის სწორედ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, რასაც გარკვეული ნეგატიური მოვლენაც ახლდა თან, კერძოდ, ინფლაცია, თანაც უფრო მაღალი, ვიდრე ეს წინა წლებში იყო. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ტემპი იმდენად ძლიერია, რომ ინფლაციამ, სოციალურ ფენებს, ასე ვთქვათ, დარტყმა ვერ მიაყენა.

**– ვინ მიგაჩნით თქვენს ფაკულტეტზე წლის საუკეთესო ადამიანად?**

– ჩვენ ჯერ მზად არ ვართ, რომ ასეთი ადამიანი კონკრეტულად დავასახელოთ, თუმცა ვქმნით სისტემას, ვადგენთ შეფასების კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც თამამად შევძლებთ, უახლოეს მომავალში, ასეთი ადამიანის გამოვლენას. ერთერთ კრიტერიუმად მივიჩნიეთ სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. შემდეგ ამ მონაცემებს ჭირდება ანალიზი და გარკვეული დროის მერე გვეცოდინება – თუ ვინ არის სტუდენტებისათვის ყველაზე რეიტინგული პროფესორი ჩვენს ფაკულტეტზე. როგორც გითხარით, ვამუშავებთ სხვადასხვა კრიტერიუმს, და თუ მომავალ წელს მე კვლავ ვიქნები ფაკულტეტის დეკანი და თქვენ ისევ დამისვამთ ამ შეკითხვას, მზად ვიქნები, დაგისახელოთ კონკრეტული პიროვნება, თუ ვინ იქნება ჩვენს ფაკულტეტზე საუკეთესო ადამიანი.

**– რას ისურვებდით 2007 წელს თქვენი ფაკულტეტისათვის, ელოდებით თუ არა სიახლეს?**

– პირველ რიგში, ჩვენ აქცენტი გადავიტანეთ სამაგისტრო პროგრამებზე. ვმუშაობთ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით. 2007 წლიდან ჩვენი პარტნიორები ცნობილი ევროპული ინსტიტუტები იქნებიან. ვგეგმავთ საკმაოდ საინტერესო ღონისძიებებს. დავისახეთ ძალიან ბევრი ამოცანა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და ამაღლების მიზნით, ვადგენთ სასწავლო პროგრამებს, სასწავლო გეგმებს, სილაბუსებს, და ამგვარად ვცდილობთ ჩვენი ინტელექტუალური რესურსების მისადაგებას ევროპულ ინსტიტუტებთან. ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად, შევძელით გარკვეული ფონდების მოზიდვა. მოვიძიებთ ფინანსურ რესურსებსაც, რაც ხელს შეგვიწყობს ამ პროცესის ნორმალურად წარმართვაში.

ქვეყანას ვუსურვებდი ასეთი პათოსით ეკონომიკის განვითარებას და კიდევ უფრო მაღალი ტემპით ზრდას, ვიდრე ეს ამ წელს იყო. ასევე ინფლაციის ტემპების შემცირებას. ვისურვებდი, რომ ქართული ბიზნესი რაც შეიძლება უფრო სწრაფად გამოვიდეს იაფფასიანი ბაზრებიდან და აქცენტი გადაიტანოს ევროპულ ბაზრებზე. ეს კი ნიშნავს მომხმარებლისათვის მაღალი დონის პროდუქციის შეთავაზებას, უფრო მაღალ შემოსავლებს, დასაქმების დიდი ტემპით ზრდას, რასაც, საერთო ჯამში, ჩვენს ეკონომიკურ კეთილდღეობას ვუწოდებთ.

# ბრძანება №01-02/637

**„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნის თაობაზე” რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 16.10.2006 წლის N01–02/536 ბრძანებაში შესწორების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „თ” და „შ” ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნის თაობაზე” რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 16.10.2006 წლის N01–02/536 ბრძანებაში შეტანილ იქნას შესწორება და მისი საფუძველი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის I პუნქტის, უმაღლესი განათლების შესახებ”, საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473-ე ბრძანებულების მე-2 პუნქტის „თ” და „შ“ ქვეპუნქტების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 21.07.2006 წლის ¹ 01-02/145 ბრძანების საფუძველზე“

2. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი**

**გიორგი ხუბუა**
01.12.2006

# ბრძანება №01-02/647

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნის შესახებ**

„საქართველოს შრომის კოდექსის“ 6-ე მუხლის I პუნქტისა და 31-ე მუხლის I პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე, 34-ე მუხლების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 18.05.2006 წლის N2/300 ბრძანების, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 01.12.2006 წ. N01–01/293 ბრძანების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დაინიშნონ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობებზე 2006 წლის 10 ნოემბრიდან 2009 წლის 10 ნოემბრამდე შემდეგი პირები:

**ფილოლოგიის მიმართულება**

**სრული პროფესორი:** ზურაბ კიკნაძე.

**ასოცირებული პროფესორი:** ვახტანგ იმნაიშვილი,თინათინ ბოლქვაძე, ზაზა ხინთიბიძე, ქეთევან ნადარეიშვილი, თამარ შარაბიძე

**ისტორიის მიმართულება**

**სრული პროფესორი:** ვაჟა კიკნაძე

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის მიმართულება**

**ასოცირებული პროფესორი:** მანანა გელაშვილი

**ფილოსოფიის მიმართულება**

**სრული პროფესორი:** კახა კაციტაძე;

**ასოცირებული პროფესორი:** რევაზ გორდეზიანი, აკაკი ყულიჯანიშვილი, ანასტასია ზაქარიაძე;

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (ი. კალანდაძე) უზრუნველყოს შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

**გულნაზი გალდავა**
08.12.2006

# ბრძანება №01-01/301

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებისა და პერსონალის სტრუქტურის რაციონალიზაციის მიზნით, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) გულნაზი გალდავა — ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის უფროსი;

ბ) ლალი ებანოიძე — იურიდიული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) იაგორ კალანდაძე — ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) მურმან ცარციძე — საფინანსო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) ნუნუ ოვსიანიკოვა — საერთო განყოფილების (კანცელარია) უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) თეა გერგედავა — საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ზურაბ მოდებაძე — საინფორმაციო ცენტრის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) ჯემალ სოლოღაშვილი — სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ი) მზია მიქელაძე — სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის კონსულტანტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

კ) სერგო სანაძე — მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლ) დავით ბერეკაშვილი — მონიტორინგის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მ) ირინე დარჩია — ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნ) აკაკი ცომაია — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ო) დარეჯან თვალთვაძე — ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

პ) დავით კერესელიძე — იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ჟ) რამაზ ბოჭორიშვილი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

რ) იოსებ სალუქვაძე — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ს) ალექსანდრე ცისკარიძე — მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. ეთხოვოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ბატონ კახაბერ ლორიას სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

3. სამუშაო ჯგუფმა:

ა) ორი კვირის ვადაში ეტაპობრივად უზრუნველყოს სავარაუდო საშტატო განრიგის მიხედვით გათვალისწინებული ვაკანსიების შესაბამისი სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მონაცემების მომზადება ( ი. კალანდაძე, ლ. ებანოიძე);

ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებული სტრუქტურისა და მოქმედი შრომითი ხელშეკრულებების ინვენტარიზაცია-ანალიზი (ი. კალანდაძე, ლ. ებანოიძე, მ. ცარციძე);

გ) პერსონალის ოპტიმიზაციის სავარაუდო სქემების შემუშავება (სამუშაო ჯგუფის წევრები);

დ) რეკომენდაციების მომზადება რექტორისა და საატესტაციო კომისიისთვის (სამუშაო ჯგუფის წევრები);

ე) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის, შესაბამისი პერსონალის ოპტიმიზაციის მიზნით ადმინისტრაციული აქტის პროექტის მომზადება (ლ. ებანოიძე, ი. კალანდაძე);

4. სამუშაო ჯგუფის მიერ პირველ ეტაპზე განხორციელდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის სარეორგანიზაციო პროცესის დასრულება, მეორე ეტაპზე განხორციელდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციული პერსონალის სარეორგანიზაციო სამუშაოები.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში “თბილისის უნივერსიტეტი”, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე.

6. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

**გულნაზი გალდავა**
13.12.2006

# ბრძანება №01-01/306

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფინანსო-ეკონომიკური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების ხელშემწყობი სადისკუსიო კლუბის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას სადისკუსიო კლუბი შემდეგი შემადგენლობით:

ა) გულნაზი გალდავა — ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — თავმჯდომარე;

ბ) ლალი ებანოიძე — იურიდიული სამსახურის უფროსი;

გ) იაგორ კალანდაძე — ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

დ) მურმან ცარციძე — საფინანსო სამსახური უფროსი;

ე) სერგო სანაძე — მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

ვ) ნანა გიორგაძე — ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე — მდივანი;

ზ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

ზ.ა) ჯამლეტ ჯანჯღავა — ასისტენტ პროფესორი;

ზ.ბ) მურთაზ კვირკვაია — ასოცირებული პროფესორი;

ზ.გ) რევაზ კაკულია — ასოცირებული პროფესორი;

ზ.დ) გოჩა თუთბერიძე — ასოცირებული პროფესორი;

თ) ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

თ.ა) თინათინ ბოლქვაძე — ასოცირებული პროფესორი;

თ.ბ) ჯაბა სამუშია — ასისტენტ პროფესორი;

თ.გ) გიორგი ჟუჟუნაშვილი — მატერიალური რესურსების სამსახური;

ი) იურიდიული ფაკულტეტი:

ი.ა) გიორგი დავითაშვილი — სრული პროფესორი;

ი.ბ) რევაზ გოგშელიძე — სრული პროფესორი;

ი.გ) დავით ბოსტოღანაშვილი — ასოცირებული პროფესორი.

კ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

კ.ა) რამაზ ბოჭორიშვილი — ასოცირებული პროფესორი;

კ.ბ) როლანდ მირიანაშვილი — ასოცირებული პროფესორი;

კ.გ) დავით მიქელაძე — სრული პროფესორი.

ლ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

ლ.ა) მარინე ჩიტაშვილი — სრული პროფესორი;

ლ.ბ) დავით პაიჭაძე — ასისტენტ პროფესორი;

ლ.გ) მალხაზ მაცაბერიძე — სრული პროფესორი,

ლ.დ) შალვა აბზიანიძე — ასოცირებული პროფესორი;

მ) მედიცინის ფაკულტეტი:

მ.ა) თეიმურაზ მგელიაშვილი — ასისტენტ პროფესორი;

მ.ბ) ნანული ბურკაძე — ასოცირებული პროფესორი;

მ.გ) რუსუდან აბაშიძე — ასისტენტ-პროფესორი.

2. სადისკუსიო კლუბის მუშაობაში, ყველა სხდომაზე აუცილებელი წესით, მოწვეულ იქნებიან უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანის მოვალეობის შემსრულებლები.

3. სადისკუსიო კლუბის მიერ განსახილველი საკითხების შესაბამისად კლუბის მუშაობაში მოწვეულ იქნებიან უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების შესაბამისი ხელმძღვანელები.

4. სადისკუსიო კლუბი წარმოადგენს სამუშაო ჯგუფს, რომელიც განიხილავს ფაკულტეტის მიერ დასმულ საკითხებს და კონსულტაციების შედეგად გამონახავს მათი გადაწყვეტის გზებს, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში ფაკულტეტების მიერ დასმული საკითხების ოპერატიული და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

5. სადისკუსიო კლუბის სხდომები მოიწვევა ყოველი თვის ბოლო პარასკევს და აგრეთვე საჭიროებისამებრ, წინასწარ განსაზღვრულ დროს. კლუბის სხდომის დღის წესრიგი წინასწარ გამოიკვრება უნივერსიტეტის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში ,,თბილისის უნივერსიტეტი“, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე.

7. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

**გულნაზი გალდავა**
22.12.2006

# ბრძანება №01-01/307

**,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის'' და ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის'' რეორგანიზაციის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 34-ე მუხლის და 38-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის ,,ე", ,,ზ", ,,თ", ,,მ" და ,,შ" ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. რეორგანიზებულ იქნენ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" და ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი", „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად" და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად''.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" და ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" სამართალმემკვიდრეს.

3. ამ ბრძანების ძალაში შესვლისთანავე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" და ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" თანამშრომლები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცეთ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

4. დაინიშნონ:

ა) „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის'' დირექტორად ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ნიორაძე;

ბ) „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის'' დირექტორად ასოცირებული პროფესორი გიორგი ჯაიანი.

5. დაევალოთ უნივერსიტეტის საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურებს (მ. ცარციძე, ს. სანაძე) რეორგანიზებული ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან (გ. ჯაიანი, მ. ნიორაძე) ერთად, ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში, განახორციელონ ამ ინსტიტუტების ქონების აღწერა და გადმოცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამის განსახორციელებლად 3 დღის ვადაში წარმოადგინონ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის პროექტი.

6. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (ი. კალანდაძე) ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი კვირის ვადაში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის (რ. ბოჭორიშვილი) წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის" და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის''.სამეცნიერო და ტექნიკურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

7. დაევალოთ დაცვისა და უსაფრთხოების და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურებს (თ. წიკლაური, ს. სანაძე) უზრუნველყონ ამ ბრძანებით განსაზღვრული ინსტიტუტების დაცვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ყველა საჭირო ღონისძიების გატარება.

8. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს რეორგანიზებული ინსტიტუტებიდან ბეჭდებისა და შტამპების დადგენილი წესით გადმობარება.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში ,,თბილისის უნივერსიტეტი", განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე.

10. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**
**პროფესორი გიორგი ხუბუა**

**25.12.2006**

# ასირიოლოგიის კათედრა 15 წლისაა

**ზურაბ კიკნაძე,**
**პროფესორი**
**მაია ღამბაშიძე,**
**ასოცირებული პროფესორი**

წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასირიოლოგიის კათედრა 15 წლისთავს ზეიმობს!

**ასირიოლოგია** ლურსმული ცივილიზაციის ხალხთა კულტურის შემსწავლელი მეცნიერებაა. მისი დასაბამი XIX საუკუნის მეორე ნახევარია. მან სახელწოდება მიიღო იმ ენის მიხედვით, რომელიც პირველად იქნა ამოკითხული: ეს იყო ასურული (აშურული) – ერთ-ერთი სემიტური ენა. მისი მეშვეობით გაიშიფრა უნიკალური შუმერული ენა, რომელსაც ნათესავი არ აღმოაჩნდა ძველ და ახალ ენებს შორის, თუმცა არ დარჩენილა ენა, რომელსაც მის ნათესაობაზე პრეტენზია არ ჰქონოდა (ერთ-ერთი ასეთი ქართულიცაა). თავიდანვე ასირიოლოგია ჩაისახა როგორც ერთიანი დარგი, რომელსაც დროთავითარებაში, ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა კვალობაზე მრავალი განშტოება გაუჩნდა. ამგვარად, არქეოლოგია და ლინგვისტიკა მისი ღვიძლი მშობლებია. მოგვიანებით გაშიფრული იქნა ინდოევროპული ხეთური (უფრო სწორად, ნესიტური) და ე. წ. პროტოხეთური (ხათური), ელამური, ურარტული და ხურიტული ენები, შემდეგ აღმოჩნდა ნამარხი ქალაქ-სახელმწიფო უგარიტი თავისი მანამდე უცნობი სემიტური ენით და უმდიდრესი ბიბლიოთეკით. ხოლო კიდევ უფრო გვიან (აგერ ჩვენს ეპოქაში) ქალაქ-სახელმწიფო ებლას აღმოჩენით ასირიოლოგიამ გაიცნო აქადურის (ასურულ-ბაბილონურის) მონათესავე ენა. თავად ისტორია ასირიოლოგიისა, რომელიც მოკლებული არ არის გარკვეულ დრამატიზმს (პანბაბილონური გატაცებები, ჰიპოთეზა შუმერული ენის ფიქტიურობის შესახებ, დილეტანტთა ფანტასტიკები და სხვა) და რომელსაც თან სდევს ეპოქალური აღმოჩენები, ჭეშმარიტად, ჰუმანიტარული მეცნიერების ისტორიას, მის ტრიუმფალურ სვლას ასახავს.

ასირიოლოგია ჰუმანიტარულ დისციპლინათა სინთეზია. ასირიოლოგს, თუ მას სურს თავის მთლიანობაში აღიქვას ეს დარგი და წარმატება მოიპოვოს კვლევა-ძიებაში (თუნდაც მისი ინტერესი რომელიმე კონკრეტული უბნით იყოს შემოფარგლული), ევალება თანაბრად ფლობდეს ჰუმანიტარულ დისციპლინებს. ჩვენს რეფორმირებულ უნივერსიტეტში ამის საშუალებას იძლევა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სხვადასხვა ფუნდამენტურ დისციპლინათა (ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის) შესავლები, როგორც სავალდებულო საგნები პირველკურსელთათვის. ჟანრულად მრავალფეროვან შუმერულ-აქადურ ლიტერატურაზე წარმოდგენა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ქვეყნის ისტორიას, მის ხელოვნებას, სამართალს. სახვითი ხელოვნება – არქიტექტურა, ქანდაკებები, ბარელიეფები, გლიპტიკა (საბეჭდავები) სიტყვიერ ხელოვნებაზე არანაკლებად გვახედებს მის შემქმნელთა სულიერ სამყაროში. მართალია, ქართველ მკითხველს აქვს საშუალება თავის ენაზე გაეცნოს შუმერული და აქადურენოვანი მწერლობის ნიმუშებს, მაგრამ ეს მხოლოდ ნიმუშებია, ისინი ბოლომდე ვერ წარმოადგენენ ამ უმდიდრეს, მრავალათასწლეულ სულიერ მემკვიდრეობას. ამოუწურავია კვლევის სფერო, რომელსაც შუამდინარელთა და ხეთების ისტორიოსოფიულ აზროვნებაში შევყავართ. ყოველი ეპოქა ახალ-ახალ ხედვებს აჩენს მათ მიმართ. შუმერული, აქადური (აშურულ-ბაბილონური), ხეთური ანალები, სამეფო ლაშქრობათა აღწერილობანი, სამეფო წარწერები, დიპლომატიური მიმოწერა უხვ მასალას იძლევა ისტორიისა და ისტორიული აზრის მკვლევარისთვის. დიდია სამკალი და მომკელს ელის.

საქართველოში ასირიოლოგიის დაბადების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1918 წლის 13 ენკენისთვე, როდესაც ახლადდაფუძნებული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიღო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის ივანე ჯავახიშვილის წინადადება „მიხეილ წერეთლის უნივერსიტეტში დატოვების შესახებ ასირიოლოგიაში და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში" (იხ. წიგნი „პროფესორთა საბჭოს ოქმები – 1917-1926", თბილისი, 2006, გვ. 135).

მაგრამ 1921 წლის თებერვალმა პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთელს საშუალება არ მისცა მკვიდრად დაეფუძნებინა ასირიოლოგიის დარგი ჩვენს უნივერსიტეტში. 1924 წელს მას, უკვე ემიგრანტს, კონსტანტინოპოლში მოუხდა გილგამეშის ეპოსის („გილგამეშიანი") ქართული თარგმანის გამოქვეყნება (შევნიშნავთ, რომ იმხანად ეპოსის სრული თარგმანები მხოლოდ ძირითად ევროპულ ენებზე არსებობდა). უნდა ვიფიქროთ, რომ ახალფეხადგმული კათედრის ეგიდით ეს ნაშრომი იმ იმედით შესრულდა, რომ ეს კათედრა ახლო მომავალში საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ჩაერთვებოდა და თავის წვლილს შეიტანდა ასირიოლოგიის დარგის განვითარებაში, რომელიც იმხანად, თუ დღევანდელობიდან რეტროსპექტულად შევხედავთ, თავისი განვითარების კვირაძალში იმყოფებოდა.

XX საუკუნის 50-იან წლებში ქართულმა უნივერსიტეტმა სცადა ძველი აღმოსავლეთის განყოფილების აღდგენა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ ეწერა: ძველი აღმოსავლეთის აკადემიურმა ჯგუფმა, რომელსაც გიორგი მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა (ჯგუფი რვა სტუდენტს აერთიანებდა, მათ შორის გურამ რჩეულიშვილიც იყო), ორი წლის შემდეგ შეწყვიტა არსებობა, თუმცა აქადურის სწავლება, რომელიც უნივერსიტეტში გიორგი მელიქიშვილმა განაახლა, არ შეწყვეტილა.

ასირიოლოგიური კვლევებიც არ ჩამკვდარა. ასირიოლოგია, როგორც დამოუკიდებელი დარგი, მეცნიერებათა აკადემიის ახლადდაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში აღორძინდა. აქ შეიქმნა ძველი ახლოაღმოსავლური ენების განყოფილება, რომელსაც სათავეში თამაზ გამყრელიძე ჩაუდგა და დღემდე ხელმძღვანელობს. მისი დაარსებიდან (1960 წ.) დღემდე ამ განყოფილებაში არაერთი მონოგრაფია შეიქმნა ენების, ლიტერატურის, რელიგიის, მითოლოგიის თუ სამართლის განხრით. მოგვიანებით ისტორიის ინსტიტუტში გაისხნა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილება გიორგი მელიქიშვილის ინიციატივით.

ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ უნივერსიტეტშიც შექმნილიყო ასირიოლოგიის კერა დამოუკიდებელი კათედრის სახით. 1991 წელმა გახადა შესაძლებელი, რომ აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძისა და პროფესორ ზურაბ კიკნაძის თაოსნობა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ასირიოლოგიის კათედრის აღსადგენად წარმატებული ყოფილიყო. ამ იდეას მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა, აკადემიკოსმა ოთარ ჯაფარიძემ და მოკლე ხანში უკვე აკადემიკოს როინ მეტრეველის რექტორობის დროს კათედრამ, რომლის დასაბამში ივანე ჯავახიშვილისა და მიხაკო წერეთლის დიდებული სახელები ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სადღეისოდ, ასირიოლოგიის ქართული სკოლა ცნობილი და აღიარებულია როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის, ასევე დასავლეთის სათანადო სამეცნიერო და სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრებში. იგი ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ასირიოლოგიის (შუმეროლოგია-აქადოლოგიის და ხეთოლოგიის) მოდულების მიმართულებით, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებში. კათედრას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებთან, ასირიოლოგიის და ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ცენტრებთან, თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და სხვა უმაღლეს სკოლებთან, სადაც იგზავნებიან პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და დოქტორანტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

კათედრა თავის დროზე დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც წლების მანძილზე აქადურის კურსს უძღვებოდა გამოჩენილი ასირიოლოგი და ურარტოლოგი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, შემდეგ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ასწავლიდა აქადურს და ხეთურს და, ბოლოს, აქადურს და შუამდინარულ მითოლოგიას ერთ-ერთი ამ წერილზე ხელმომწერთაგანი.

დღეს განახლებულ უნივერსიტეტში აღარ არსებობს კთედრების სისტემა, მაგრამ ასირიოლოგიის ყოფილმა კათედრამ, რომელსაც წელს არსებობის თხუთმეტი წელი შეუსრულდებოდა, უნივერსიტეტს შეუნარჩუნა ეს დარგი, რომელიც პრესტიჟულად ითვლება საუნივერსიტეტო განათლებაში. შემდგომი წინსვლა ამ დარგისა უკვე მის დღევანდელ მესვეურთა კვალიფიკაციაზე, უნარზე და კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

ეს მეფე ასირიოლოგიაა.

კათედრა, მართალია, აღარ არის, მაგრამ სულ მალე ეს დარგი ამა თუ იმ ტიტულით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გაერთიანდება.

**23 დეკემბერს ასიროლოგიის კათედრის 15 წლისთავთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ასიოროლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა ჰამურაბის კანონების მიხედვით წარმოადგინეს სასამართლო პროცესის ინსცენირება და სტუმრებს აღმოსავლურად გაწყობილი სუფრით გაუმასპინძლდნენ.**

# პოლონეთის სიმბოლო – ჰენრიკ სენკევიჩი უნივერსიტეტში გაიხსენეს

19 დეკემბერს თსუ-ში გაიმართა რიგით მე-7 სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პოლონელი კლასიკოსის, ჰენრიკ სენკევიჩის დაბადებს 160-ე და გარდაცვალების 90-ე წლისთავს. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, კავშირი „პოლონიას" პრეზიდენტი, პროფესორი მარია ფილინა და სლავისტიკის სპეციალისტები, ასევე საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია" და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო. აღსანიშნავია, რომ პირველი კონფერენცია 1998 წელს გაიმართა, რომელიც ადამ მიცკევიჩის დაბადების 200 წლისთავს მიეძღვნა და მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც საქართველოში, ასევევ პოლონეთშიც.

ჰენრიკ სენკევიჩი გამორჩეული ფიგურაა პოლონეთის არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ სულიერების სფეროშიც. დიდი პატრიოტი, მაშინ, როდესაც პოლონეთი მოკლებული იყო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ქმნიდა და მკითხველს უნერგავდა საკუთარი ხალხის სიდიადეს, განუმტკიცებდა მათ მკაფიო და მაღალ მორალურ ფასეულობებს. მისი ნაწარმოებები: ტრილოგია „ცეცხლითა და მახვილით", „წარღვნა", „პან ვალდიევსკი", იმპერატორ ნერონის ეპოქის რომანი „ვიდრე ჰხვალ?" კლასიკური ევროპული მნიშვნელობის გახდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში სენკევიჩი ხდება პოლონური ლიტერატურის ცენტრალური ფიგურა – პოლონელი ხალხის სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოხატულება. ისევე, როგორც, თავის დროზე, მიცკევიჩი. საქართველოში სენკევიჩის შემოქმედებას ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა. პოლონელი პროზაიკოსის ქართული თარგმანების განხორციელება თითქმის მისი პოლონეთში პუბლიკაციისა და რუსული თარგმანების სინქრონულად დაიწყო. საქართველოსთვის სენკევიჩის რომანები სულიერად ახლობელია.

რომანის „ცეცხლითა და მახვილით" გრიგოლ ყიფშიძისეული თარგმანი 1894-დან თითქმის 1896 წლის ბოლომდე ჟურნალ „მოამბეში" ქვეყნდებოდა და, იმ პერიოდისთვის, უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. მას შემდეგ კლასიკოსის ყველა ძირითადი ნაწარმოები ითარგმნა და გამოიცა. სენკევიჩის ნობელის პრემიით დაჯილდოებას ქართველი კულტურის ბევრი მოღვაწე გამოეხმაურა. ხოლო მწერლის გარდაცვალებას თითქმის ყველა გამოცემები მწუხარებით იუწყებოდნენ. ამდენად, სენკევიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია საქართველოში – გამართლებული მოვლენაა.

სესია გახსნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არაერთხელ გამართულა პოლონურ კულტურასა და ქართულ-პოლონურ ურთიერთობებთან დაკავშირებული სამეცნიერო სესიები, რომლებიც სწორედ თსუ-ს, საქართველოში პოლონეთის საელჩოსა და კავშირ „პოლონიას" შემოქმედებითი თანამშრომლობით ხორციელდება. კავშირი „პოლონია" კი სწორედ უნივერსიტეტის კედლებში დაფუძნდა. დეკანმა გამოთქვა იმედი, რომ პოლონურ-ქართული სამეცნიერო წამოწყებები შემდგომში უფრო ინტენსიურად განვითარდება.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის კონსული, ბატონი ზბიგნევ ვიქტოროვიჩი.

კონფერენციაზე პროფესორების მარია ფილინას, ლინა ხიხაძის, ტატიანა მეგრელიშვილის, მეცნიერებათა კანდიდატების ჯემალ ჭელიძის და ირინა ბაგდონიენეს მიერ წაკითხული მოხსენებები შეეხო პოლონელი კლასიკოსის შემოქმედების პრობლემათა ფართო სპექტრს და საქართველოში მის რეზონანსს.



სესიის შემოქმედებითმა განწყობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც თსუ-ს წამყვანი პროფესორები, ასევე კულტურის მოღვაწეები, მაგისტრანტები და სტუდენტები, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პოლონელი კლასიკოსის შემოქმედება უცვლელ ინტერესს იწვევს.

# ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ჯადოსნური სურვილებით ცხოვრება შევცვალოთ

## ინტერვიუ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილთან

ნინო კაკულია

**— ახალი წლის ფილოსოფიური გააზრება რამდენად უკავშირდება სიახლის მოლოდინისადმი პიროვნების დამოკიდებულებას?**

— ახალი წლის დღეებში ჩვენ ყველანი ჩვენს ბავშვობას ვუბრუნდებით და გულის სიღრმეში გვწამს, რომ მიუხედავად ცხოვრების ულმობელობისა, შეგვიძლია, ჩვენი „ჯადოსნური“ სურვილებით ცხოვრება შევცვალოთ. ეს კი ძალიან კარგია. თუ ადამიანს ამგვარი ბავშვური რწმენა აღარ შერჩენია, იგი, უბრალოდ, „ჭკვიანი“ და ანგარიშიანი მდაბიოა.

**— საინტერესოა ქართველების დამოკიდებულება ლხინისადმი და ამ ჭრილში ცხოვრების ფილოსოფიის გააზრება.**

— მერაბ მამარდაშვილი ქართულ სუფრას ლეგენდით ცხოვრებისა და უკანონო სიხარულის უნარის გამოხატულებას უწოდებდა. ირგვლივ ბევრი რამ ცუდად არის. ჩვენ კი ყველას ჯინაზე ვილხენთ და თავს გამარჯვებულებად ვგრძნობთ. რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი. თითქოს მუშტს ვუღერებთ ყველა იმ ძალას, რომელსაც ჩვენს არსებობაში უგუნურება, უზნეობა და შფოთი შემოაქვს. ვფიქრობ, ეს დიდებულია. სუფრა ის ადგილია, სადაც ქართველები ექსისტენციალურად ვხვდებით ერთმანეთს და ჩვენს იმედებსა და სატკივარს ვამხელთ. ხშირად მიფიქრია, რომ ჩვენმა სუფრამ ძველი მისტერიების რაღაც ელემენტები შეინარჩუნა და ამიტომაც არის ასე აუცილებელი ჩვენთვის. იგი ჩვენი კულტურის აუცილებელი ნაწილია. მესმის, რომ მას ზოგჯერ მახინჯი სახე ეძლევა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ სუფრაზე ზედმიწევნით ქრისტიანული გრძნობა გვეუფლება: ერთად ყოფნის სიხარული.

**— ორი ახალი წლის ფენომენზე რა შეგიძლიათ თქვათ. ჩვენ ახალ წელს ვზეიმობთ პირველ და თოთხმეტ იანვარს. ბევრია მსოფლიოში ისეთი ერი, რომელიც ორჯერ ხვდება ახალ წელს?..**

— აბა, რა გითხრათ?! სასურველია, ჩვენც სხვებთან ერთად ვიზეიმოთ და



თავს არ ვგრძნობდეთ სხვებისაგან გარიყულებად — სხვა პლანეტაზე, სადაც ყველაფერი სხვანაირად ხდება. რეალობა ის არის, რომ ჩვენი ადამიანების უდიდესი ნაწილი დანარჩენ კაცობრიობასთან, მათ შორის, მუსლიმებთან თუ ბუდისტებთან ერთად ზეიმობს და მათ არ უნდა წავართვათ ამის საშუალება. ჩვენ ყველანი ღვთის შვილები ვართ და ამგვარი საერთო დღესასწაულები მშვიდობასა და თანაზიარობას ასადგურებს ჩვენში.

**— თქვენთვის რას ნიშნავს ახალი წელი?**

— იმასვე, რასაც სხვებისათვის: ჩემშიც ღვივიძებს პატარა ბიჭი, რომელსაც სწამს, რომ ახალ წელს ყველაფერი სხვაგვარად იქნება და რომ ყველა უბედურება წარსულს დარჩება. თუ არა სასწაულის რწმენა, ამქვეყნად ცხოვრებას აზრი დაეკარგებოდა. ჰოდა, მეც სხვების მსგავსად სასწაულს ველი. მით უმეტეს, ახალი წლის დღეებში ყველანი კეთილები ვხდებით და ერთმანეთისათვის სიკეთე გვინდა.

**— როგორ უყურებთ ფილოსოფოსები საახალწლო სამომხმარებლო კალათას — დანახარჯს აღემატება თუ არა ამ დღეს მიღებული სიამოვნების განცდა?**

— რა თქმა უნდა, აღემატება. უფრო სწორად, ისინი არათანაზომადი სიდიდეებია. ხომ არ შეიძლება ბავშვის გაჩენა სამშობიაროში გაწეული დანახარჯით შეაფასო?! ასევე, არ შეიძლება ის სიხარული, რასაც ახალ წელს ერთად ყოფნის ბედნიერება გვანიჭებს, ნაყიდი მწვანილის ფასით იქნას გაზომილი. ისე კი, ბევრი არც არაფერი უნდა იმას, რომ ახალ წელს ბედნიერად იგრძნო კაცმა თავი. საკმარისია გაიხსენო, რომ ამ დროს შენთან ერთად კიდევ მილიონობით ადამიანი განიცდის სიხარულს და სასწაულსაც ელოდება. ჰოდა, მოდით და ჩვენც განვიცადოთ ეს სიხარული სხვებთან ერთად.

თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს: თქვენი გაზეთის თანამშრომლებს, მკითხველებს, ყველა უნივერსიტეტელს, მოკლედ, ყველას.

# სტუდენტური „მასკარადი“





15 დეკემბერს სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპატამენტის ინიციატივით კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოიეში გაიმართა სტუდენტური წვეულება ,,მასკარადი”. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ორასამდე სტუდენტმა. საღამო გაიხსნა ახალგაზრდა დიზაინერების შექმნილი მოდელების ჩვენებით. სამხატვრო აკადემიის სტუდენტები სტუმრებს baby art-ს სთავაზობდნენ. პარალელურად გაიმართა საახალწლო საჩუქრების გამოფენა-გაყიდვა. საახალწლო შეჯიბრებებში გამარჯვებულ სტუდენტებს სამახსოვრო პრიზები გადასცა გამომცემლობა ,,ბაირონმა”, ახალგაზრდულმა კაფემ ,,პაოლო კოელიო”-მ და ბანკმა ,,რესპუბლიკამ”. მასკარადის ყველა მონაწილე, ბანკმა ,,რესპუბლიკამ”, სტუდენტური პლასტიკური ბარათით დაასაჩუქრა. საღამო დაასრულა dj KIRPICHA-მ.

*უნივერსიტეტის სტუმარი*

# ადამიანი, ქვეცნობიერად, აპროგრამებს თავის მომავალს

## ინტერვიუ ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუასთან

პირველი გვერდიდან

როგორც მწერალი პაოლო კოელიო იტყოდა, ,,როცა რაღაც მთელი გულით გსურს, თითქოს სამყარო შეითქმება ხოლმე, რათა ამ სურვილის განხორციელებაში დაგეხმაროს” — სწორედ ამ ენერგიით უნდა ჩავუთქვათ შობა-ახალი წლის სანთელს ჩვენი სათქმელი.

**— რა განწყობილებითაც შევხვდებით ახალ წელს, ისე გავატარებთ მას — ეს ცნობილი ფრაზა ახალი წლის სამზადისისადმი ადამიანის დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. მაინც, რას ნიშნავს ეს სამზადისი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით?**

— საახალწლო სამზადისი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი საკუთარ თავში ამთავრებს ერთ ეტაპს და გადადის, მისი შინაგანი განწყობილებით, თვისობრივად ახალ ეტაპზე. ანუ, ეს არის რაღაცის დასასრული და რაღაცის დასაწყისი. ერთდროულად ეს არის ძველიდან ახალში გადასვლა, ძველის კორექცია და სიახლის მიმართ მზაობითა და მოლოდინით ახლის დაწყება. ეს არის ძველისა და ახლის მიმართ დამოკიდებულების საკითხი ადამიანში.

**— ლხინის მიმართ ქართველების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას როგორ ახსნიდით? რა ფენომენია ქართული სუფრა და ქართულად მოლხენა?**

— ახალ წელს, მსგავსად სხვა ღირსშესანიშნავი საერო თუ სასულიერო თარიღებისა, ჩვენ ვუწოდებთ დღესასწაულს. დღესასწაულში იგულისხმება სასწაულის მოლოდინისადმი ჩვენი შინაგანი განწყობილება, რასაც განცდისეული ამაღლებულობა ახლავს თან. ამ დროს ადამიანები ზეიმობენ — ეს არის ზეიმის განცდა. როდესაც მე ველოდები სასწაულს, ეს სასწაული არის პოზიტიური, ეს სასწაული არის საზეიმო განწყობილება და ეს საზეიმო განწყობილება ამა თუ იმ კულტურაში სხვადასხვაგვარად გამოიხატება: ზოგან შეიძლება იყოს რიტუალური, ზოგან — სუფრასთან და ლხინთან დაკავშირებული.



ახალი წელი ზამთრის დღესასწაულია. იგი უსათუოდ ასოცირდება სახლთან, კერასთან, ოჯახთან. აქ არის სითბო, დანთებული ცეცხლი, გაჩირაღდნებული ლამპიონები, მორთული ნაძვის ხეები, ჩიჩილაკები, სუფრაზე სიუხვე... დღესასწაულის რიტუალი რა ფორმითაც არის წარმოდგენილი, იმ შინაარსით ელოდება ადამიანი სიახლეს. ახალი წლის სიახლე — ეს არის კეთილგანწყობილება. ადამიანები ღიმილით ულოცავენ, ტკბილ სიტყვებს ეუბნებიან, ტკბილეულს აწვდიან ერთმანეთს, ანუ ურთიერთობებში სიახლეს, ოჯახში სიუხვეს, ბარაქას ელოდებიან... კეთილგანწყობილება სიტყვებში დალოცვით გამოიხატება.

**— რატომ ვანიჭებთ მნიშვნელობას იმას, თუ რისი წელი მოდის? როგორი ფერის ტანსაცმლითა და როგორი დესერტით შევხვდეთ ახალ წელს, რა ჩავიფიქროთ და პირველი სიტყვა რა ვთქვათ? ანუ, ახალი წლის მოსვლა, ამავე დროს, ხომ არ არის შეუცნობელის შიშთან დაკავშირებულიც?**

— ადამიანს აქვს შეუცნობელის შეცნობის შინაგანი მოთხოვნილება. ეს არის გარკვეული შემეცნებითი ინტერესი, რასაც ცნობისმოყვარეობას ვუწოდებთ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ინტერესი არსებობს. რა მოდის? როგორი მოდის? რას ემსგავსება? რა შეიძლება იყოს? რისი წელია? რა შეიძლება ამ წელს თან ახლდეს? — ამით ადამიანი, ქვეცნობიერად, აპროგრამებს კიდეც თავის მომავალს. ცხადია, რომ ეს დაპროგრამება არის პოზიტიური, კონსტრუქციული, კარგზე ორიენტირებული. ვთქვათ, მოდის ცხენის წელიწადი, ამ შემთხვევაში, ამ ცხოველის თვისებებთან აიგივებენ თავიანთ მოლოდინს და ცხენის წელს გარკვეული შესაბამისი მობილიზებულობითა და განწყობით ხვდებიან.

ადამიანები ტკბილეულს აწვდიან ერთმანეთს, რათა ტკბილად გაატარონ მთელი წელი — ეს არის მათი ირაციონალური დამოკიდებულება მოვლენებისა და ფაქტების მიმართ.

**— სულ ვლაპარაკობთ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე, თუმცა ახალ წელს მაინც ღირსეულად ვხვდებით ხოლმე, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად. ეს ჩვენს იმედიანობაზე ხომ არ მიუთითებს?**

— ყველაფერი შეფარდებითია. ძალიან მდიდარი სუფრა იმაზე უფრო მდიდარია, ვიდრე ყოველდღიური სუფრა. ღარიბი სუფრაც იმაზე უფრო მდიდარია, ვიდრე ყოველდღიური. ღარიბი საახალწლო სუფრა მდიდარის ღარიბი სუფრაა, ამიტომ ყველაფერი შეფარდებითია. ადამიანები არიან მაქსიმალურად უშურველნი საახალწლო სუფრის გაწყობის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ მთელი დანაზოგი ზოგჯერ მას ეძღვნება. აქ არ არის ხელმომჭირნეობის არავითარი გამოვლინება. ადამიანების შინაგანი ფსიქოლოგიური გულღიაობა მატერიალურის სიუხვის განცდაში აისახება და ამ დღეს ძალიან მდიდრულად და ძალიან კარგად, იმედიანად არიან თვით ღარიბებიც კი.

**— რას უსურვებდით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომელნიც შეიძლება სულ სხვანაირად აფასებდნენ სიმდიდრეს და სიღარიბეს. თუმცა მათაც არ აწყენდათ მდიდარი სუფრა...**

— მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი გაიზარდა, მათი სუფრა საკმაოდ მწირი იქნება, რა თქმა უნდა, იმასთან შედარებით, რაც ჰქონდათ ადრეულ პერიოდში. მწირი იქნება მდიდარ ოჯახებთან შედარებით და სწორედ ის არის პარადოქსი, რომ მათზე მდიდარი ბევრია ამ ქვეყანაზე. თუმცა მათი სუფრა იქნება უაღრესად ინტელიგენტური, დიდი ღირსებითა და გემოვნებით გაწყობილი.

ეპოქალური ძვრები, პირველ რიგში, სწორედ ამ ფენაში აისახება, რომელიც ამ ძვრების მტვირთავიც არის. სწორედ ასეთად მესახება უნივერსიტეტის პროფესურა. ღერძი, რომელზედაც დგას ქვეყანა, იმ ღერძის სიმძიმის ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე გადის. მინდა მივულოცო მათ 2007 წელი და ვუსურვო მხნედ ყოფნა.



# ახალი წლის ორჯერ აღნიშვნის პრივილეგია გერმანელებს არ აქვთ

ანა კირვალიძე



მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი, ანუ თითქმის ორი მილიარდი ადამიანი ქრისტიანია და, ამიტომაც, შობა — წლის ერთერთი ყველაზე უდიდესი დღესასწაულია. და რადგანაც ქრისტიანობა დომინანტურ რელიგიად ითვლება დასავლეთში, სადაც ადამიანებს უსაზღვრო მომხმარებლური აზროვნება ახასიათებთ, ამ დღესასწაულისათვის ყოველთვის განსაკუთრებით ემზადებიან. ადამიანები ეძებენ ერთმანეთთან შეხვედრისა და მოლხენის საბაბს. გლობალიზირებულ მსოფლიოში კი, სადაც ადამიანებმა სულ უფრო მეტი იციან სხვა კულტურებისა და ტრადიციების შესახებ, დღესასწაულის საბაბები სულ უფრო მრავლდება.

შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ყველა ერი განსხვავებულად აღნიშნავს. შობის დღესასწაულის ზეიმი მხოლოდ ჭამა-სმასა და გართობას არ გულისხმობს, იგი ერთგვარი რომანტიკაცაა. ამ დროს ადამიანები უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს და ზამთრის გრძელი ღამეები შედარებით ჩქარა და მხიარულად გადის.

თუ როგორ ხვდებიან შობას გერმანიაში, ამის შესახებ გვესაუბრება გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD)-ის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ბატონი გებჰარდ როილი.

**— ახალ წელს მსოფლიოში ყველა ქვეყანა განსხვავებულად და თავისებურად ხვდება. როგორ აღნიშნავენ ამ დღესასწაულს გერმანიაში?**

— შობის დადგომამდე, რამდენიმე საათით ადრე, ოჯახებში საზეიმო განწყობა ისადგურებს. ირთვება ნაძვის ხე, საღამოს იმართება სადღესასწაულო ვახშამი და შემდეგ იწყება საჩუქრების გახსნა. ეს ის მომენტია, რომელსაც ბავშვები თვეების განმავლობაში ელიან. ზოგჯერ საჩუქრებს შობის პირველ დღესაც ხსნიან. მორწმუნეები შობის დღესასწაულს ეკლესიაში აღნიშნავენ. ბევრისთვის შობა ,,ჭამა-სმასა და ტელევიზორის ყურებასთან" ასოცირდება, რადგან მთელი დღის განმავლობაში მართლაც კარგ ფილმებს უჩვენებენ. ხშირად კი ყოველივე ამას ახლობლებისა და ნათესავების მონახულება ენაცვლება. ბავშვები სიხარულით მღერიან საშობაო სიმღერებს.

**— ქართველებისაგან განსხვავებით, გერმანელები ბევრად ადრე იწყებენ საახალწლო მზადებას. რითაა გამოწვეული ეს განსაკუთრებული სამზადისი? იქნებ ეს დღესასწაული მათთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ახალი წლის დადგომა?**

— გერმანიაში ზამთრის ღამეები გაცილებით უფრო გრძელია, ვიდრე საქართველოში, ამიტომ ხალხს უხარია, როცა ღამე მოკლდება, ეს კი საშობაო პერიოდს ემთხვევა. სწორედ ამით აიხსნება, რომ გერმანელები წინასაშობაო მზადებას გაცილებით ადრე იწყებენ, ვიდრე საქართველოში. ეს ერთგვარ სიხარულთანაა დაკავშირებული: ზამთარი, შესაძლებელია, უფრო მიმზიდველი გახდეს საშობაო ნამცხვრით, ხელნაკეთი ნივთებითა და სიმღერებით.

**— გერმანილები ახალ წელს ოჯახურ გარემოში ხვდებიან?**

— მეგობრების წრეში თუ ოჯახთან ერთად, შობა გერმანიაში ყოველთვის ვიწრო წრეში აღინიშნება. ვერ წარმოიდგენთ რამდენად გადატვირთულია ამ დროს მატარებლები, რადგან საშობაოდ უამრავი ადამიანი, მათ შორის ახალგაზრდებიც, ნებით თუ ოჯახის თხოვნით ,,სახლში" ბრუნდებიან.

**— რამდენ ხანს გრძელდება საახალწლო არდადეგები გერმანიაში?**

— ოფიციალურად მხოლოდ ერთი კვირა, (შობიდან ახალ წლამდე), მაგრამ სტუდენტთა უმეტესობა იანვრის პირველ კვირასაც მიაყოლებს ხოლმე.

**— საახალწლო სუფრაზე საქართველოში აუცილებელია ,,საცივი" და ,,გოზინაყი". აქვთ თუ არა გერმანელებს სპეციფიური საახალწლო კერძები და ტკბილეული?**

— ტრადიციულ საშობაო მენიუში აუცილებლად შედის შემწვარი ბატი, კარტოფილისა და ჭარხლის გარნირთან ერთად. გარდა ამისა, ბავშვებს, პირის ჩასატკბარუნებლად, ყოველთვის ეძლევათ საგანგებოდ მათთვის მომზადებული ტკბილეულით სავსე თეფში.

**— საქართველოში ახალი წელი ორჯერ აღინიშნება — ძველი და ახალი სტილით. ახალი — 1 იანვარს, ხოლო ძველით ახალი — საეკლესიო კალენდრის მიხედვით — 14 იანვარს. ორივეს ერთნაირი განწყობითა და მზადებით აღვნიშნავთ. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ახალი წლის ორჯერ აღნიშვნის პრივილეგია გერმანელებს არა აქვთ, ჩემი მეგობრები სიამოვნებით იქნებოდნენ ახლა ჩემს ადგილას. მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ მეჩვენება 14 იანვრს ახალი წლის მეორედ აღნიშვნა, მაგრამ რადგან მას უბრალოდ ,,ძველით ახალი წელი" ეწოდება, ალბათ, ეს უკვე ლოგიკურად ჟღერს.

**— ხომ არ გაიხსენებთ რაიმე საშობაო ან საახალწლო მხიარულ ისტორიას?**

— მახსენდება შობის ერთერთი დღესასწაული: ჩვენი ნათესავი ქალი მთელი დღის განმავლობაში დიდი მონდომებით ამზადებდა ჩვენთვის განსაკუთრებულ სადილს, რომელიც თურმე ავგუსტინ დიდის საყვარელი კერძი იყო. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, მაგიდას შემოვუსხედით, სადილი გავსინჯეთ, ერთერთმა ბავშმა წამოიძახა: „სულაც არ არის გემრიელი ეს ავგუსტინის კერძი!" უნდა გენახათ იმ ქალის სახე! ყველას სიცილი აგვიტყდა.

**— რას გვისურვებთ საახალწლოდ?**

— მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით, იყავით ბედნიერები, და კიდევ — გისურვებთ ბუნებრივ აირს!

# ისრაელის ელჩი შაფთაი ცური უნივერსიტეტს ესტუმრა

21 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი შაბთაი ცური ესტუმრა. ელჩს თან ებრაელთა თემის წარმომადგენლები ახლდნენ. თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრა განსაკუთრებულად თბილი და ემოციებით დატვირთული აღმოჩნდა.

თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას თქმით, საქართველოსა და ისრაელს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობა ქართულ და ებრაულ უნივერსიტეტებზეც უნდა აისახოს.

„აქამდე ჩვენი უნივერსიტეტების ურთიერთობა ჩვენი სურვილების ადეკვატური არ იყო. დაიგეგმა რამდენიმე კონკრეტული პროექტი, რითაც უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სერიოზული პერსპექტივა ისახება, რის შემდეგაც ჩვენს სტუდენტებს ისრაელში სწავლებისა და კვლევის მეტი საშუალება ექნებათ. უკვე გვაქვს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელების გეგმა. უახლოეს პერიოდში თსუ-ს თელავივის უნივერსიტეტის რექტორი ეწვევა და ამით ჩვენს ხანგრძლივ ურთიერთობებს მიეცემა დასაბამი. უნივერსიტეტებს შორის ასეთი მჭიდრო კავშირების დამყარება ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის გაგრძელების უფრო მყარი გარანტი იქნება", — განაცხადა თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა, რომელიც პარალელურად თსუ-ში ივრითს ასწავლის, საზოგადოებას შეახსენა, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ებრაული ენის სწავლება პირველად ქართულმა უნივერსიტეტმა დაიწყო აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის თაოსნობით — „თანაც ეს მოხდა 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა მსოფლიოში ანტისემიტიზმი მეფობდა".

თამარ მახარაშვილის თქმით, უნივერსიტეტში გრძელდება ებრაული ენისა და კულტურის კვლევის დიდი ტრადიცია, რაშიც ქართულ უნივერსიტეტს ისრაელის სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს ხელი. საჭიროა არა მარტო სტუდენტების, არამედ პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და კვალიფიკაციის ამაღლება ისრაელში.

უნივერსიტეტის მხცოვანმა პროფესორებმა, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებმა: მარიამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ და მზექალა შანიძემ ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობის მაგალითები გაიხსენეს და ელჩს ერთობლივ სამეცნიერო-სასწავლო პროგრამების განხორციელების რამდენიმე საინტერესო წინადადება შესთავაზეს.

შაბთაი ცურმა საუბარი თავისი ბიოგრაფიით დაიწყო, რითაც თავის ქართულ ფესვებს გაუსვა ხაზი: „დავიბადე ვანის რაიონში. დავამთავრე ვანის რაიონის საშუალო სკოლა და სწავლა განვაგრძე სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1972 წელს კი გავემგზავრე ისრაელში. მას შემდეგ 34 წელი გავიდა და მე ვამაყობ, რომ დღესაც კი მეც, ჩემი მეუღლეც, შვილებიც და შვილიშვილებიც, ყველანი, ქართულად ვლაპარაკობთ".

შაბთაი ცურის თქმით, ისრაელში უმაღლეს განათლებას თავდაპირველად სახელმწიფო აფინანსებდა. დღეისათვის კი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტები საკუთარი თავის დაფინანსებას თვითონვე ახერხებენ. საელჩომ ისრაელის სამ ყველაზე დიდ უნივერსიტეტს მიმართა თხოვნით, 2007 წლიდან დაიწყონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთობის გაღრმავება. მანამდე ქართველი სტუდენტების ისრაელის უნივერსიტეტებში სასწავლებლად გაგზავნა საელჩოს პროექტებით გაგრძელდება.

**თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**



მოკლედ

# ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა

## გიორგი ბარამიძემ წლის ანგარიში წარადგინა



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე საზოგადოების წინაშე 2006 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშით წარსდგა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე მიღწეული შედეგების შესახებ ისაუბრა.

მიმდინარე წელი საქართველოსთვის ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით წარმატებული იყო. 2006 წლის გაზაფხულზე ცალსახად დადებითად შეფასდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP)-ის განხორციელება.

2006 წლის 21 სექტემბერს საქართველომ ნატოსთან ინტენსიური დიალოგის (ID) ფარგლებში თანამშრომლობა დაიწყო. შემუშავდა წინასწარი სადისკუსიო დოკუმენტი (IDP).

საქართველო ნატოსთან ურთიერთობის მაღალ ეტაპზე გადავიდა.

28-29 ნოემბერს რიგის სამიტზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა.

14 დეკემბერს ბრიუსელში ინტენსიური დიალოგის (ID) ფარგლებში ზოგადი კონსულტაცია გაიმართა, სადაც წინასწარი სადისკუსიო დოკუმენტი განიხილეს. დაიგეგმა 2007 წლის განმავლობაში კონსულტაციების ჩატარების გრაფიკი.

გასული 2006 წელი, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ევროპული ინტეგრაციის კუთხით. დამტკიცდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP), რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირის აქტიური მონაწილეობა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები, დიალოგის დაწყება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, თანამშრომლობა უსაფრთხოების, საზღვრის დაცვის, ენერგეტიკისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

2006 წელს ევროკავშირთან დაიწყო თანამშრომლობა „ევროკავშირის დახმარებათა ახალი ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში. 2007 წლიდან ახალი ინსტრუმენტი ჩაანაცვლებს დღემდე არსებულ ევროკავშირის დახმარების პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს. ეროვნული ბიუჯეტის საშუალებით დახმარება მიმართული იქნება ქვეყნის პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად.

# ზაარლანდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა გრძელდება

## გაცვლითი პროგრამა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში 7-8 დეკემბერს ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორმა ბერნ შროდერმა სასწავლო, ენის კურსებისა და სამეცნიერო სტიპენდიების მოსაპოვებელი შესარჩევი გასაუბრება-კონკურსი ჩაატარა.

გასაუბრებაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლები.

შეირჩა 10 სტუდენტი, 3 მეცნიერი, პროფესორები: შოთა სამსონია, მარინა რუხაძე, ლელა ალექსიძე და 2 ახალგაზრდა მეცნიერი: ირაკლი ყანდიაშვილი, რუსუდან სანაძე; სტუდენტები: ნინო სირაძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, გიორგი სვანაძე, ირაკლი რობაქიძე, გიგა გაბრიჩიძე, დავით ჩიტაია, ნათია ბუხრაშვილი, ანა ტრაპაიძე (რეზერვისტები: ანა ლომინაძე, სესილი ელბაქიძე).

გერმანელმა პროფესორმა შერჩევის ძირითად კრიტერიუმად გერმანული ენის სრულყოფილი ცოდნა მიიჩნია. კონკურსის ჩატარების შემდეგ მან აღნიშნა, რომ ქართველ სტუდენტებში შეიმჩნევა გერმანიაში სწავლისადმი დიდი ინტერესი. განსაკუთრებით გამოყო იურიდიული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტთა მომზადების მაღალი დონე.

ზაარლანდის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი ბერნ შროდერი საქართველოში პირველად ორი წლის წინ ჩამოვიდა, მაგრამ, როგორც გაცვლითი პროგრამების კოორდინატორი, ის ამჯერად პირველად ატარებდა გასაუბრებას. პროფესორი შროდერი ხაზგასმით აღნიშნავს იმ სასიამოვნო ცვლილებებს, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეფორმირების შედეგად იგრძნობა.

ზაარლანდის უნივერსიტეტი ქართველ სტუდენტებსა და მეცნიერებს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სთავაზობს ბინას ზაარლანდში, დაზღვევას და სტიპენდიას განსაზღვრული ოდენობით.

ზაარლანდისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მეგობრობას 2008 წელს 25 წელი უსრულდება.

# „ბაღის უნივერსიტეტში“ გაზრდილი „წეროს“ გამარჯვებული

## ინტერვიუ მწერალ ვანო ჩხიკვაძესთან

პირველი გვერდიდან

— ,,წეროს" კონკურსი წელს პირველად ჩატარდა და მის შესახებ, ნაწარმოებების წარდგენის ბოლო დღემდე, არაფერი ვიცოდი. ჩემი ნოველა ,,ახადელების რძალი", ჩემმა მეგობარმა ვასილ გულეურმა 18 ნოემბერს ,,ჩართო" საკონკურსო მარათონში.

საკონკურსო პირობებით, 204 ავტორიდან, სარედაქციო კოლეგიამ თხუთმეტი შეარჩია, მათი ნაწარმოებები გამოაქვეყნა პორტალის გვერდზე და ამის შემდეგ, სამი გამარჯვებული მკითხველების გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა.

გამარჯვებულის დაჯილდოება პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 9 დეკემბერს ჩატარდა და literatura-ge-ს პირველი პრემია — „ვერცხლის წერო“ „ახადელების რძალს“ მიენიჭა.

კონკურსის ორგანიზატორებმა ძალიან მოკლე დროში თხუთმეტი ავტორის ნაწარმოებებით შედგენილი კრებულის — „წეროს“ გამოცემაც კი მოასწრეს.

სხვათა შორის, ეროვნული ბიბლიოთეკის ეს დარბაზი კარგად მაქვს ,,დაცდილი", 2002 წელს, ჩემი პიესა ,,ორი მდინარის შესართავთან..." საერთაშორისო ასოციაცია ,,კვალის" კონკურსში გამარჯვებულად აქ გამოცხადდა.

**— თქვენი პიესა სცენაზე თუ დაიდგა?**

— პიესა ,,ორი მდინარის შესართავთან..." გორსა და ქუთაისში დაიდგა. გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლი (რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ჯემალ მონიავა), 2003 წლის 18 ოქტომბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათგერსის უნივერსიტეტში ჩატარებულ „საქართველოს კულტურის დღეზე“ ვუჩვენეთ მაყურებელს...

**— მკითხველმა იცის, რომ თქვენი ნოველა ,,კოხტა თამრო" ,,Pენ-მარათონი-2003"-ის გამარჯვებულია, ხოლო წელს, მაისში, თქვენი ,,ზამთრის წიგნი" ,,საბას" კონკურსზე, წლის საუკეთესო პროზაულ კრებულად აღიარეს... ყველაფერი კი უნივერსიტეტიდან, ახალგაზრდა მწერალთა წრით, ,,პირველი სხივით" დაიწყო...**

— იმ დღეს, ვიდრე დამირეკავდით, თქვენს გაზეთში პირველად გამოქვეყნებული ჩემი ლექსი — „ზეიმი არაგვზე" გამახსენდა. საოცარია, არა? რატომ, საიდან, როგორ... უცებ ტელეფონის ზარი და... მართლაც ,,ბევრი რამ ხდება უცნაური"... გამახსენდა და, იმპულსური, წამიერი გაელვება ჩემი სტუდენტური წარსულისა გაგრძელდა, განმეორდა, თვალწინ დამიდგა...

ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომას პირველად ვესწრებოდი. წრის ხელმძღვანელმა ბესარიონ ჟღენტმა თვალი გადაავლო, ძირითადად, ჰუმანიტარული ფაკულტეტების პირველკურსელებით სავსე აუდიტორიას და მიხვდა, რომ თითოეულ ჩვენთაგანში გენიოსობაზე მეოცნებე აზარტული მუხტი იდო. ბატონ ბესოს გაეღიმა და გვითხრა, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყველა თქვენგანი ბარათაშვილი გამოვიდეს, ზოგი შეიძლება კარგი ლიტერატორი, კარგი მკითხველი დადგეს და ესეც არ იქნება ურიგო საქმეო.

მაშინ, რა თქმა უნდა, გვეგონა, რომ ის „ზოგი“ ჩვენ კი არა, სხვა იქნებოდა.

მართლაც, არ გაუვლია დიდ ხანს და, უმრავლესობაში ნაოცნებარი ,,დიდი მწერალი“ ჩაჭკნა და, როგორც ბატონმა ბესომ იწინასწარმეტყველა, ბევრი მათგანი კარგ მკითხველად, მეცნიერად, ლიტერატურათმცოდნედ, ჟურნალისტად, მასწავლებლად გაიზარდა.

გივი ალხაზიშვილის შემდეგ, რომლის თავმჯდომარეობის დროსაც მომზადდა და გამოიცა მწერალთა წრის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ,,პირველი სხივის“ საიუბილეო მერვე ტომი, ბედნიერება მერგო — ვყოფილიყავი ახალგაზრდა მწერალთა წრის თავმჯდომარე.

დაუვიწყარია ის წლები, ის დღეები, ის სხდომები და განხილვები, რომელსაც (რადგან ბატონ ბესოს ხშირად არ ეცალა), სისტემატიურად ესწრებოდნენ ტარიელ კვანჭილაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ნია აბესაძე, რევაზ მიშველაძე...

შეიძლება არ დაიჯეროთ და, მომავალ შემოქმედად მხოლოდ მწერალთა წრე კი არა, უნივერსიტეტის ბაღიც გვზრდიდა, რომელსაც ,,ბაღის უნივერსიტეტს“ დავარქმევდი. „უხელფასო, შტატგარეშე პროფესურა“ და მსმენელები ბაღის ლურჯად გადაღებილ სკამებთან ნებაყოფლობით ვგროვდებოდით. თუკი იმ წლებმა რაიმე კეთილად დაატყო ჩემს სულს, მთავარ უნივერსიტეტზე არანაკლებად, ,,ბაღის უნივერსიტეტსაც“ ვუმადლი...

ვინ იყვნენ ისინი, ვისთან ერთადაც ყოფნა გვიხაროდა ,,ბაღის უნივერსიტეტში"?

ვინ, ჩემო ბატონო და, ისევ ჩვენი თანატოლები თუ შედარებით უფროსი მეგობრები: შოთა ჩანტლაძე (,,ბაღის უნივერსიტეტის რექტორი"), გიგლა სარიშვილი, გიორგი ბაქანიძე, ნია აბესაძე, გიორგი ჯაფარიძე, თედო ბექიშვილი, სოსო პაიჭაძე, ჯარჯი ფხოველი, გივი ალხაზიშვილი, მურმან ჯგუბურია, ვახტანგ ხარჩილავა, ჯემალ დავლიანიძე... ზოგჯერ ზვიად გამსახურდიაც შემოგვიღებდა ,,აუდიტორიის კარს"...

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

ბაღის შეხვედრებს ბევრი იხსენებს და მეც მაქვს მოთხრობა ,,იყო ერთი საღამო...“, რომელიც ჯერ ,,ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა და მერე ,,ზამთრის წიგნში“ შევიტანე...

შეხვედრები, ხშირად, სტუდენტის ჯიბისთვის ხელმისაწვდომი პურობით მთავრ-



დებოდა, სადაც იყო იუმორი, ხალისი, ახალი ლექსების კითხვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მიდებულ-მოდებული ლაპარაკი, შეურაცხმყოფელი, გადაკრული სიტყვა, ფრაზა, დამოკიდებულება... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც, ვინც ცხოვრებას შემოვრჩით, იმ სიწმინდითა და მართალი დამოკიდებულებით ვაგრძელებთ ურთიერთობას, მეგობრობას...

**— ახალ წელს, თქვენი სტუდენტობის დროს, სხვანაირი სიხარულით ხვდებოდნენ. რას იხსენებთ ხოლმე, ხშირად, სუფრასთან?**

— მოსაგონარი მართლაც ბევრია...

თბილისის ,,დინამო" ერევნის ,,არარატს'' ხვდებოდა. სტაჟიან გულშემატკივრებს ახსოვთ, რას ნიშნავდა ფეხბურთის დღე თბილისისათვის და მთელი ქართველი ფეხბურთის თაყვანისმცემლებისათვის.

მე და ჩემმა თანაკურსელმა, თამაზ ჟორჟოლიანმა, რის ვაი-ვაგლახით ვიშოვეთ ბილეთები, თანაც დასავლეთ ტრიბუნაზე, მოედნის ცენტრთან ახლოს. მაგრამ რად გინდა... საღამოს დასწრებულზე ვსწავლობდით და თამაში, მაინცდამაინც, უმკაცრესი ლექტორის ოთარ ურიდიას ლექციას დაემთხვა.

ვინც ბატონ ოთარს იცნობდა, დამეთანხმება, როგორი რისკი იყო მისი ლექციის გაცდენა, მით უმეტეს ისეთი „ბეჯითი“ სტუდენტებისათვის, მე და თამაზი რომ გახლდით.

რა გვექნა, ვერც თხოვნა გავუბედეთ — გავეშვით, შეგვეშინდა — ფეხბურთის სიყვარულის გამო არ გაველანძღეთ და... გავიპარეთ... გავიპარეთ და მართლაც უნიკალური, ისტორიული თამაშის მოწმენი გავხდით — შეხვედრა ხუთით ნოლი მოვიგეთ. ხუთივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, თანაც ხუთივე ერთმა ფეხბურთელმა, ილია დათუნაშვილმა გაიტანა... მეორე დღეს ანეგდოტიც გავრცელდა, სომხეთში ბავშვებს აშინებენ: — დაიძინე, თორემ ილია დათუნაშვილი მოვაო...

ყოველი გოლის გატანაზე მთელ ტრიბუნასთან ერთად წამოვხტებოდით მე და თამაზი, გადავეხვეოდით ხოლმე ერთმანეთს... მესამედ რომ წამოვხტით, გავიხედე და... ორიოდე რიგის უკან სიხარულით მაღლა ხელებშეყრილი ბატონი ოთარი არ ბრძანდება?.. დამინახა, დავინახე და გაოცებისგან ღიმილი შემაცივდა:

ბატონმა ოთარმა, თავადაც ლექციიდან გამოპარულმა, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა: თქვენც ჩუმად და მეც — ჩუმადო...

### რაიმეს ნგრევას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ უკეთესს ავაშენებთ

**— როგორ აღიქვამთ უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე პროცესებს?**

— ახლა დედაქალაქში აღარ ვცხოვრობ, არც უნივერსიტეტთან მაქვს ურთიერთობა, ამიტომ მხოლოდ წაკითხულით და ყურმოკრულით მსჯელობა გამიჭირდება. თუმცა, განვლილი თხუთმეტწლიანი მწარე გამოცდილება მაიძულებს ბევრ ,,ექსპერიმენტს“ ბოლომდე ვერ ვენდო და ვთქვა, რომ რაიმეს ნგრევას (ამ შემთხვევაში ,,პროცესებს“) მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუკი უკეთესს ავაშენებთ.

ამაზე ხვალინდელი დღე გაგვცემს პასუხს. ეს პასუხი კი სასურველი იმ შემთხვევაში იქნება, თუ წარსულის გამოცდილებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ,,ძველია“, ხელაღებით უარს არ ვიტყვით.

თქვენმა შეკითხვამ იცით რა გამახსენა?

პირველი კორპუსის ფოიეში, მეორე სართულზე ამავალ კიბესთან, უცხოები რომ არ შესულიყვნენ, წითელსამკლაურიანები მორიგეობდნენ ხოლმე.

ერთხელ მორიგემ კიბის პირველ საფეხურზე ფეხშედგმული აკაკი შანიძე შეაჩერა და საბუთი მოსთხოვა.

ბატონმა აკაკიმ უთხრა ვინც იყო და ისევ ასასვლელად გაიწია, მაგრამ მორიგემ უფრო კატეგორიულად გადაუღობა გზა და ბერიკაცს უკან დაახევინა.

ატყდა ჩოჩქოლი, გაირკვა რაც ხდებოდა, მისცვივდნენ მორიგეს, აკაკი შანიძე თავად საბუთი არ არის? თავის დაარსებულ უნივერსიტეტში აღარ უშვებო?

უვიცობამ და სიბრიყვემ, რა თქმა უნდა, უკან დაიხია, მაგრამ უნდა გენახათ ბატონი აკაკის დაბნეული, გაოგნებული, შეწუხებული სახე.

ეს იგივე იყო, თავის სახლში არ შეეშვათ...

არ მინდა, ახლაც რაიმე ამის მსგავსი მოხდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ სხვისი ლვაწლის დამვიწყებელს, თავადაც დაივიწყებენ...

ფხიზლად თუ არ ვიქნებით, არათუ კონკრეტულ პიროვნებებს, ქვეყანასაც აღარ ეყოლება გამომსარჩლებელი.

,,ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი,
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა მგოსანო
სირეგვნე შეუწონარი".

ასი წლის წინ შესჩივის ,,ჩვენი ხელით" მოკლულ ილიას ვაჟა-ფშაველა.

ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნეტავ, რას ეტყოდა ასი წლის შემდეგ ვაჟა ქართველი ერის მამას?

შორს წაგვიყვანა ,,პროცესებზე" საუბარმა, მაგრამ რამ გაყო ქვეყნისა და უნივერსიტეტის პრობლემები...

მე მახსოვს ,,ჩემი უნივერსიტეტი" — მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, მაინც ეროვნული კულტურის, მეცნიერების, განათლების დიდი ქომაგი და მოამაგე. მახსოვს მის ეზოში ძეგლებად ქცეული, თუ ჯერ კიდევ ცოცხალი დერეფნებში ფეხაკრეფით მოსიარულე სათაყვანო მოღვაწეები. ეს იყო უნივერსიტეტი, სადაც ქართული სული მარადიული ცეცხლივით ენთო.

ქართველ ერს ისეთი უნივერსიტეტი უნდა ჰქონდეს, სადაც ეს ცეცხლი არ ჩაინავლება.

**— ახალი წელი მოდის. რას უსურვებთ უნივერსიტეტს?**

— რა შეიძლება ადამიანმა უსურვოს ძალიან ძვირფას და მონატრებულ ახლობელს?

ერთი სურათი მაქვს, ადრეულ წლებში გადაღებული — დათოვლილი, ვარაზისხევში ჩამავალი კიბეები, ბაღი, ძეგლები და ასაფრენი გედივით ყელმოღერებული, ამაყი, თეთრი უნივერსიტეტი...

სურათზე ყველაფერი საოცრად ქათქათა, უმტვერო და წმინდაა.

ასე დარჩა ჩემს ხსოვნაშიც და, მინდა, ასეთი მრავალი ახალი წელი გაუთენდეს ჩვენს უნივერსიტეტს და ყველას, ვინც ღირსია მის კედლებში ,,ლოცვისა".

მე ,,ჩემი უნივერსიტეტიდან" მოვდივარ...

მოკლედ

# „მევალებოდა, უფრო მეტი გამეკეთებინა...“

## თავმდაბლობის 80 წელიწადი

18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი პროფესორების — მზექალა შანიძის, ელენე ბაბუნაშვილისა და ზურაბ ჭუმბურიძის დაბადების 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. იუბილარები 60 წელზე მეტია, უნივერსიტეტში მოღვაწეობენ. ამ ხნის განმავლობაში თავიანთ დარგში — ენათმეცნიერებაში დიდი კვალი დატოვეს და მრავალი ღირსეული მეცნიერი აღზარდეს.

პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებლის, აკაკი შანიძის ქალიშვილი, მზექალა შანიძე შესაშური ენერგიულობით და აქტიურობით აგრძელებს მოღვაწეობას უნივერსიტეტში. იგი არის თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სასწავლო კვლევითი ლაბორატორიის — „ორიონის“ ხელმძღვანელი. წელს მისი ხელმძღვანელობით და ფრანკფურტის უნივერსიტეტთან პარტნიორობით თსუ-ში მეტად მნიშვნელოვანი სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდება — „ძველი ქართული ენა და ხელნაწერთმცოდნეობა“. „ორიონის“ თანამშრომლები კიდევ ორ საერთაშორისო გრანტში არიან ჩართულნი.

ელენე ბაბუნაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ანტონ კათოლიკოსის ურთულესი ნაშრომის „ქართული ღრამმატიკის“ კვლევა. წლების განმავლობაში ელენე ბაბუნაშვილი თავის ძირითად პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობას უთავსებდა. უნივერსიტეტში მას მიჰყავდა ძირითადი კურსები ქართული ენის გრამატიკის, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ძველი სომხურისა და ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობის მიმართულებით. კონსულტაციას უწევდა და ასწავლიდა უცხოეთიდან ქართული ენის შესწავლის მიზნით მოვლინებულ სპეციალისტებს, მიჰყავდა ქართული ენის ყოველკვირეული სასწავლო კურსი საქართველოს ტელევიზიით და ყოველივე ამის საფუძველზე შექმნა ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო არაქართველთათვის (გერმანულ ენაზე) და „ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო“.

ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის ქართული სალიტერატურო ენა და სტილი, სვანური ენა და საერთოდ, ქართველური ენების სტრუქტურა. ძველი ქართული ენა და საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ტექსტოლოგია და ხელნაწერთა ისტორია, მწერლის ენა და ლიტერატურული კრიტიკა, ლექსიკოლოგია და ონომასტიკა, სემანტიკა და ეტიმოლოგიური ძიებანი. განსაკუთრებული პოპულარობა მეცნიერს მოუტანა ლაღად და ფართო მკითხველისთვის მიმზიდველად დაწერილმა სამეცნიერო წიგნებმა — „რა გქვია შენ“, „დედა ენა ქართული“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“.

„დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტი კიდევ დიდხანს იამაყებს თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგებით. მინდა, ისიც გითხრათ, რომ „არ გაგიფრთხილდებით“ და კვლავ გამოვიყენებთ თქვენს ცოდნას, გამოცდილებას და ავტორიტეტს ახალგაზრდა თაობის, ჩვენი მომავალი მეცნიერების აღზრდის პროცესში“, — ამ სიტყვებით მიმართა დამსახურებულ პროფესორებს თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ სამეცნიერო კონფერენციის მისასალმებელ გამოსვლაში.

მისივე თქმით, ბოლო დროს იყო მცდელობა, უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებები თაობათა დაპირისპირებად წარმოეჩინათ, რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რადგანაც უნივერსიტეტი უფრთხილდება და ყოველთვის გაუფრთხილდება მასწავლებელსა და მოწაფეს შორის არსებულ სათუთ ურთიერთობას.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იუბილარებს მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები უსახსოვრა და პრემიით — 1000-1000 ლარით დააჯილდოვა.

„მევალებოდა, უფრო მეტი გამეკეთებინა, — სამაგალითო თავმდაბლობით მიმართა საზოგადოებას მზექალა შანიძემ — მე მოვესწარი უნივერსიტეტის დამაარსებლებს — ივანე ჯავახიშვილს, მამაჩემს და სხვა ისეთ მეცნიერებს, რომელთა საქმეებთან შედარებით მე ჯერ არაფერი გამიკეთებია.



თუმცა, ბევრი გეგმა მაქვს და ჩემს მორალურ მოვალეობად მიმაჩნია, ახალგაზრდებს სწორედ ჩვენი წინა თაობის მიერ გაკვალული გზა ვაჩვენო. მინდა, ვასწავლო მათ, როგორ ვიაროთ ბეწვის ხიდზე, რომლის ერთ მხარეს არის კუთხური კარჩაკეტილობა და პროვინციალიზმი, მეორე მხარეს კი ყველაფრის უარმყოფელი კოსმოპოლიტიზმი. თუკი ამას ოდნავ მაინც შევძლებ, ჩავთვლი, რომ ჩემი დრო და ენერგია უქმად არ გახარჯულა“.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგნენ თსუ-ს პროფესორები: თედო უთურგაიძე, ლეილა გეგუჩაძე, ანა ხარანაული, დამანა მელიქიშვილი, სალომე ომიაძე, რამაზ ქურდაძე და სხვები. იუბილარებს მისალოცი სიტყვებით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, თამაზ გამყრელიძემ და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, პროფესორმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

**თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# ნიჭი ვერ იტანს შეზღუდვას...

## უნივერსიტეტში „ლიტერატურული სახელოსნო“ ფუძნდება

შურთხია ბეროშვილი

გაივლის დიდი დრო და ცნობილი პოეტი ტარიელ ჭანტურია უნივერსიტეტში ჩაბარების ამბავს გაიხსენებს: „მივაკითხე უნივერსიტეტს — გადავწყვიტე, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შევსულიყავი. მივედი ფაკულტეტის სამდივნოსთან და კაციშვილის ჭაჭანება არ არის. ველოდები მდივანს. ამ დროს კივილისა და მოთქმა-ვაების ხმები მომესმა.

დავინტერესდი, რა ხდება-მეთქი. ვხედავ, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამდივნოსთან უზარმაზარი რიგი დგას, არის ერთი ჩხუბი, დავიდარაბა... თურმე, ახლადდაარსებულ ჟურნალისტიკის ფაკულტეტს მედალოსნები მიწყდომოდნენ.

რაღა ბევრი გავაგრძელო, დავხიე ჩემი განცხადება, მივედი იმ გრძელ რიგში, ახალი განცხადების დასაწერად დავადე ზურგზე ფურცელი ქუთაისელ ვახტანგ ჯავახაძეს და ასე შევედი ჟურნალისტიკის განყოფილებაზე... შევედი და რას ვხედავ, მთელი ჯგუფი — ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, ზაურ ბოლქვაძე, ოთარ დემეტრაშვილი, რევაზ ინანიშვილი...“

დიახ, იმ გრძელ რიგში 50-60-იანი წლების მომავალი ქართული მწერლობა იდგა. უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეს მართლაც დიდი ტრადიციები აქვს. მისი ალმანახი „პირველი სხივი“ იმდროინდელი ახალგაზრდობის საყვარელი ჟურნალი იყო. ლიტერატურული წრე ყველა თაობას ჰქონდა ჩამოყალიბებული. ამჟამად ეს ტრადიცია კვლავ აღდგება. ამ საკითხზე ვესაუბრეთ პოეტ ქეთი შენგელიას.

ქეთი შენგელია:

— „ლიტერატურული სახელოსნო“ უნივერსიტეტის „ახალგაზრდა მწერალთა წრის“ ტრადიციებს გააგრძელებს. იგი 2004 წელს ჩამოვაყალიბეთ და მას შემდეგ, ვცდილობთ, სისხლსავსე ლიტერატურული ცხოვრებით მოვახერხოთ მისი „ფეხზე წამოყენება“. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ლიტერატურული ცხოვრება მდორედ მიედინებოდა. დაარსების დღიდან, ჩვენი სახელოსნო ხშირად მართავდა სტუდენტების შემოქმედების განხილვა-გარჩევებს, ახალი წიგნების პრეზენტაციებს, ლიტერატურულ საღამოებს. ეს ხომ პირველი ასპარეზია მომავალი მწერლებისათვის; რაც მთავარია, შემოქმედ სტუდენტებს დაუბრუნდათ ცნობილი 93-ე აუდიტორია, პატარა დარბაზი, რომელსაც ჩვენი სულიერი ოაზისიც კი შეიძლება ვუწოდოთ. ახალგაზრდებისათვის საყვარელ და მნიშვნელოვან საქმეს გულისხმიერებით მოეკიდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი გიორგი ხუბუა, რისთვისაც პირადად და სტუდენტების სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო. ჩვენი ლიტერატურული საქმიანობა მნიშვნელოვანი საზრუნავია და მისი თანადგომით „ლიტერატურული სახელოსნო“ ახალი გეგმებით კვლავ შეუდგება მუშაობას, ახალგაზრდების სულიერებასა და გემოვნებაზე ზრუნვას.

მოემი ამბობდა: „კარგი პროზა კარგი აღზრდის შედეგია. პოეზიისაგან განსხვავებით, პროზა ზრდილი ხელოვნება გახლავთ. პოეზია ბაროკოა. ბაროკო ტრაგიკულია. მძიმე და საიდუმლოებით მოცული. პოეზია სტიქიურია, მას სიღრმე და შინაგანი ჭვრეტა სჭირდება“... შემოქმედებასთან დაახლოებული ადამიანის, განსაკუთრებით ახალგაზრდის, სულის მოძრაობა ნაადრევი გაზაფხულის ყვავილივით მოსაფრთხილებელია და ვისაც შეუძლია, წყალი უნდა დაუსხას. ვფიქრობ, სწორედ ამას ცდილობს დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— ვიმედოვნებთ, რომ თსუ-ს „ლიტერატურული სახელოსნო“ მნიშვნელოვანი დასაყრდენი გახდება მომავალ ქართველ მწერალთა დიდი ოჯახისათვის. ძირითადად, სხდომები სტუდენტების შემოქმედებას დაეთმობა: მოეწყობა მათი ლექსების, დრამატურგიის, პროზაული ნაწარმოებების განხილვები; სტუდენტებს ეყოლებათ ოპონენტები, პერიოდულად მოვიწვევთ არა მარტო მწერლებს, კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებსაც. რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, ხშირად მით უფრო საინტერესო ხდება მისთვის ხელოვნების სხვა დარგის „მსახურთა“ თვალსაწიერი, მათი ნააზრევი და დამოკიდებულება ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებთ, როგორც აქამდე არაერთხელ მომხდარა, მონაწილეობა მივიღოთ მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ამ შემოდგომაზე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართა საღამო, რომელიც მწერლის დაბადების დღეს მიეძღვნა. იუბილე „ლიტერატურული სახელოსნოს“ სტუდენტების ძალებით ჩატარდა. (მათ სახელებს სიამოვნებით ჩამოვთვლი: თამარ სამსონიშვილი, ნანიკო ბალახაძე, ცირა პატარაია, გიორგი ძამუკაშვილი, გურანდა აჩელაშვილი, გიორგი სანიკიძე). მინდა მუზეუმის დირექციის სახელით მადლობა გადავუხადო თსუ-ს ხელმძღვანელობას და ამ ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებს. მსგავსი შეხვედრები და დღეები ამდიდრებს ახალგაზრდა შემოქმედთა ბიოგრაფიას.

სურვილი გვაქვს, აგრეთვე, „ლიტერატურულ სახელოსნოში“ თარგმანსაც მიექცეს ყურადღება, ამით უფრო სრულყოფილი გახდება საუნივერსიტეტო ლიტერატურული პროცესი; ამასთან, იგეგმება სტუდენტებისათვის საგაზაფხულო შემოქმედებითი კონკურსი, რომლის შესახებაც აუცილებლად ვიზრუნებთ.

**— თქვენი ინფორმაციით, უნივერსიტეტში ბევრია „ახალგაზრდა მწერალი“?**

— ჩემთვის „ახალგაზრდა პოეტი“, „ახალგაზრდა მწერალი“ — ამგვარი დამოკიდებულება შემოქმედი ადამიანის მიმართ უცხოა. ნიჭიერი ახალგაზრდა რომ ბევრი გვყავს, და მათგან ზოგიერთი რომ თავიანთ სათქმელს იტყვის, ან უკვე ამბობს ქართულ მწერლობაში, ეს უდავოა. „ლიტერატურულ სახელოსნოს“ ვხელმძღვანელობდი და სიხარულით და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ გვყავს არა მარტო ნიჭიერი, არამედ სერიოზული ლიტერატურული პოზიციების, თავისი ხელწერის, პოეტური ხმის მქონე (რაც ამ ასაკში იშვიათობაა) ახალგაზრდებიც; მათთვის დახარჯული დრო და ენერგია, მჯერა, ამაოდ არ ჩაივლის. ისინი თავის სათქმელს აუცილებლად იტყვიან. მანამდე კი ძნელი, სწავლის და შრომის გზა უნდა გაიარონ. ზოგჯერ ადამიანი უკვე წელში გამართული მიაბიჯებს, რათა შეუერთდეს ქართული მწერლობის მნიშვნელოვან გუნდს და არა სალაღობოდ გამოგონილ ამბავთა მეხოტბეებს.



**— განსაკუთრებული პირობა თუ არსებობს, ამ წრეში მოსახვედრად, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი, ვისაც ლიტერატურული სახელოსნოს „ოთახში“ უნდა მოხვედრა?**

— ყველას შეუძლია ეწვიოს „ლიტერატურულ სახელოსნოს“. ვისაც სურვილი აქვს, ვისთვისაც ხელოვნება ძვირფასი და შეუცვლელი რამ არის, ან თუნდაც, მხოლოდ ინტერესის საგანია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე სხვა სასწავლებლებიდან მოსული სტუდენტებისათვის სითბოს და სიკეთის მეტი არაფერი გაგვიტანებია და ვფიქრობთ, ახლაც ასე იქნება. მით უფრო, რომ საინტერესო ღონისძიებებს ვგეგმავთ.

**— როგორ წარიმართება შემოქმედებითი მუშაობის პროცესი?**

— დასაწყისისათვის ერთიანი ძალებით გვსურს პოეზიის საღამოს ჩატარება, რომელშიც ყველა მსურველი (ვისაც წერა ნამდვილად შეუძლია) მიიღებს მონაწილეობას. შემდეგ დაიწყება ჩვეულებრივი პროცესი: სტუდენტებს სისტემატურად შევხვდები, მოეწყობა მათი ნაწერების განხილვა, ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო წრეა, სადაც ახალგაზრდები ეჩვევიან ერთმანეთის შემოქმედებაზე პროფესიულ საუბარს, რაც გულისხმობს იმასაც, რომ თუ ჩვენს მიერ განსასჯელად გამოტანილი მასალა მოეწონათ, რა კრიტერიუმით შეაფასეს ნაწარმოები და ა.შ. შეუძლებელია ვინმეს კარგად წერა ასწავლო, მაგრამ რა არის დაუშვებელი და მიუღებელი ნამდვილი ლიტერატურისათვის, ეს თუ არ იცის ადამიანმა, აუცილებლად უნდა აუხსნა მას. გარდა ამისა, მოსაფრთხილებელია ახალგაზრდების ნაწერებში აღმოჩენილი სტილის „ჩანასახები“, რომელიც შემდეგ სამწერლო გამოცდილებასთან ერთად სხვა „ნაყოფს“ მოისხამს და მწერლისათვის საკუთარ ხელწერად იქცევა. ნიჭი ვერ იტანს შეზღუდვას. ლაღი აზროვნება მნიშვნელოვანი მომენტია შემოქმედისათვის; ამიტომ მშვენიერია, როცა გასაქანი ეძლევა ახალგაზრდის თავისუფალ, ამავდროულად, არაზედაპირულ აზროვნებას, ამისათვის მას სასიცოცხლო ნიადაგი და გარემო აუცილებლად სჭირდება.

**— რა არის ამჟამად თქვენი მთავარი პრობლემა?**

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავშესაფარი — ოთახი, სადაც მუდმივად შევიკრიბებით. იმედი მაქვს, ეს პრობლემა მოგვარდება. შემოქმედ ახალგაზრდებთან მუშაობა ძალიან ფაქიზი საქმეა, მათ გამორჩეული გულისხმიერებით და ტაქტით უნდა მოვეკიდოთ. ბედნიერი ვარ, რომ მათ მიმართ გაცემული სითბო და სიყვარული ბუმერანგივით უკან დამიბრუნდა. ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე ყურადღებით მოეკიდა ჩვენს პრობლემებს, რადგან ფილოლოგიის ფაკულტეტის გარდა, არცერთი სხვა დეკანისაგან ჩვენ სერიოზული მხარდაჭერა არასოდეს გვიგრძვნია. ჩვენს მიერ ჩატარებული უამრავი საღამო, სადაც იმართებოდა სტუდენტების წიგნების პრეზენტაციები, შემოქმედებითი განხილვები და მოწვეულ მწერალთა საღამოები და არც ჩვენი პრობლემები, მათი ინტერესის საგანი არასოდეს ყოფილა.

მარტო, სტუდენტებთან ერთად, ზამთრის საღამოებში უკვე ჩაბნელებულ უნივერსიტეტში, სადაც მხოლოდ 93-ე აუდიტორია იყო განათებული გამოვდიოდი და ვემშვიდობებოდი ჩემს უმცროს მეგობრებს შემდეგ შეხვედრამდე, სამაგიეროდ, მათი გაბრწყინებული თვალები აწონასწორებდა გულისტკივილს.

სახეებსა და მეტაფორებში, ოცნებასა და რეალობას შორის აღმოცენებული ქართული სიტყვა, რომელიც ცოტა ხანს ადამიანის მეხსიერებაში გაირინდება და იქვე იწყებს ბავშვივით ზრდას, სულიდან ყველაზე მნიშვნელოვან ნაპერწკალს ისესხებს ხოლმე და მერე ლექსებად ჰყვავის ფურცლებზე. და რაც უფრო ნათელია ამ ფურცლებზე აზრი, მით უფრო მასშტაბურია, რაც უფრო სუფთაა სურვილი, მით უფრო დიდია და უნდა მოვეფეროთ ამას, აბა რა?!

**— როგორც თქვენ აღნიშნეთ, უკან დარჩა სიძნელეები. სტუდენტებს განახლებულ ლიტერატურულ სახელოსნოში საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა ელით, რას უსურვებდით მათ საახალწლოდ?**

— ვუსურვებ სტუდენტებს და თსუ-ს კოლექტივს ცხოვრებისეულ ადამიანურ დღესასწაულებს, ჩვენი სახელით კი მთელ საქართველოს — სიხარულს და წინსვლას. იყოს 2007 წელი საინტერესო სიახლეების მაცნე.

# პროგრამისტებისათვის 2006 წლის მიღწევები განსაკუთრებულია

მანანა ჯურხაძე

შეჯიბრი და ასპარეზობა, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი და ფინალი, ნაკრები გუნდი, გუნდის მწვრთნელი, თასი და მედლები, გამარჯვება და დამარცხება... არ იფიქროთ, რომ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე ან სპორტის სხვა რომელიმე სახეობაზე ვსაუბრობთ, ამ ტერმინებს იყენებენ მეცნიერების იმ დარგში, რომელსაც პროგრამირება ჰქვია.

თსუ პროგრამისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელია თეიმურაზ ზარქუა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები, ჯერ კიდევ 1999 წლიდან ჩაერთვნენ პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის მსოფლიო ჩემპიონატში და საკმაოდ წარმატებულადაც. შედეგების შეჯამებით თუ ვიმსჯელებთ, თსუ პროგრამისტები დღემდე ინარჩუნებენ წამყვან პოზიციას სამხრეთკავკასიის მასშტაბით.

2006 წლის მიღწევები კი მაინც განსაკუთრებულია:

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლების ღია ჩემპიონატზე — პირველი ხარისხის დიპლომი; რუსეთის ღია თასზე — მესამე ხარისხის დიპლომი, სრულიად უკრაინის ღია ჩემპიონატზე — თასი და ბრინჯაოს მედლები; მინსკის მეოთხედფინალში — მეორე ხარისხის დიპლომი; სრულიად რუსეთის ღია ჩემპიონატში — მესამე ხარისხის დიპლომი; ახალგაზრდა პროგრამისტთა შორის მსოფლიოს არაოფიციალურ პირადი ჩემპიონატის ფინალის საგზური მოიპოვა ნიკა ჯიმშელეიშვილმა, ხოლო გუნდებს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში — ნახევარფინალის 4 საგზური ერგოთ. რამდენიმე უმაღლესი შედეგი აჩვენეს ინტერნეტით ჩატარებულ უძლიერესი შემადგენლობის პირად და გუნდურ შეჯიბრებებში.

გუნდის მწვრთნელი, იმ არასასიამოვნო ინციდენტზე მოგითხრობთ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ჩვენი გუნდების მაჩვენებლები გააუარესა და ცხადია, შედეგებზეც იმოქმედა.

თეიმურაზ ზარქუა: 28-29 ნოემბერს, სანკტ-პეტერბურგში, ბარნაულში, ტაშკენტსა და ერევანში პარალელურად მიმდინარეობდა უმაღლეს სასწავლებელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი პროგრამირებაში. ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან 193 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის, 11 — საქართველოდან, აქედან 4 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. აღსანიშნავია, ისიც, რომ 4 გუნდით მონაწილეობის უფლება სულ ოთხმა უმაღლესმა სასწავლებელმა მოიპოვა (თსუ; მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სანკტ-პეტერბურგის საინფორმაციო ტექნოლოგიების, ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ამჯერად, ჩვენი ოთხივე გუნდი ერევანში ასპარეზობდა.

შეჯიბრება ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა. უნივერსიტეტის ნაკრებს, ასოციაცია ACM-ის სპეციალური სერტიფიკატი გადაეცა, როგორც საქართველოს მეოთხედფინალურ ჯგუფში შეჯიბრების ორგანიზატორს. ამავე დღეს ჩატარდა ე.წ. პრაქტიკული ტური. დარბაზში თითქმის შუაღამემდე დავრჩი, როდესაც დავრწმუნდი, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მხოლოდ მაშინ დავტოვე იქაურობა. მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე დღეს, ჩვენს პირველ გუნდს მოულოდნელი ტექნიკური სირთულე შეხვდა, და იმდენად სერიოზული, რომ აუცილებელი გახდა მათი კომპიუტერის გამოცვლა, რასაც დაახლოებით საათნახევარი დასჭირდა. შეფერხების გამო გუნდის წევრები აშკარად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ. დამატებულ მხოლოდ ხუთ წუთს, არანაირად არ შეიძლება მიეცეს ადექვატური კვალიფიკაცია. პირველი გუნდის ამ მოულოდნელმა შეფერხებამ ფსიქოლოგიურად დათრგუნა დანარჩენი გუნდის წევრებიც. რამაც, საბოლოოდ, ჩვენი გუნდების მაჩვენებელი არაბუნებრივად დააქვეითა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სრულიად რუსეთის ღია გუნდური ჩემპიონატის მესამე ხარისხის დიპლომი მოვიპოვეთ. ამჟამად ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატში მე-16 ადგილზე ვართ, რაც საკმაოდ მაღალი პოზიციაა. სამხრეთ კავკასიის უმაღლესი სასწავლებლებიდან საუკეთესო მაჩვენებლები აჩვენეს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (30-ე ადგილი), ერევნის რუსულ-სომხურმა უნივერსიტეტმა (58-ე ადგილი), თსუ-ს სოხუმის ფილიალმა (65-ე ადგილი).

მართალია, თსუ-ს ხელმძღვანელობის უპრეცედენტო მხარდაჭერის მიუხედავად, გუნდმა მთავარ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ გასულ წლებთან შედარებით, წლევანდელი მაჩვენებლები აშკარად გაუმჯობესებულია. ერევნიდან ჩამოსვლის შემდეგ, ჩვენი პროგრამისტები აქტიურად განაგრძობენ მომავალი ასპარეზობებისათვის მზადებას.

# გულით დანახული საქართველო

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეები უნივერსიტეტმა განსაკუთრებულად აღნიშნა. არც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებამ არ დაიშურა ძალისხმევა და სტუდენტებს საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები შესთავაზა: დოკუმენტური ფილმის პრემიერა — „მზიანი ღამის ფერები“, სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეთა მიერ მომზადებული ფოტოგამოფენა — „ტაო-კლარჯეთი — 2005“, ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტი და ჟურნალი „ლ'ილ“-ის პრეზენტაცია.

ტაო-კლარჯეთი... ძველი საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ცენტრი... მეხუთე საუკუნიდან ვახტანგ გორგასალმა კლარჯეთის ცენტრი გადმოიტანა არტანუჯში. არტანუჯის მეორე სიცოცხლე დაკავშირებულია აშოტ კურაპალატისა და დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის სახელთან. ამ ადგილზე აშოტ კურაპალატმა ააღორძინა ქალაქი, რომელიც სახელმწიფოსა და ბაგრატიონთა დინასტიის მთავარ პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. 1551 წელს აქ შემოიჭრა შაჰ-თამაზი და აქვე აშენდა პირველი მეჩეთი. 1553 წლიდან არტანუჯი უკვე ოსმალეთის შემადგენლობაშია.

ფილმის ავტორები წინაპართა ნაკვალევზე მიგვიძღვიან და მეგზურობას გვიწევენ. ოპიზა... ხანძთა... შატბერდი... ბანა... თორმეტი დიდი მონასტერი.. სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს ეკლესიური და კულტურული დამოუკიდებლობის მოპოვება, რომელმაც სათავე დაუდო ეროვნული ერთობის იდეას და ქვეყნის პოლიტიკურ გამთლიანებას. ფილმის ავტორები შეგვახსენებენ, რომ შესაძლოა, რუსთაველიც სწორედ ამ მხარის პირმშოა, გვიჩვენებენ ადგილებს, რომელიც ძალიან ჰგავს პოემაში აღწერილ ადგილებს, გულანშაროს და ქაჯეთის ციხეს. იქაური მცხოვრებლების საუბარში კი დამალული დარდი და სიამაყე იგრძნობა. „ჩვენი განათლებული ქართველები თავის შვილებს ქართულს ასწავლიან“, „აქედან გულით ვიყურები, გულით ვხედავ საქართველოს, სიზმარშიც ხშირად მინახავს“, „ხალხს სჯერა, რომ ეკლესიაში ჩვენი წინაპრების სულებია“, — ამბობენ ისინი.

ფილმმა ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერებიც აალელვა. აკადემიკოსმა **მარიამ ლორთქიფანიძემ** სტუდენტებს თავისი მოსაზრება გაუზიარა — „ჩვენი თაობისათვის ტაო-კლარჯეთი ცნობილი იყო მხოლოდ ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევებიდან. მხოლოდ ფოტომასალით ვიცნობდით ამ ქვეყნის ძეგლებს. ტაო-კლარჯეთი იყო ჩვენი ტკივილი, მძიმე მოგონება, მაგრამ ამასთან, სიამაყის განცდა, რადგან ამ მხარესთან ქართული კულტურის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებებია დაკავშირებული. მე იმედი არ მქონდა, მაგრამ მოვესწარი იმ დროს, როდესაც შესაძლებელი გახდა ტაო-კლარჯეთის მონახულება და დოკუმენტური ფილმის გადაღება. ამ თემაზე სხვებსაც უმუშავიათ, ამ ფილმის თავისებურება კი ის არის, რომ, ისტორიული ძეგლების გარდა, ვნახეთ ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც მოგვითხრობენ თავიანთი წარმოშობის შესახებ; მათი სოფლები, იქაური ცხოვრება. ჩვენ თვალწინ გადაიშალა თანამედროვე ტაო-კლარჯეთი.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შემდეგ უკვე შესაძლებელი ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა, როგორიც არის ხანძთის, შატბერდის ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

გიორგი ჩუბინაშვილის და ვახტანგ ბერიძის აზრით, VIII-X საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში განვითარების ერთი ძირითადი ხაზი შეინიშნება, ტაო-კლარჯეთის, დასავლეთის, ჰერეთის თუ შიდა ქართლის არქიტექტურას საერთო ქართული კულტურული საფუძველი აქვს და სიმდიდრე ამ არქიტექტურისა ის არის, რომ ყველა მათგანი ამავე დროს თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა. ამ ფილმში მოკრძალებით, მაგრამ მაინც არის ეს დეტალი გადმოცემული“.

რეჟისორმა ნიკო წულაძემ აღნიშნა, რომ ის სამი წელი, რომელიც ფილმზე მუშაობას მოანდომა, დაუვიწყარი იყო: ,,საოცრად გულთბილად გვხვდებოდნენ, ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოს შესახებ. აუცილებელია, ეს კავშირები გადაიზარდოს ინტელექტუალურ თანამშრომლობაში. მართალია, არსებობს დიასპორები, საელჩოები, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, მაგრამ მთავარი, სულიერი საქმეა საკეთებელი. ჩვენ კიდევ გვაქვს შეგროვებული მასალა, რომელსაც შევთავაზებთ საზოგადოებას. მჯერა, რომ ეს ურთიერთობა გაგრძელდება.“

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ხუბუამ** მადლობა გადაუხადა ფილმის შემქმნელებს და წარმატებები უსურვა: „გულში ჩამრჩა ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ქართველის სიტყვები: გულით ვხედავ საქართველოსო. ისინი ხომ არასდროს ყოფილან საქართველოში. ჩვენც გულით ვხედავთ ძველი საქართველოს იმ ადგილებს, რომელიც ერთ დროს ქართული კულტურის სიძლიერეს და ერთიანობას განსაზღვრავდა.

მინდა მადლობა გადავუხადო პროექტის ავტორებს, რომლებმაც სასიამოვნო და დაუვიწყარი წუთები გვაჩუქეს ამ საიუბილეო დღეებში.“

### თავისუფალი აზროვნება უნდა გახდეს ჩვენი უნივერსიტეტის წარმატების საფუძველი

ფილმის პრეზენტაციის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ეგიდით ჟურნალ „ლ'ილ“-ის პრეზენტაცია გაიმართა.

ჟურნალის სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ:

„სახელი: ლ'ილ
დაბადების თარიღი: 2006 წელი
დაბადების ადგილი: თბილისი
მოღვაწეობის სფერო: ლიტერატურა
ფრანგულად ნიშნავს კუნძულს
ბგერწერით მიაგავს ლილეს, ჰქვია ქალს“.

ახალგაზრდა მწერლებმა და მთარგმნელებმა თავიანთი შემოქმედება მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანეს. პრეზენტაციას განათლების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურიაც დაესწრო.

**ბელა წიფურია:** „ჟურნალ „ლ'ილ“-ის რედაქტორები და ავტორები ჩემი დიდი ხნის სტუდენტები და მეგობრები არიან. მიხარია, რომ ისინი ასე თანმიმდევრულად, გააზრებულად და გაცნობიერებულად აგრძელებენ ლი-



ტერატურული და ესთეტიკური განვითარების გზას. ჟურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოებები, თავისთავად ორიგინალური შემოქმედების ნიმუშებია. გარდა ამისა, მთარგმნელობით ლიტერატურაზე ორიენტაცია არის ნათელი გამოხატულება მათი ლიტერატურული არჩევანისა, ლიტერატურული გემოვნებისა და იმის მცდელობისა, რომ ამ ახალგაზრდებმა თვითონ გააცნობიერონ და გაითავისონ თანამედროვე ლიტერატურა — მოდერნისტული ლიტერატურიდან დაწყებული სრულიად თანამედროვე XXI საუკუნის პოსტმოდერნისტულ ლიტერატურამდე. მათი სურვილი, რომ ამ ყველაფრის ფონზე იპოვონ საკუთარი ადგილი და განავითარონ საკუთარი ლიტერატურული პოზიციები, უკვე მიმანიშნებელია, რომ ეს ახალგაზრდები დაძლევენ ისეთი ღირებულების პრობლემას, რომელიც შეიძლება დღეს ჰქონდეს ქართულ ლიტერატურას. აქამდე საკმაოდ დიდი ბარიერი და გაუცხოება არსებობდა თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისგან. ისინი წინა თაობების გზას იზიარებენ, მაგრამ მე მინდა მათ ვუსურვო, მათი არჩევანი არ დასრულდეს ამ ახალგაზრდულ ეტაპზე და მთელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით გააგრძელონ ამ ღირებულებების ერთგულება“.

შემოქმედებით ჯგუფს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ხუბუაც** მიესალმა:

„მართალია, ჩვენ, იურისტები, უფრო რეალურად ვუყურებთ ცხოვრებას და მიწაზე მყარად ვდგავართ, მაგრამ არ მსურს და არც შეიძლება სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალი იდეალების გარეშე ვიაზროვნოთ. კაცობრიობის ისტორიას თუკი რამ ღირებული შეუქმნია, მხოლოდ თავისუფალი აზროვნების შედეგად, რომლებსაც არც საზღვრები აქვს, არც ჯებირები. თავისუფალი აზროვნება უნდა გახდეს ჩვენი უნივერსიტეტის წარმატების საფუძველი, ჩვენ ახლა ვიწყებთ ამგვარ აზროვნებას, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებიც მომავალი წარმატების პირობაა. ჩემი და ჩემი კოლეგების სურვილია, უნივერსიტეტის კედლებში ისმოდეს თავისუფალი სიტყვა, არ დავკარგოთ ქართული ენის განუმეორებელი ხიბლი. ვაფასებ შემოქმედ ადამიანს, რომელსაც შეუძლია თავისუფლად გაეთამაშოს სიტყვას. ჩვენი მომავალი წარმატების გარანტია სწორედ ასეთი ახალგაზრდები არიან. დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სტუდენტებზე გულწრფელი საზოგადოება არ არსებობს. დიდი მადლობა ამ ლამაზი წუთებისათვის, თქვენი განწყობის ასე ლამაზად გადმოცემისათვის!“

ღონისძიება დამთავრადა. ფოტოგამოფენასთან მიტანილ ყვავილებთან სტუდენტები ფერად-ფერად ფურცლებზე ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველობას სურვილებს უწერდნენ: „როცა საქართველო მოგენატრებათ, შეხედეთ თქვენს ცას — ის ქართულია!“

წიგნის თარო

# პოეტური თარგმანის საიდუმლო — ინტერპრეტაცია + არტისტული შესრულება

## უნივერსიტეტში ინესა მერაბიშვილის მონოგრაფიების პრეზენტაცია გაიმართა

,,ერთპირი იყო ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველებდა.

თქვეს: აბა, ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივაწვდინოთ მისი თხემი.

თქვა უფალმა: აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს.

გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება." (დაბადება, 11; 1-8)

ახალ აღთქმაში კი მოთხრობილია, როგორ მოაფინა უფალმა ცეცხლის სახით სულიწმინდა მოციქულებს, რის შემდეგაც მათ სხვადასხვა ენაზე დაიწყეს საუბარი. ენა უნივერსალური ფენომენია, მასში კოდირებულია ერის თვისებები და სულიერი ღირებულებები. აქედან გამომდინარე, თარგმნა დასაბამიდან საღვთო საქმედ არის მიჩნეული და მას ღვთივმომადლებული ნიჭი სჭირდება.

როგორც საქართველოს ბაირონის საზოგადოების გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა, მხატვრული თარგმანი სხვადასხვა ქვეყნების კულტურათა ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. ამის დასტურად პროფესორ ინესა მერაბიშვილის მონოგრაფიების — ,,პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა" და ,,თარგმანი — კულტურათა დიალოგი," — პრეზენტაცია იქცა.

პირველი მონოგრაფია ეძღვნება პოეტური ტექსტის ახალი შინაარსობრივი პარამეტრების გამოვლენას და, მათი, როგორც ერთიანი სისტემის მიდგომას თარგმანისადმი. წიგნში მოცემულია შექსპირის, ბაირონის, პუშკინის, გალაკტიონისა და სხვათა სიღრმისეული ინტერპრეტაციისა და თარგმანში სათანადო რეალიზაციის ახალი გზები. მეორე მონოგრაფია ეძღვნება ძირითადად ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებს და საკუთრივ თარგმანს, როგორც კულტურათა დიალოგს. წიგნში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიც არის ,,მწუხრის ზარების" ქართული წარმომავლობა, რომელიც არეკლილია ტომას მურის ამავე სათაურის ლექსში; კავშირი პრომეთეს, ბაირონსა და ნაპოლეონს შორის; ბაირონის შეხვედრა ქართველ ქალთან, როგორც მისი ცხოვრების აქამდე უცნობი ფურცელი. მონოგრაფიაში გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იყო გალაკტიონის მერი.

ორივე წიგნი გამოსცა ბაირონის საზოგადოებამ.

უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში შეკრებილმა საზოგადოების აქტიურობამ ცხადყო, რომ საქართველოში თარგმანის მიმართ ინტერესი იზრდება, ღირებული პოეტური თარგმანებით კი ქართველი მკითხველი განებივრებული ნამდვილად არ არის.

როგორც ცნობილმა მთარგმნელმა, პროფესორმა, ინესა მერაბიშვილის წიგნის რედაქტორმა, ქალბატონმა დალი ფანჯიკიძემ აღნიშნა, ქართულ პოეტურ თარგმანებში ეს პროცესი ხშირად მდარე გალექსვის ფარგლებს არ სცილდება. ,,მახსოვს, როდესაც გოეთეს ლექსების კრებული გამოიცა ქართულ ენაზე, პრესაში დაიბეჭდა პუბლიკაცია სათაურით — ,,მკითხველის რეკლამაცია." სტატიის ავტორები წერდნენ: თეორიულად რომ არ ვიცოდეთ, რომ გოეთე იყო დიდი პოეტი, ამ კრებულის მიხედვით მას უმდაბლეს პოეტთა რიგს მივაკუთვნებდითო. ჩვენს დროში უცხო ენის ცოდნა აღარავის უკვირს, მაგრამ იშვიათია, როდესაც მთარგმნელი პოეტური ნიჭითაც იყოს დაჯილდოვებული. ქართველი მკითხველი მიჩვეულია კონვენციურ ლექსს, თავის მდიდარ პოეზიას, ამიტომ როდესაც მას ვაწვდით ისეთ თარგმანს, რომელიც არ აკმაყოფილებს წინასწარ განწყობას, გაწბილებული რჩება. ხანდახან ასეც ხდება: მთარგმნელი მაქსიმალურად უახლოვდება ორიგინალს, მაგრამ მკითხველის მოწონებას მაინც ვერ იმსახურებს.

ქალბატონი ინესა მერაბიშვილის მონოგრაფიაში სრულიად ახალი კონცეფციაა მოცემული. ტექსტის ლინგვისტიკა აერთიანებს ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობას, მისი მონაპოვარი წიგნის ავტორმა მიუსადაგა თარგმანის თეორიას, — განაცხადა დალი ფანჯიკიძემ.

### ყველა კარს თავისი გასაღები აქვს

ქალბატონმა ინესა მერაბიშვილმა პოეტური თარგმანის შესრულების ერთ ორიგინალურ ფორმულას — გასაღებს მიაგნო: — ინტერპრეტაცია + არტისტული შესრულება.

,,მთარგმნელმა სამყაროთა და ეპოქის სურათები ხელახლა უნდა დახატოს თავისი ფუნჯით, დახატოს, როგორც მხატვარმა და გააცოცხლოს, როგორც მსახიობმა, რათა არტისტულად განაცდევინოს მკითხველს საკუთარ განცდათა პრიზმაში დანახული სახეები, აღმოცენებული გრძნობები თუ შთაბეჭდილებები," — წერს ქალბატონი ინესა. მისი აზრით, თუ სწორად არ მოხდა ნაწარმოების ინტერპრეტაცია, ის თარგმანად ვერ



იქცევა. ,,როდესაც ვთარგმნი, როლში თავდავიწყებით შევდივარ, ვსწავლობ გმირის ფსიქიკას, ვაკვირდები გარემოს, ვითვისებ მის სულიერ სამყაროს. აი, თუნდაც ჩემი საყვარელი ბაირონი ავიღოთ: ,,მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა, თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან..."

ინტერვიუ
ინესა მერაბიშვილთან

**— ქალბატონო ინესა, თქვენი ორივე მონოგრაფია, რომლის პრეზენტაცია უნივერსიტეტში გაიმართა, საქართველოს ბაირონის საზოგადოებამ გამოსცა.**

— ბაირონის საზოგადოება ლონდონში 1988 წელს დაარსდა. ორ წელიწადში ოცი წლის იუბილეს აღვნიშნავთ. პირველად 1991 წელს, ლონდონში, საზოგადოების სხდომაზე მოხსენებით გამოვედი, რომელსაც, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, და, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამის შემდეგ ვიღებდი მოწვევებს ათენის, ლივერპულის, ნიუ-იორკის, ჰარვარდის კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. 1995 წლიდან მე, როგორც საქართველოში ბაირონის საზოგადოების დამფუძნებელი, ვარ ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი, რაც საქართველოსთვის დიდი პატივია, ჩემთვის კი — უდიდესი პასუხისმგებლობა. ასევე ვარ თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორი. ჩვენ ყოველწლიურად ვმართავთ ბაირონის სკოლის სხდომებს. შარშან ღონისძიება ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა, ამჟამად — უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაგვიწია თანადგომა. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ საღამო, როგორც მსახიობმა ლეილა აბაშიძემ აღნიშნა, თარგმანის ზეიმად იქცა, ეს ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის დიდი კომპლიმენტია.

**— თქვენი კვლევების შედეგები სისტემატურად აისახება საერთაშორისო კონფერენციებსა და პუბლიკაციებში, როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?**

— ბაირონის საზოგადოების ეგიდით რვა წიგნი გამოიცა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილ მონოგრაფიებში უამრავი ლინგვისტის შრომა გავაერთიანე და განვავითარე. კვლევის მიზანია, ხელი შევუწყოთ საქართველოში თარგმანის კრიტიკას, როგორც ფილოლოგიის მნიშვნელოვანი დარგის დამკვიდრებას, სათანადო მეთოდოლოგიის შექმნას, რომელსაც მომავალი მთარგმნელი მოიხმარს.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს: 2007 წლის ზაფხულში, ვენეციაში გაიმართება ბაირონის საზოგადოების საერთაშორისო კონგრესი, სადაც მიწვეული ვარ საპატიო სტუმრად. პატივი მაქვს, კონგრესზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდე, ასევე გავუძღვები ერთერთ წამყვან სესიას. ჩვენი სურვილია, საქართველოს ბაირონის საზოგადოებამ უფრო გააქტიუროს მთარგმნელობითი საქმიანობა. ამაში უნივერსიტეტის მხარდაჭერის იმედი მაქვს. გამოსაცემად მომზადებულია ბაირონისადმი მიძღვნილი ხუთასგვერდიანი დასურათებული წიგნი. ველოდებით, როდის შევაგროვებთ თანხას, რომ შევძლოთ მისი გამოცემა. მოლაპარაკებები მიმდინარეობს იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, ინგლისში გამოიცეს წიგნი გალაკტიონზე.

ცნობა ამ პრეზენტაციის შესახებ, თავისი ფოტო მასალით გადაიგზავნა ლონდონის ბაირონის საერთაშორისო ორგანიზაციაში. იქიდან უკვე მოვიდა გამოხმაურება. ასე რომ, გეგმები გვაქვს. მთავარია, მათი განხორციელება. უნივერსიტეტში გამართულმა საღამომ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ დაწყებული საქმე უნდა გაგრძელდეს.

**— ქალბატონო ინესა, თქვენ გაქვთ საშუალება, ჩვენი გაზეთის საშუალებით მიულოცოთ ახალი წელი თქვენს კოლეგებს და ახალგაზრდობას. რას ეტყოდით მათ?**

— გაგიმხელთ, რომ ამ ღონისძიებით სწორედ საახალწლო განწყობა მინდოდა შემექმნა იმ ადამიანებისათვის, ვისაც უყვარს გალაკტიონი, ბაირონი და, საერთოდ, პოეზია. თუ ეს შევძელი, — ბედნიერად ჩავთვლი თავს.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას დროის შეგრძნება სრულიად დაეკარგა: ჟღერდა „მწუხრის ზარები“, ინგლისურად ვუსმენდით გალაკტიონს და ქართულად — ბაირონს. ინესა მერაბიშვილს თარგმანის ზეიმად ქცევისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს დარბაზში შეკრებილი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

აქვე გაგაცნობთ უცხოელი კოლეგების აზრს:

**მერი კლოფილდი, ირლანდიის ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე:**

„ყოველივე რასაც აკეთებთ, იქნება ეს საქართველოსათვის ბაირონის შემოქმედების გაცნობა, თუ ტომას მურის „მწუხრის ზარების“ ქართული წარმოშობის მტკიცება, ძალზე ამაღელვებელია. და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ეს არის ქვეყნებს შორის ხიდის შენების დიდი საქმე. ჩვენ კიდევ მეტს ველით თქვენგან, თუნდაც ბაირონის „ქართველ გოგონასთან“ კავშირში.

ბაირონს არ დასცალდა საქართველოში ჩამოსვლა და, სამწუხაროდ, რამდენი ლექსი დარჩა დაუწერელი, რომ ჩვენამდე მოეტანა, რასაც ახლა ასე ჩინებულად თქვენ აკეთებთ“.

**ალან როსი, ლონდონში გამოცემული ბაირონის საერთაშორისო ჟურნალის მთავარი რედაქტორი:**

.„ჩვენთვის სასიხარულო და საინტერესოა, რაც საქართველოში ხდება. გვიხარია, რომ ბაირონის დროშას მისი სამშობლოდან შორს ასე მაღლა აფრიალებთ, მთელი ბაირონისეული სამყარო თქვენი მიღწევების გამო ვალშია თქვენს წინაშე“.

გვერდი მოამზადა
**შორენა ბეროშვილმა**

# ვინ როგორ ხვდება შობა-ახალ წელს



**ამერიკელებს** საშობაო დღესასწაული უფრო უყვართ, ვიდრე ახალი წელი. ძირითადი საზეიმო რიტუალებით შობას აღნიშნავენ, ახალი წლის პერიოდში კი, უბრალოდ გრანდიოზული ფასდაკლებით სარგებლობენ, ახლობლებისათვის სანთლებსა და სხვადასხვა სუვენირებს ყიდულობენ. თანაც ძალიან მიღებულია, რომ საჩუქარში მისი სავაჭრო ქვითარიც იდოს, რათა პატრონმა შეძლოს მისი გამოცვლა, თუკი არ მოეწონება.

***

**ნორვეგიის** ქალაქ კონსბერგს საინტერესო საშობაო ტრადიცია აქვს. მაღაროელთა ამ ქალაქში ყოველი წლის 22 დეკემბერს, მოსახლეობა მთებიდან ქალაქის ცენტრში ჩამოდის და საზეი-



მო ალლუმს მართავს. ეს ტრადიცია მრავალი წლის წინ მაღაროელებმა დაამკვიდრეს. ასეთი ალლუმი საშობაო არდადეგების დაწყების აღსანიშნავად იმართებოდა.

ამ დღეს მოსახლეობა თაყვანს სცემს წარმართ წინაპრებს. ქალაქში ყველგან კოცონები ანთია და ღვინის მდინარეები მოედინება. საყოველთაო ქეიფის დროს სტუმრებსაც განსაკუთრებული სიხარულით იღებენ.

ქალაქი კონსბერგი მეჩვიდმეტე საუკუნეში ნიადაგში ვერცხლის დიდი საბადოების აღმოჩენის შემდეგ დაარსდა. სწორედ ამ ქალაქშია ცნობილი „სამეფო მაღარო", რომელიც მსოფლიოში დღეს ერთერთ უდიდეს ვერცხლის საბადოდ ითვლება.

***

**მსოფლიოში** ყველაზე დიდი მცურავი ნაძვის ხე რიო-დე-ჟანეიროში დადგეს. ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი როდრიგო-დი-ფრეიტასის ტბასთან, სადაც სადღესასწაულო ფე-



იერვერკების თანხლებით, ვეებერთელა, 82 მეტრი სიმაღლის, 2,8 მილიონი ნათურით შემკული ნაძვის ხე მოცურავდა. ნაძვის ხე ძლიერი ძრავის წყალობით მოძრაობს, რომელიც კონსტრუქციის საფუძველშია დამონტაჟებული. იგივე ძრავა ნათურებს ყოველ დღე ხის სხვადასხვა მონაკვეთზე ანთებს.

***

**ავსტრიის** ქალაქ კლიგენფორტში აღმართული 4,5 მეტრი სიმაღლის ყინულის ნაძვის ხემ, გადაბმული წვიმებისა და თბილი ამინდების გამო დნობა დაიწყო და ახალ წლამდე ვერ მიაღწია. ყინულის ქანდაკების ზედა ნაწილში სახიფათო ხვრელები გაჩნდა, რის



გამოც შეიძლებოდა კონსტრუქცია მთლიანად ჩამოქცეულიყო, ამიტომ იგი სასწრაფოდ აიღეს.

***

**ევროპის** მთავარი ნაძვის ხე სტრასბურგში აღიმართა, რომელიც ევროპის დროშების ფერადი გამის ნათურებით მოირთო. სტრასბურგი და მთლიანად ელზასი, უკვე რამდენიმე საუკუნეა ევროპის საშობაო და საახალწლო დღესასწაულების ცენტრად ითვლება. ტრადიცია არც წელს დარღვეულა. ერთადერთი, რამაც სტრასბურგელების იმედ-



გაცრუება გამოიწვია, „მოღალატე" ამინდი აღმოჩნდა. ელზასური ტრადიციით ახალი წელი აუცილებლად თოვლმა უნდა მიიღოს. ეს თოვლი კი მომავალი წლის ბედნიერების გარანტად ითვლება. წელს კი სტრასბურგში წარმოუდგენლად თბილი ამინდებია, თოვლი საერთოდ არ მოსულა.

***

**დიდი** ბრიტანეთის კომპანიებსა და დაწესებულებებში საშობაო ქრისტიანული სიმბოლოების გამოფენა აკრძალეს, რადგან სხვა რწმენის მიმდევრებს ეს შეიძლებოდა შეურაცხყოფად მიეღოთ. ამიტომ დაწესებულებებში მათი გამოფენა საჭიროდ აღარ მიიჩნიეს. შარშან დიდ ბრიტანეთში ჩატარდა გამოკითხ-




ვა, კითხვაზე — „აკრძალავდით თუ არა თქვენს დაწესებულებაში საშობაო მორთულობას, რადგან ამით შეიძლება სხვა რწმენის ხალხს შეურაცხყოფა მიაყენოთ?" ხელმძღვანელთა 71%-მა დადებითად უპასუხა. ბოლო წლების მანძილზე უამრავი ქრისტიანი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ შობის დღესასწაულისთვის რელიგიური საფუძვლის გამოცლის ტენდენცია შეიმჩნევა. წელს, მაგალითად, ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ დაგზავნილ ღია ბარათებზე, რელიგიური სიმბოლოები არსად ჩანდა, საფოსტო მარკების საშობაო სერიაზე კი ირმები და თოვლის კაცები ეხატა და არა ჩვილი ქრისტეს გამოსახულება. ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსმა, ჯონ სენტამ ამის გამო ათეიზმის მომძლავრების საშიშროებაზე ისაუბრა.

***

**არაბულ** სამყაროში ყველაზე დიდი ნაძვის ხე, სირიის ქალაქ ხომსში დაიდგა. ეს ხე 27 მეტრი სიმაღლისაა, დიამეტრი კი 12,5 მეტრი აქვს, რისი წყალობითაც მსოფლიოს უდიდეს ნაძვის ხეთა შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. თავად სირიელები მას „მსოფლიო ხეს" უწოდებენ. შარშან ასეთი დიდი ნაძვის ხე დამასკოში იყო აღმართული.

ნაძვის ხის მოსართავად სირიელმა მოსწავლეებმა რვა ათასი ფერადი ფანარი დაამზადეს, ხელოსნებმა კი უამრავი ქსოვილი ოქრომკერდით მოქარგეს. ნაძვის ხე 21 დეკემბერს აინთო და მის გარშემო ადგილობრივ არტისტთა



გრანდიოზული კონცერტი გაიმართა.

***

**იტალიური** ტრადიციის თანახმად, ბარაქის მოსაზიდად, ახალი წლის დამდეგს ძველი ნივთებისგან უნდა გათავისუფლდე, ახალი წლის დილას კი, ახალი ტანსაცმლით შეეგებო. ამ ტრადიციის წყალობით იტალიელების დიდი ნაწილი დამდეგ ახალ წელს ფანჯრებიდან უამრავ მოძველებულ ნივთს (ტანსაცმელს, ავეჯს) ყრის. ხალხური ზეპირსიტყვიერება ახალი წლის ღამეს სასწაულმოქმედად აცხადებს. იტალიელე-



ბი ვაზზე შემხმარ ყურძენს მიირთმევენ. მისი ყვითელი მარცვლები მათ ოქროს მონეტებს აგონებთ.

***

**შოტლანდიაში** ახალ წელს კუპრით სავსე კასრებს ანთებენ და ქუჩაში მოაგორებენ. ამგვარად, ისინი ძველი წლის ნარჩენებს წვავენ და ახალ წელს იწვევენ. აქ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ მეკვლეს ტრადიცია. სიკეთისა და ბარაქის სიმბოლოდ ითვლება თუკი სახლში პირველი მუქთმიანი მამაკაცი შემოვა და საჩუქრებს მოიტანს. ახალი წლის ღამეს ყველა ოჯახი ბუხარში ძლიერ ცეცხლს ანთებს, ირგვლივ სხდებიან და საათის ჩამორეკვას მდუმარედ ელოდებიან. როგორც კი საათი რეკვას დაიწყებს, ოჯახის უფროსი კარებს აღებს და არ ხურავს მანამდე, სანამ რეკვა არ დასრულდება. ამგვარად იგი ძველ



წელს უშვებს და ოჯახში ახალ წელს ეპატიჟება.

***

**ჰოლანდიასა** და ბელგიაში საახალწლოდ უამრავ ტორტს, ნამცხვარსა და ვაფლს აცხობენ. თანაც, განსაკუთრებით ლამაზად რთავენ. ნიდერლანდებს ეროვნული საახალწლო სასმელიც აქვთ, რომელსაც „სლემს" ეძახიან და რომელიც ცხელი რძის, ჩაის, შაქრის, დარიჩინის, ლიმონის ცედრისა და მიხაკისგან მზადდება. ბელგიაში კი საახალწლო სადილად აუცილებლად შემწვარ ხორცს, ბრინჯსა და პუდინგს მოგართმევენ.

***

**იაპონელებს** სამი დიდი დღესასწაული აქვთ: სახელმწიფოს დაარსების დღე, იმპერატორის დაბადების დღე და ახალი წელი, ეს უკანასკნელი, ყველაზე ხალისიან დღესასწაულად ითვლება. იაპონელები ზეიმისთვის საფუძვლიანად ემზადებიან და მთელ დეკემბერს ფუსფუსში და სამზადისში ატარებენ. ყველაზე გავრცელებული რიტუალი საახალწლო ღია ბარათების დაგზავნაა, რომელზედაც წლის ტოტემი იქნება გამოსახული. უამრავი იაპონელი უკვე მზა ბარათზე თავად ამატებს ნახატს ან წარწერას და ეს განსაკუთრებულ პატივისცემად ითვლება.

ახალი წლის ღამეს მთელი ოჯახი ტრადიციულად ერთად იკრიბება და ძველ წელს აცილებს. ახალი წლის დადგომას ბუდისტური ტაძრის სამრეკლო 108 ზარით აღნიშნავს. მათი ტრადიციის მიხედვით, ადამიანს ასრვა საზრუნავი აწუხებს, რომელიც ზარის რეკვასთან ერთად შორდება. იაპონელები დასაძინებლად ძალიან ადრე წვებიან, რათა ახალ წელს განთიადისას შეეგებონ. უამრავი მათგანი ალიონზე მთებისკენ ან ზღვისკენ მიემართება და ამ გზას, სინტოისტური რიტუალის მიხედვით, ტაშისკვრით გაივლის.



***

**ფინეთში** საშობაო სამზადისს კარგა ხნით ადრე, ოქტომბერ-ნოემბერში იწყებენ. თავდაპირველად, უძველესი ტრადიციის მიხედვით, ქალები იკრიბებიან და საშობაო სამშვენისებს ამზადებენ, რაც მოგვიანებით ბაზრობებზე იყიდება, თანხა კი ქველმოქმედებას ხმარდება. დიდი მარხვის დასრულებამდე, ეგრეთწოდებული „საშობაო ქუჩები" იხსნება, რომელსაც რწმენის, იმედისა და სიყვარულის ტრადიციული სიმბოლოებით, ჯვრებით, ღუზებითა და გულებით საგულდაგულოდ რთავენ. ფინელები შობის წინა კვირა დღეს ნაძვის ხეს საგულდაგულოდ არჩევენ, ხოლო დღესასწაული კულმინაციას 24 დეკემბერს აღწევს — დღის 12 საათზე „საშობაო სიმშვიდე" ცხადდება. ოჯახთა უმეტესობა საშობაო სუფრას სწორედ ამ დროს უსხდება. 25 დეკემბერს, როდესაც ქრისტიანული სამყაროს დიდი ნაწილი შობის დღესასწაულს ზეიმით აღნიშნავს, ფინეთში წარმოუდგენელი სიმშვიდე სუფევს, არც ტრანსპორტი მუშაობს და რესტორნებიც დაკეტილია. შობა მხოლოდ საოჯახო დღესასწაულად ითვლება.




### საკონტაქტო ტელეფონები:

| | |
|---|---|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| რექტორის მოადგილის მისაღები | 29-08-25 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 23-03-80 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური | 29-08-46; 25-08-13 |
| სტუდენტთა მომსახურების განყოფილება | 91-27-91 |
| საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი | 22-56-79 |
| სამუზეუმო სამსახური | 29-08-42 |
| დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური | 25-08-13; 25-36-18 |

**ფაკულტეტების დეკანატები:**

| | |
|---|---|
| ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-08-07 |
| ჰუმანიტარული ფაკულტეტი | 22-21-08 |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-05-94 |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 30-45-36 |
| იურიდიული ფაკულტეტი | 22-37-10 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 94-34-54 |

კონსულტანტი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
newspaper@tsu.ge